DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library in partnership with the Georgian National Museum.

- Author: Chartolani, Sh. / ჩართოლანი, შ. / Чартолани, Ш. Г.
- Title: მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის ტომი I (სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის 1972-1974 წლების არქეოლოგიური მუშაობის შედეგები) / Материалы по археологии сванети том (итоги археологических работ научна-комплекцной експедиции сванети в 1972-1974 гг.)
- Publication Date: 1976
- Publisher: Georgian National Academy of Sciences
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_023d06123d

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

შოთა ჩართოლანი



ჩაფარი

სკვანძის

ინტეგრირებისთვის

«მეცნიერება» 1976

3614

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

შოთა ჩართოლანი

18166

მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის

I

(სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის 1972—1974 წლების
არქეოლოგიური მუშაობის შედეგები)

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

902.6(C 41)
902.6(47.922)
ჩ 237

ნაშრომში თავმოყრილი და განხილულია არქეოლოგებისათვის დღემდე უცნობი შემთხვევითი მონაპოვრები, რასაც 1972—1974 წლებში პირველად მიაკვლია სვანეთის სამეცნიერო კომპლექსურმა ექსპედიციამ. გაკეთებულია ამ მასალის ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაცია და მოძებნილია მათი ადგილი საქართველო-კავკასიის არქეოლოგიურ კულტურებს შორის.

პარალელური არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და სხვა მასალებთან მათი შეჯერების საფუძველზე მოცემულია სვანეთის ძველი მოსახლეობის სოციალური ურთიერთობის, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ზოგიერთი საკითხის გაშუქების ცდა.

ჩ $\frac{10602}{М607(03)—76}$ 189—76 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976

შესავალი

სვანეთი საქართველოს ყველაზე უფრო მკვეთრად გამოსახული ეკონომიურ-გეოგრაფიული და ეთნიკური რეგიონია, რომელიც მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის ხეობების შუა და ზემოწელის ორმაგ ქვაბულშია ლოკალიზებული, ყველა მხრიდან ძნელად გადასალახი კლდეკარებითა და მთაგრეხილებით არის შემოსაზღვრული.

ამ ძნელად შესაღწევმა, უხვი ბუნებრივი რესურსების მხარემ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შემოგვინახა მთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან შეხამებული მდიდარი მატერიალური და სულიერი კულტურა — არქიტექტურის, ფერწერის, ოქრომჭედლობის, ქანდაკების, ძველი მეტალურგიის, ხელნაწერების, მინიატურის, ქსოვა-ნაქარგობის, მუსიკისა და პოეზიის მრავალფეროვანი ძეგლები. მათ პირველწყაროს მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ძველი ისტორიისა და კულტურის გასაშუქებლად. ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი უნიკალურია და მეცნიერები მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებენ. ამიტომ, ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რასაც სვანეთის მიმართ იჩენდნენ ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან მოკიდებული, ხოლო შემდგომ — მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან და, განსაკუთრებით კი, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ეს კუთხე მრავალი დარგის მეცნიერთა აქტიური კვლევის საგანი გახდა. ასევე დიდია აღნიშნული ძეგლებისა და, საერთოდ, ამ კუთხის სანახაობითი მნიშვნელობა, მითუმეტეს, ჩვენს დროში, როცა ასე ფართოდ ვითარდება საერთაშორისო ტურიზმი და ხალხთა შორის კულტურულ-მეგობრული ურთიერთობა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, მთელ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარების შესაბამისად, სვანეთის ისტორიული და კულტურული ძეგლების მოვლა-პატრონობამაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიიღო. 1936 წელს ზემო სვანეთის რაიონულ ცენტრში — მესტიაში — შეიქმნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხოლო 1947 წ. 14 ნოემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა

საბჭომ გამოიტანა საგანგებო დადგენილება — „ზემო სვანეთის ისტორიული და მხატვრული ძეგლების რეგისტრაციისა და დაცვის შესახებ“. სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლის საქმეს შეუნელებელი ყურადღებით ეკიდებიან სამეცნიერო დაწესებულებები, რის შედეგადაც არაერთი მნიშვნელოვანი მონოგრაფიული გამოკვლევა გამოქვეყნდა.

ამჟამად, სვანეთის ნივთიერი კულტურის ძეგლების უმთავრესი ნაწილი მესტიის მუზეუმსა და ეკლესიებშია დაცული, ხოლო უფრო მცირე — კვლავ მოსახლეობაშია გაბნეული. უკანასკნელ ხანებში ცნობილი გახდა, რომ ამ ძეგლების მოვლა-პატრონობის, დაცვისა და შესწავლის საქმე ვერ დგას თანამედროვეობის მოთხოვნის დონეზე: წლების მანძილზე პრაქტიკულად არ სრულდებოდა რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების, კულტურის სამინისტროსა და ძეგლთა დაცვის საზოგადოების სახელმძღვანელო დადგენილება-მითითებანი. ასევე უყურადღებოდ ეკიდებოდნენ ცნობილი მეცნიერებისა და სვანეთში მომუშავე ექსპედიციების რჩევა-მოთხოვნებს, არ იყენებდნენ მათ დახმარებას. ასეთმა დაუდევრობამ საბოლოო ჯამში აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა მოსახლეობისაგან საუკუნეების განმავლობაში სათუთად შემონახულ კულტურულ მემკვიდრეობას, კერძოდ, სერიოზულად დაზიანდა ან მოისპო დიდი მეცნიერული და სანახაობითი მნიშვნელობის, ჯერ კიდევ შეუსწავლელი საერო და საკულტო ნაგებობანი. ამგვარი გულგრილობის შედეგად სვანეთის უმთავრეს სოფლებშიაც კი იშვიათად შემოგვრჩა ჯერ ისევ ხელუხლებელი შუა საუკუნეების არქიტექტურული კომპლექსები; დაირღვა აქაურობისათვის დამახასიათებელი, ბუნებრივ გარემოსთან შეხამებული ბრწყინვალე არქიტექტურული ჰარმონია. ამ რიგის ძეგლებს ანგრევენ შეგნებულად სამშენებლო მოედნებისა თუ მასალების იოლი მოპოვების მიზნით, ხოლო იქ, სადაც გამიზნული ნგრევა არ ხდება, დრო და მოუვლელობა ატიალებს მათ.

ძველ სვანურ მაჩუბებთან ერთად განადგურდა მათი შიგნითა მოწყობილობა, ინტერიერის შესაფერისი ავეჯი და სხვა საოჯახო ნივთები, რომელთაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ხით ხუროობის, ხეზე კვეთილობისა თუ, საერთოდ, მხატვრული ხელოსნობისა და სულიერი კულტურის ისტორიის შესასწავლად.

მოუვლელობისა და ზერელე შეკეთების გამო დაზიანდა ბევრი საეკლესიო ნაგებობა და დაიღუპა ზოგიერთ მათგანზე შესრულებული იშვიათი ფერწერული ძეგლები.

უცნობმა პირებმა ეკლესიებიდან გაიტაცეს არაერთი ჭედური ძეგლი, XI—XII სს. იშვიათი ხატები. ტურისტებისა თუ კოლექციონერების მიერ ეკლესიებიდან და მოსახლეობიდან გატანილია მეცნიერული ღირებულების ძველებური ავეჯი, ხისა და ლითონის ჭურჭელი, იარაღი, სამკაულები, არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალები, რაც სამუდამოდ დაიკარგა მეცნიერებისათვის. ეს მასალები მნიშვნელოვნად გაამდიდრებდა ჩვენი მუზეუმების ექსპოზიციებს. ხშირი იყო ერთი ეკლესიიდან მეორეში ძეგლების თვითნებური გადატანისა და მათი კუთხე-კუთხე თუ ძველ ზანდუკებში დახვავების შემთხვევები, რის შედეგადაც გატეხილი და დაზიანებულია ბევრი მაღალი ხარისხის ფერწერული თუ ჭედური ხატი და ჯვარი. ეკლესიაში უსისტემოდ მიყრილი ნივთები, მათ შორის ძველი ხელნაწერები, ფერწერული ხატები, ქსოვილები ნადგურდება და ზიანდება ატმოსფერული ნალექების, სინოტივის, მტვრისა და მღრღნელებისაგან.

ძეგლების ერთი ნაწილი, რომელიც ადრე ეკლესიებში ინახებოდა, ამჯერად კერძო ოჯახებშია გადატანილი, მაგალითად: ჭედური ხატები და ოქროს ენკოლარიუმი — სოფ. ლატალში, XIV ს. ოთხთავი მინაწერებით — ეცერში, მოგვიანო ხანის საეკლესიო საბუთები — ლენჯერში და ა. შ.

ბევრი ძეგლი, მათ შორის ხატები და ოთხთავები, ზიანდება რელიგიური ცრურწმენების გადმონაშთების გამო, კერძოდ, კვლავ გრძელდება ხატზე დაფიცებისა თუ მსხვერპლშეწირვის დროს, ამ პროცესის სამახსოვროდ ფრესკებზე ჯვრებისა და ხაზების ამოჭრის მავნე ჩვეა; ვითომდაც წვიმის მოყვანის მიზნით ხატებისა და ოთხთავების დასველება; ეკლესიების მინაშენებში სეფისკვერების საცხობად და ხორცის მოსახარშად დანთებული ცეცხლის ჭვარტლი ანადგურებს კედლის მხატვრობას, ფერწერულ ხატებს და ა. შ.

დიდი ზიანი განიცადეს არქეოლოგიურმა ძეგლებმა. სხვადასხვა დროს დაზიანდა ან მთლიანად დაინგრა მნიშვნელოვანი ძეგლები ჭუბერში, მესტიაში, ცხუმარში, მულახში, იფარში, ხემკილში და სხვა ადგილებში. ამ ძეგლებზე აღმოჩენილი ნივთების ერთი ნაწილი მოსახლეობაში დღემდე შემოინახა, მეორე ნაწილი, განსაკუთრებით კი ადრე ნაპოვნი ოქროსა და ვერცხლის ნივთები — წონით ჩაბარდა „გრუზზოლოტოს“ მიმღებ პუნქტებს, ხოლო ბევრი ნივთი, მათ შორის ნუმიზმატიკური მასალა შავ ბაზარზე გაიყიდა და მეცნიერებისათვის საბოლოოდ დაიკარგა. მეცნიერთა თვალსაწიერს ასცდა, აგრეთვე, ასეთივე მნიშვნელობის მქონე, ამ მხა-

რის შემთხვევით არქეოლოგიურ მონაპოვრებში ფრაგმენტულად წარმოდგენილი კერამიკული, ოსტეოლოგიური მასალები და ძველი მეტალურგიული წარმოების ნაშთები, რომლებიც ნაკლებად იქცევს არასპეციალისტის ყურადღებას. 1974 წელს მშენებელმა ორგანიზაციებმა არქეოლოგიური ძეგლები დაანგრიეს სოფ. ეცერსა და ცხუმარში.

სვანეთში შემონახული კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის დაბალი დონე განაპირობა, აგრეთვე, ამ საქმისადმი რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და კულტსაგანმანათლებლო ორგანიზაციების გულგრილმა დამოკიდებულებამ. რაიონში სუსტადაა გაშლილი სამხარეთმცოდნეო მუშაობა; სასოფლო კლუბებსა და სკოლების უმრავლესობაში არ იყო შექმნილი მხარეთმცოდნეობის წრეები და კაბინეტები. დამახასიათებელია ის ფაქტიც, რომ მესტიის რაიონს დღემდე არც ერთხელ არ მიუღია მონაწილეობა ნორჩ მხარეთმცოდნეთა რესპუბლიკურ შეკრებაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში რაიონს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სახლი მეთოდისტების ადგილზე ჩასვლითაც კი.

არ წარმოებს ლექციური პროპაგანდა მასებში კულტურისა და ისტორიული ძეგლების დაცვის მნიშვნელობის შესახებ. სუსტად იყენებდნენ ამ მდიდარ მემკვიდრეობას ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდისა და ათეისტური პროპაგანდის საქმეში.

უკანასკნელ წლებში უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრი — სვანეთში შემონახული კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ამასთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში თუ რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა არაერთი კრიტიკული წერილი და შენიშვნა. 1970 წ. 12 აგვისტოს საქართველოს ტელევიზიამ ამ თემას მიუძღვნა გადაცემა „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს — სვანეთში“, ხოლო 23 დეკემბერს სვანეთის ძეგლთა დაცვის საკითხები საგანგებოდ განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კულტურის მუდმივმოქმედმა კომისიამ. მომდევნო ხანებში სვანეთის სიძველეთა მოვლა-პატრონობის საქმე სხვადასხვა კომპეტენტური ორგანოებისა და ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოექცა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს სვანეთის კულტურულ-ისტორი-

ული ძეგლების მოვლა-პატრონობის მეცნიერულ დონეზე აყვანას. ამ მიზნით, ჩამოყალიბდა „სვანეთის კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიცია“, რომელსაც დავალებული აქვს ამ კუთხეში დღემდე შემონახული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების, მათ შორის ეკლესიებში დაცული და მოსახლეობაში გაბნეული ნივთიერი მასალების სრული აღრიცხვა, დამუშავება და მათი დაცვისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო ღონისძიებების შემუშავება. ექსპედიციის ორგანიზაცია დაევალა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს[1].

ექსპედიცია მუშაობას შეუდგა 1972 წლის პირველ ივლისს და ორი თვის მანძილზე იმუშავა ძირითადად მესტიის რაიონში — უშგულისა და კალის სოფლებში. მარტო ამ ორი სასოფლო თემის ეკლესიებში აღრიცხა სხვადასხვა სახეობის 4552 ნივთი, აქედან ხატები და ჯვრები — 238 ერთეული. ამოკითხულ იქნა 400-ზე მეტი წარწერა. მათ შორის საგანგებო ყურადღებას იქცევს კალის, „ლაგურკის“ ეკლესიებში ახლად აღმოჩენილი საგანგებოდ გათლილ ხის ნაჭრებზე შესრულებული XIV—XV სს. ოცი წერილობითი საბუთი[2]. ეკლესიებში თავმოყრილი არქეოლოგიური ნივთების საერთო რაოდენობა 2000 ცალს აღემატება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უშგულისა და კალის ეკლესიებში შემოსული ბევრი თვალსაჩინო არქეოლოგიური ნივთი, რომლებიც ადრე აქ ჩვენს წინამორბედებს (ბ. უვაროვა, ე. თაყაიშვილი და სხვ.). უნახავთ და ნაწილობრივ გამოაქვეყნეს კიდევაც, სადღეისოდ ადგილზე არ მოიძებნება. ამ რიგის მასალებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს ცულები,

---

1 ექსპედიცია შეიქმნა შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ სახ. მუზეუმის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი (ხელმძღვანელი), ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი რ. ყ ე ნ ი ა (მოადგილე), საქართველოს სსრ სახ. მუზეუმის თანამშრომლები: უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ბ ე დ უ კ ი ძ ე და უმცრ. მეცნ. თანამშრომელი მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტი ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა და ამ ნაშრომის ავტორი, რომელსაც არქეოლოგიურ ნაწილში მუშაობა აქვს დავალებული.

2. ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, ისტორიული საბუთები წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესიიდან, საანგარიშო სამეცნიერო სესია მიძღვნილი სვანეთის 1972 წლის კომპლექსური ექსპედიციის მუშაობის შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1973, გვ. 9—11.

სატეხები, მცირე ქანდაკებები, რკინის ისრისპირების კოლექციები და სხვ. არქეოლოგიური ნივთების მნიშვნელოვანი ნაწილი მიმოფანტული იყო ეკლესიების ნიშებში, იატაკზე (ნაგავში). ასეთ პირობებში მოიძებნა ბრინჯაოს ნამგლები, ქვისა და მიწის ბევრი ნაკეთობა — უშგულის ეკლესიებში; „შალიანის“ ხატის მინანქრის ნაწილები, რკინის ისრისპირების დიდი რაოდენობა — „ლაგურკის“ ეკლესიაში და ა. შ.

კომპლექსური ექსპედიციის პირველი წლის მუშაობის შედეგებმა კიდევ უფრო ნათელი გახადა სვანეთში შემონახული კულტურულ-ისტორიული ძეგლების მრავალმხრივი მნიშვნელობა. ეს შედეგები მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა და 1973 წლის 8 თებერვალს მიიღო ვრცელი დადგენილება „სვანეთის ძეგლთა დაცვის მდგომარეობის შესახებ“. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, 1973 წლის აგვისტოში სვანეთს ეწვია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. ი. ვეკუა, რომელმაც ადგილზე დაათვალიერა მატერიალური კულტურის ძეგლები და მათი დაცვის მდგომარეობა. მისივე ხელმძღვანელობით, დაბა მესტიაში ჩატარდა სამეცნიერო სესია მიძღვნილი სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის შედეგებისადმი.

სვანეთში შემონახული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების დაცვის გასაუმჯობესებლად 1973 წლის მაისში საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, სადაც დასახულია აღნიშნული ძეგლების დაცვისა და შესწავლის კონკრეტული ღონისძიებანი. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ ახლახან მიღებულ დადგენილებათა საერთო პრობლემებთან (იხ. 1974 წლის 13 აგვისტოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მესტიის რაიონის შემდგომი სოციალ-ეკონომიური განვითარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“, „О мероприятиях по улучшению охраны памятников и ценностей материальной и духовой культуры Сванетии“ от 30 мая 1973 г.).

სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის მიერ აღრიცხული უშგულის, კალის, იფარის, მულახის, მესტიის, ლატალის ეკლესიებში და ადგილობრივ მოსახლეობაში დღემდე შემონახული შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვრების საერთო რაოდენობა ასეულობით განისაზღვრება. მათი ზოგადი ქრონოლოგიური ჩარჩოები

მოიცავს ხანგრძლივ დროს — ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრიდან დაწყებული, ვიდრე გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით. როგორც ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურმა კლასიფიკაციამ გვიჩვენა, ეს მასალები განეკუთვნებიან ბრინჯაოს, ანტიკური და ფეოდალური ეპოქების სხვადასხვა საფეხურებზე გავრცელებულ კულტურებს[3]. მათში სწორედ სვანეთის ძველი მოსახლეობის სამეურნეო-კულტურული ცხოვრების და სოციალური ურთიერთობის სურათებია მეტ-ნაკლები სისრულით ასახული.

ნივთების დასამზადებლად გამოყენებული მასალისა და დანიშნულების მიხედვით გამოიყოფა: 1. ქვის, ბრინჯაოსა და რკინის საბრძოლო-სანადირო და სამეურნეო დანიშნულების იარაღი: კაჟის ისრისპირები, ბრინჯაოს ცულები და ნამგლები, რკინის ნაირსახეობის ისრისპირები, შუბისპირები და სხვ. 2. ნახევრად ძვირფასი ქვის, მინის, პასტის, გიშრის, ქარვის, ძვლის, ბრინჯაოს, ვერცხლის და სხვა მასალისაგან დამზადებული ფუფუნების საგნები: მძივ-სამკაული, სამაჯურები, სათითე ბეჭდები, და სხვ. 3. საკულტო-სარიტუალო, საპარადო დანიშნულებისა და ხელისუფლების მანიშნებელი ინსიგნიები: ბრინჯაოსა და რკინის კვერთხები, ლითონის, ქვის, გიშრისა და ძვლისაგან დამზადებული პლასტიკური გამოსახულებები. მხატვრულად გაფორმებული იარაღი, საბეჭდავები, სამკურნალო ქვები და სხვ. 4. ნუმიზმატიკური მასალა: სხვადასხვა საუკუნეებში ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან მოჭრილი ქართული, ბერძნული, ბიზანტიური, არაბული, სპარსული და თურქული მონეტები.

ექსპედიციის მიერ გამოვლინებული ყველა არქეოლოგიური ნივთის დეტალური აღწერა-განზოგადება ძალიან შორს წაგვიყვანდა, რაც ჩვენი თემის მიზანს სცილდება. ამიტომ, უფრო მართებული იქნება გავეცნოთ უმთავრესი მნიშვნელობის მასალებს. მათ განხილვას ვეცდებით გავყვეთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

---

3 შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, სვანეთის არქეოლოგიური კვლევა (წინასწარი ანგარიში). იხ. 1972 წლის საველე არქეოლოგიური კვლევის შედეგები, თბ., 1973, გვ. 57—60; მ ი ს ი ვ ე — უშგულისა და კალის ეკლესიებში დაცული არქეოლოგიური მასალა, იხ. საანგარიშო სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1972 წლის კომპლექსური ექსპედიციის მუშაობის შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები. თბ., 1973, გვ. 11—13. მ ი ს ი ვ ე, სვანეთის 1973 წ. არქეოლოგიური კვლევის შედეგები. იხ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს (მოკლე ანგარიშები), თბ., 1974 წ. გვ. 71—77.

თავი I

შუაბრინჯაოს ხანა

ჩვენს ხელთ არსებული ყველაზე ადრეული ნივთები შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. ესენია: კაჟის ფუძეამოღარული ისრისპირები (ტაბ. I-1, 2, 3.), ბრინჯაოს ყუამილიანი ცულები (ტაბ. I-4), ბრინჯაოს ცხოველურსახოვანი ქანდაკება (ტაბ. II-1), ბრინჯაოს ქინძისთავი (ტაბ. II-2) და სხვა.

ორი ისრისპირი (ტაბ. I-1,2) სხვადასხვა დროს, კალის თემშია ნაპოვნი: ერთი — სოფელ იფრარში — ხვნის დროს, ხოლო მეორე — სოფ. ვიჩნაშთან ახლოს. როგორც ცნობილია, კაჟის ისრისპირების ფართოდ გავრცელების ხანად მკვლევრები შუა ნეოლითს გულისხმობენ[1], მაგრამ ამ ტიპის იარაღმა ჩვენში ბრინჯაოს ხანაშიც შემოინახა თავი. ქუსლამოღარული (ანუ ფუძეამოღარული) ისრისპირების ადრეული ნიმუშები აღმოჩენილა თეთრამიწაზე (ქუთაისის მახლობლად)[2], ცხინვალის ნაცარგორაზე[3], საჩხერეში[4], ოჩამჩირეში[5] და სხვაგან. ამ იარაღებისთვის დამახასიათებელია სამკუთხა მოყვანილობა, ქუსლის ასიმეტრიულად ამოკვეთა და საერთო უხეში დამუშავება, რაც მათ არქაულობაზე მეტყველებს. მოგვიანებით, შუა ბრინჯაოს ხანაში ისრისპირების ქუსლის ამოღარვა უფრო სიმეტრიული ხდება და მოყვანილობით ოვალს, ნახევარწრეს ან სამკუთხედს უახლოვდება. იცვლება აგრეთვე მათი საერთო ფორმაც, უმრგვალდებათ ფრთის ბოლოებში სიგრძივი გვერდები და იარაღი დაფნის ფოთლისა თუ გულის მოყვანილობას უახლოვდება. რასაკვირველია, კიდევ უფრო მაღალ დონეს აღწევს ისრისპირების მეორადი დამუშავება. მცოცავი რეტუში, რომელიც ნიშანდობლივია ამ იარაღის მეორადი დამუშავების ტექნიკისათვის[6], ზოგჯერ საიუველირო ხელოვნების დონემდე აღ-

---

[1] В. А. Городцов, Археология, каменный период, М., 1923, т. I; ნ. კილაძე, ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 29, თბ., 1961, გვ. 257-258.

[2] ნ. კილაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 258.

[3] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, ტაბ. V, 3.

[4] ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 184, სურ. 22-9; 38.

[5] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, с. 127.

[6] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, 1941, С. 83. Таб. CVI.

წევს[7]. ამ რიგის იარაღები განსაკუთრებით კარგადაა ცნობილი თრიალეთის, თეთრიწყაროსა და ბედენის გორასამარხების მასალებიდან. ისინი გვხვდებიან აგრეთვე შიდა ქართლში (ნული, ქვასათალი)[8] და სამეგრელოშიც (დიხაგუძუბა, ნაოხვამუ)[9]. შიდა ქართლისა და სამეგრელოს ისრისპირები ქუსლისა და საერთო მოყვანილობით, ჩვენ მიერ გამოყოფილ პირველი ჯგუფის იარაღებს ემსგავსება, მაგრამ მეორადი დამუშავების ხარისხით უფრო მეორე ჯგუფის ისრისპირებთან იჩენენ სიახლოვეს. სწორედ ასეთივე ნიშნები ახასიათებთ კალაში აღმოჩენილ ისრისპირებსაც, რომელთაც განსაკუთრებით ახლო მსგავსება აქვთ ნაოხვამუსა და დიხაგუძუბას ანალოგიურ იარაღებთან. ამ მონაცემების საფუძველზე ვფიქრობთ, შესაძლებელია, ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც, სამეგრელოსა და სვანეთის ისრისპირებს შორის ტოლობის ნიშანი დაისვას და, მაშასადამე, სოფ. კალის ისრისპირები ადრებრინჯაოს ხანის დასასრულსა და შუა ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს მივაკუთვნოთ.

შედარებით უფრო გვიანდელი ხანისა ჩანს სვანეთის მესამე ისრისპირი, რომელიც ჭუბერშია აღმოჩენილი (ტაბ. I-3). ჭუბერის მონაპოვარიც იმავე ჯიშის (ტურონული) კაჟისაგანაა დამზადებული, რითაც კალის ისრისპირები, მაგრამ მათგან განსხვავდება უფრო დახვეწილი, წამახული წვერითა და საგულდაგულოდ შესრულებული რეტუშით. ეს იარაღი აღმოჩენილი იქნა ლარილარის ადრეანტიკური ხანის სამაროვნის ფსკერზე. აქ იგი მეორადი გამოყენების — სამარხში ჩატანების მეშვეობით ჩანს მოხვედრილი[10].

ბრინჯაოს ყუამილიანი ცული (ტაბ. 1-4) შემთხვევითაა ნაპოვნი მულახის თემში, სოფ. ღვებრაში. მათთვის დამახასიათებელია კარგად გამოსახული სატარე მილი, სქელი ტანი და რამდენადმე გაფართოებული სამუშაო პირი. ეტყობათ ხანგრძლივი ხმარების კვალი. მსგავსი ცულები სვანეთში ნაპოვნია აგრეთვე სოფ. იფარ-

---

[7] გ. გობეჯიშვილი, ბედენის აკლება, ჟურნ. ძეგლის მეგობარი № 12, 1967.

[8] Б. А .Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетии и Имеретии. Тб., 1949, с. 34, рис. 13.

[9] Б. А. Куфтин, Материалы к арх. Колхиды, II, с. 184, 243, рис. 45, 65.

[10] შ. ჩართოლანი, ლარილარის სამაროვანი, იხ. კრებულში — „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", თბ., 1968, გვ. 306, ტაბ. III-3.

ში, ჰუბერში და სხვ. ყველა ისინი განეკუთვნებიან საქართველოს შუა ბრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცულების ტიპს. სვანეთში აღმოჩენილ შუა ბრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცულებს შორის გამოირჩევა ადრეული და განვითარებული ფორმები. საქართველოში აღმოჩენილ ამ ტიპის იარაღების ფონზე შესაძლებელი ხდება წარმოდგენა ვიქონიოთ ყუამილიანი ცულების ტექნიკური განვითარების ზოგად სურათზე. მულახის ცულებს საშუალო ქრონოლოგიური ადგილი უნდა მივაკუთვნოთ შუა ბრინჯაოს ხანის ცულებს შორის[11].

ბრინჯაოს სტილიზებული ქანდაკება (ტაბ. II-1), რომელიც უშგულის მაცხოვრის ეკლესიაში აღმოჩნდა, ვერძის თავისა და ფრინველის ტანის ნარევ არსებას გამოხატავს. ზუსტად ასეთივე ქანდაკებები მნიშვნელოვანი რაოდენობითაა ნაპოვნი ზემო რაჭაში-ბრილის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში[12] და კავკასიონის ქედს გალმა-დიგორში[13]. პრაქტიკული გამოყენებით ეს ნივთი, როგორც ჩანს, საზეიმო ქინძისთავი თუ სარიტუალო ჯოხისთავი, ან შტანდარტის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ამ ტიპის ნივთები კოლხეთის მთიან ზოლში ხანგრძლივად ყოფილა გავრცელებული. ამას მოწმობს ასეთივე, მაგრამ შედარებით რეალისტური და მხატვრულად უფრო სრულყოფილი ნიმუშების აღმოჩენა ადრეანტიკური ხანის ძეგლებზე — რაჭასა[14] და სვანეთში[15]. ლარილარის სამაროვანზე ასეთ გამოსახულებებთან ერთად აღმოჩენილია ცხვრის, თხის, ძაღლის, ცხენისა და სხვა ცხოველებისა და ფრინველების ბრინჯაოს ქანდაკებები, რომლებიც პრაქტიკულად სამკაულებად — გულსაკიდებად და ავგაროზებად არის განკუთვნილი (ტაბ. X-3, 5, 6; XI-6; XII-2—5). როგორც ჩანს, ხელოსნებმა ამ სახის ნივთების დამზადებას საფუძვლად დაუდეს იმ დროის საზოგადოებრივ-სამეურნეო საქმიანობისა და სულიერი ცხოვრები-

---

[11] სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები, ინვ. № 226, 380, 572, 210 და სხვ.; საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილება, ინვ. № 11—32:69, 6—58:1 და სხვ.

[12] გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს ქართული უძველესი ძეგლები, საკანდ. ნაშრომი, 1941, გვ. 273, ტაბ. XIV—10.

[13] იქვე, გვ. 281.

[14] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი., გვ. 281, ტაბ. XIV-7; მისივე, გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში, სინ, გვ. 283.

[15] შ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 307, ტაბ. III-6.

სათვის დამახასიათებელი ნიშნები, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

იმავე შუა ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება კალაში — „ლაგურკას“ ეკლესიისათვის შემოწმებული ბრინჯაოს თავდაფანჯრული ქინძისთავი (ტაბ. II-3), ზემო რაჭასა[16] და ჩრდილოეთ კავკასიაში[17] ადრევე აღმოჩენილი ბრინჯაოს ქინძისთავების ანალოგიური. „ლაგურკას“ ქინძისთავის მხატვრული გაფორმებისათვისაც, გეომეტრიულ მოტივებთან ერთად, ცხვრის რქების სტილიზებული გამოსახულებაცაა მოცემული. ორივე ნივთის ანალოგიები ჯერჯერობით მხოლოდ ზემო რაჭასა და ჩრდილო კავკასიის მთის ზოლშია აღმოჩენილი.

კალასა და უშგულში გამოვლენილი ეს ორი, ერთი შეხედვით, უბრალო ნივთი, მრავალმხრივ არის საინტერესო. როგორც ცნობილია, ყველა დროის ნივთიერ მასალაში შესაბამისად ასახულია საზოგადოებრივ-სამეურნეო საქმიანობისა და სულიერი ცხოვრების უმთავრესი ნიშნები, საზოგადოების ტექნიკური ცოდნის დონე და რელიგიურ-იდეოლოგიური წარმოდგენები. ვერძის ქანდაკება და ქინძისთავი, სვანეთის არქეოლოგიურ მონაპოვრებს შორის, ჯერჯერობით ყველაზე უძველესი მხატვრული ნივთებია, რომელთა ჩამოსხმა-გაფორმება ბრინჯაოს მეტალურგიისა და მხატვრული ხელოსნობის შემდგომი განვითარებისა და დახვეწის მანიშნებელია.

აღნიშნული ნივთების შესამკობად გამოყენებული ცხოველური მოტივები, ვერძის თავის სტილიზებული ქანდაკებები ადრინდელ ხანაში ამ ტერიტორიაზე მესაქონლეობის, კერძოდ, მეცხვარეობის განვითარების საბუთია. ჩვენი წინაპრების სამეურნეო საქმიანობაში, როგორც ჩანს, ცხვარს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და ეს აისახა კიდევაც რელიგიურ წარმოდგენებშიც ტოტემიზმიდან დაწყებული, ვიდრე ცხვრის სარეწაო კულტად განვითარებამდე. აღნიშნული კარგად დასტურდება აგრეთვე ზემო რაჭისა და ჩრდილო კავკასიის უკვე შესწავლილი სინქრონული არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით, რაც სპეციალური ლიტერატურიდან კარგად არის ცნობილი და ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრ-

---

16 გ. გობეჯიშვილი, შუაბრინჯაოს ხანა, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 116.

17 П. С. Уварова, Могильники Северного Кавказа, МАК, VIII, М., 1900, с. 207, рис.213, 214.

ძელებთ. მხოლოდ დავძენთ, რომ სვანეთის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვითაც, მესაქონლეობის ეს დარგი უფრო გვიან — ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებშიაც ძლიერ დაწინაურებული ჩანს.

ამ მონაპოვრების კიდევ ერთი უმთავრესი მნიშვნელობა ის არის, რომ შუა ბრინჯაოს ხანაში უკვე მკვეთრად იგრძნობა კავკასიონის ორივე ფერდობზე მთის ზოლში მოსახლე ტომების მჭიდრო ურთიერთობა-მეზობლობა, რომლის საწყისები, სვანეთის სხვა მასალების მიხედვით, ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანიდან არის საგულისხმებელი[18]. შუა ბრინჯაოს ხანაში ეს ურთიერთობა უფრო ფართოვდება. ეს ტომები როგორც გაცვლა-გამოცვლითი, ისე საწარმოო ხერხების ურთიერთგაზიარებითაც ჩანან ერთმანეთთან დაკავშირებული.

თავი II

გვიანიბრინჯაოს ხანა

გვიანიბრინჯაოს ხანას განეკუთვნება უშგულისა და ლატალის ეკლესიებისათვის შემოწირული ბრინჯაოს სამი კოლხური და ერთი ბრტყელი ცული (ტაბ. III), ერთი თოხი (ტაბ. IV), ორი ყუნწიანი ნამგალი (ტაბ. V) და ერთი დისკოსებური გულსაკიდი (ტაბ. VI-1). ამავე დროისაა წინამორბედი მკვლევრებისაგან უშგულისა და კალის ეკლესიებში დამოწმებული ბრინჯაოს „კელტური" ცულები და სატეხები, რომლებიც სადღეისოდ ადგილზე არ აღმოჩნდა[1].

ბრინჯაოს ცულები და სატეხები მეტალურგიისა და ხით ხეროობის განვითარების მანიშნებელია. ამ რიგის მასალები სვანეთისა და მის ფარგლებს გარეთ, კოლხურსა და ყობანურ კულტურებში უხვად მოიძებნება, სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა გაშუქებული[2] და, ამიტომ, ამაზედ აქ აღარ შევჩერდებით. რაც შე-

---

18 შ. ჩართოლანი, სპილენძის უძველესი იარაღები სვანეთიდან. იხ. საისტორიო მოამბე, II, თბ., 1971, გვ. 297—346.

1 П. С. Уварова, В Пшавию, Хевсуретию и Сванетию, МАК, X, М., 1904, с. 142—143, рис. 63—65..

2 ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული, სმმ მოამბე, XVI-*b*. თბ., 1950, გვ. 35—85.; დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1965; მისივე, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების კლასიფიკაციისა და გენეზისის საკითხისათვის, სმმ, VIII-*b*, თბ., 1969, გვ. 5—30; გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1950.

ეხება ბრინჯაოს თოხსა და ყუნწიან ნამგლებს, სვანეთში ასეთი იარაღების აღმოჩენის მხოლოდ თითო შემთხვევა იყო დღემდე ცნობილი და ისიც ამ კუთხის შედარებით დაბლობ ნაწილში — ჭუბერის მხარეში, ზღვის დონიდან დაახლოებით 800 მ სიმაღლეზე, სადაც მიწათმოქმედების განვითარებისათვის საკმაოდ ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები არსებობს.

ექსპედიციის მიერ ახლად გამოვლენილი თოხი ვიწრო, დაფნისფოთლისებური მოყვანილობით ხასიათდება. იგი მოგვაგონებს ჭუბერსა და ხუდონში ადრე აღმოჩენილ ბრინჯაოს თოხებს და ტიპოლოგიური ანალიზის მიხედვით განეკუთვნება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ პეროდში გავრცელებულ ვიწროტანიან თოხებს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სვანეთში ჯერჯერობით არა ჩანს ბრინჯაოს თოხის ფართოპირიანი ფორმა, რომელიც მასიურად იყო გავრცელებული კოლხეთის ბარისა და მთისწინა ზოლის რაიონებში. უნდა აღინიშნოს, რომ სვანეთში რკინისაგან გამოჭედილ ყველაზე ადრეულ თოხებსაც ვიწრო მოყვანილობა აქვთ[3]. ამდენად სვანური არქეოლოგიური მასალები ადასტურებს პროფ. ბორის კუფტინის მიერ ადრე გამოთქმულ ვარაუდს — ვიწროპირიანი თოხების ქვახრეშიანი ნიადაგების დასამუშავებლად გამოყენების შესახებ[4]. სვანეთის ნიადაგები სწორედ ქვაღორღიანი, ხრიოკი სტრუქტურით ხასიათდება. ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს მთიანი ზოლის ეთნოგრაფიულ ყოფაშიაც ასეთი ნიადაგების დამუშავება სწორედ რკინის ვიწროპირიანი თოხებით ხორციელდება[5].

ბრინჯაოს ორივე ნამგალი ნაპოვნია უშგულში (ტაბ. V), ზღვის დონიდან 2 000 მ სიმაღლეზე. თავთავიანი კულტურების სამკალი ბრინჯაოს იარაღების აღმოჩენის ფაქტი თავისთავად სვამს საკითხს, კულტურის განვითარების ადრეულ საფეხურზე მთაში მიწათმოქმედების, მემინდვრეობის ჩასახვა-განვითარების ქრონოლოგიური და ტერიტორიული საზღვრების დადგენაზე. ამჟამად, ჩვენს ხელთარსებული არქეოლოგიური და არქეობოტანიკური მა-

---

[3] Б. Деген-Ковалевский. К истории железного производства Закавказья, по материалам расколок Чуберской железоплавильни в Свании. Изв. ГАИМК, вып. 120, 1935, с. 305, рис. 35.

[4] Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе, სსმ მოამბე, XII—B, 1944.

[5] გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობა სვანეთში, „სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1970, გვ. 12.

სალების მიხედვით სვანეთში ადრეულ ხანიდანვე ათვისებული ჩანს რბილი ხორბლის, ფეტვის, ჭვავისა და ღომის (?) კულტურები[6]. აღნიშნული მარცვალი აღმოჩენილია ჭუბერში, ნაკრაში და ეცერში. ე. ი. მათი გავრცელება სვანეთში, ადრე გამოვლენილი მასალების მიხედვით, ზღვის დონიდან დაახლოებით 1500 მ-მდე იგულისხმებოდა. უშგულის ახალი მონაპოვრების მიხედვით კი, შესაძლებელია, უძველესი მარცვლეული კულტურების გავრცელება უფრო მაღალმთიან ზოლშიც ვიგულისხმოთ. თუ ჩვენი ვარაუდი მომავალი არქეოლოგიური კვლევაძიებით დადასტურდება, მაშინ საფუძველი გვექნება კოლხეთის მთიან ზოლში ველური ჯიშის თავთავიანი კულტურების მოშინაურების პროცესიც ვივარაუდოთ.

სადღეისოდ კი უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ სვანეთის მოსახლეობა უკვე ბრინჯაოს ხანაშივე მისდევდა თავთავიანი კულტურების მოყვანას. კალა-უშგულის ტერიტორიაზე, სადაც საამისოდ გეოკლიმატური პირობები მაინც ხელსაყრელი არ არის, შესაძლებელია, ბრინჯაოს ნამგლებით ველური თავთავიანი კულტურების მოსავალს იღებდნენ. ამ რიგის საკითხების გადაწყვეტა მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა კვლევას მოითხოვს და ჩვენც ამჯერად სიტყვას არ გავაგრძელებთ.

როგორც ვხედავთ, ბრინჯაოს ნამგალი, უპირველეს ყოვლისა, თავთავიანი კულტურების სამკალი იარაღია, მაგრამ სვანეთის სინამდვილეში მისი პრაქტიკული გამოყენება ამ ფუნქციის შესრულებით არ ამოიწურებოდა. იგივე იარაღი შეიძლება გამოყენებული იყო, აგრეთვე, მესაქონლეობაში — ბალახის მოსათიბად. ამ ვარაუდს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ პირუტყვის ზამთრის საკვებად თივის დამზადების აუცილებლობა ეჰვს არ იწვევს, ხოლო საამისოდ საჭირო უფრო სპეციალიზებული იარაღი კავკასიის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებში ჯერჯერობით არ აღმოჩენილა.

გვიანბრინჯაოს ხანას უნდა მივაკუთვნოთ უშგულის მაცხოვრის ეკლესიაში დაცული დისკოსებური გულსაკიდი (ტაბ. VI-1). მისი შიგნითა მხარე გლუვია და შესაძლოა სარკის დანიშნულებას ასრულებდა, გარეთა მხარე კი რელიეფური ორნამენტითაა გაფორმებული. დისკოს ცენტრში მოთავსებული მრგვალი კოპიდან

---

[6] სვანეთის ყველა არქეოლოგიური მარცვალი განსაზღვრა აკად. ვ. მენაბდემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ოთხივე მიმართულებით სხივისებურად იშლება ერთმანეთში ჩასმული ტეხილი ხაზები. მათ შორის დარჩენილი ვიწრო ზოლი კლაკნილი ხაზებითაა შევსებული. მთლიანად გამოსახულება შეკრულია დისკოს გარეკალზე შემოყოლებული რელიეფური წრეხაზით, რომელიც მხოლოდ ყუნწის არეში წყდება.

ჩვენი აზრით, გულსაკიდის ფორმა და მხატვრობა — ცენტრალური კოპი, სხივები და სხვა მზის სიმბოლური გამოსახულებაა. კლაკნილი ხაზებით (რაც გველის გამოსახულებადაც შეიძლებოდა მიგვეჩნია) — წყალი უნდა იყოს ასოცირებული. ძნელი სათქმელია თუ რა შინაარსი იგულისხმება ყუნწზე გადმოსულ თავხვია ხაზებში.

უშგულის საკიდის ზუსტი პარალელი ჩვენთვის ცნობილ არქეოლოგიურ ძეგლებსა და ლიტერატურაში არ მოიძებნება. რამდენადმე მსგავსი მასალებიდან კი პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ა. ივანოვსკის მიერ 1896 წელს სომხეთში გათხრილი ქვაყუთებიანი სამარხების ბრინჯაოს საკიდები. კერძოდ № 66 სამარხში აღმოჩენილი დისკოსებური (d—64 მმ) ჭვირული საკიდები[7], რომლებიც დანიშნულების გარდა მხატვრული გაფორმების პრინციპითაც უახლოვდებიან სვანეთის მონაპოვარს. სომხეთის საკიდებისთვისაც დამახასიათებელია დისკოს ცენტრიდან ოთხივე მიმართულებით სხივებივით გაშლილი ხაზები. ანალოგიური გეომეტრიული გამოსახულებები დამახასიათებელია მცირე აზიისათვის, კერძოდ, ირანში — ჰისარ I, და II და ჰისარ III-ის ძეგლებში აღმოჩენილი თიხის საბეჭდავებისათვის[8].

ფორმითა და მხატვრობის სემანტიკით უშგულის მონაპოვარს გარკვეული მსგავსება აქვს აგრეთვე სომხეთის ზემოაღნიშნულ ძეგლზე აღმოჩენილ ანთიმონის ბალთებთან[9], სადაც მზის გამოსახულება დისკოს ცენტრში მოთავსებული სვასტიკის — მკლავებიანი ჯვრის სახითაა მოცემული. მსგავსება შეიძლება დავინახოთ, აგრეთვე, აღნიშნული ბალთების ზედაპირზე ოთხივე მიმართულებით გაშლილ ერთმანეთში ჩასმულ სამკუთხედებსა და სვანეთის საკიდზე მოცემულ ამავე პრინციპით განლაგებულ ტეხილ ხაზებს შორის. ბალთებზე მოცემული გაშლილი სამკუთხედებიც, ჩვენი აზ-

---

[7] А. А. Ивановский, По Закавказью, МАК, VI, 19, с. 136—137, таб. VI—11—12.

[8] Erich Schmidt, Excavations et Tepe Hissar Domghan, Philadelphia, 1937, p. XV. H.—460, H—4443, H—4447; XXVIII. H—3712; XLIX—H—2682.

[9] А. А. Ивановский, დასახ. ნაშრომი, გვ. 104, 138, ტაბ. VI—9, 10.

რით, მზის სხივებს გამოხატავენ. ა. ივანოვსკი სომხეთის ზემოდასახელებულ მონაპოვრებს ბრინჯაოს ხანის დასასრულით ათარიღებს[10].

იმავე სომხეთის მონაპოვრებიდან შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე რედკინ ლაგერის სამაროვანზე აღმოჩენილი ანთიმონის გულსაკიდები, რომელთაც ა. მარტიროსიანი X—IX სს. ათარიღებს[11].

საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან ყურადღებას იქცევს სამთავროში აღმოჩენილი ანთიმონის გულსაკიდები და ბორჯომის ხეობის მონაპოვრები — ტაბაწყურის ტბის ნაპირზე, სოფ. მოლითში შემთხვევით აღმოჩენილი თიხის საბეჭდავი, ანალოგიური ზემოაღნიშნული ჰისარის საბეჭდავებისა, რომელიც ამჟამად ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება[12]. ბორჯომის ხეობაშივე 1970 წ. სოფ. რველში არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ხოლო უფრო ადრე — შემთხვევით) აღმოჩენილია ბრინჯაოს დისკოსებური გულსაკიდები, რომლებიც რთული გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული. არქეოლოგ ო. ღამბაშიძეს ისინი მზის თაყვანისცემის — დიდი დედის — ბარბარეს ღვთაებათა ამსახველად მიაჩნია. ავტორს ამავე ტერიტორიაზე დამოწმებული აქვს ტოპონიმი „მზეთამზე", რომელსაც მზე-ბარბარეს სინონიმად მიიჩნევს და დასძენს, რომ ამ მასალებში ბარბარეს ღვთაების უძველესი ბუნებაა ასახული[13]. ამგვარი ნივთების დამზადება ძველ სვანეთში სრულიად ბუნებრივი ჩანს თუნდაც იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ აქ ბარბარეს („ბარბალ") ღვთაება განსაკუთრებით ძლიერადაა აღიარებული. მისი ადრეული ნიუანსები თითქმის დღემდე შემორჩა სვანურ ქრისტიანულ სარწმუნოებას[14].

სვანეთის ბრინჯაოს საკიდის სრული ანალიზი, როგორც უკვე ითქვა, საამისოდ აუცილებელი შესადარებელი მასალის სიმცირის გამო ჯერჯერობით არ ხერხდება, ეს, ალბათ, ამ რეგიონის მომა-

---

[10] А. А. Ивановский, დასახელებული ნაშრომი გვ. 170.

[11] А. А. Мартиросян, Армения в эпоху Бронзы, Ереван, 1964, с. 201, рис. 77, 3—7.

[12] ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ინვ. № 3/126.

[13] ო. ღამბაშიძე, გვიანბრინჯაოს ხანის მეურნეობის საკითხისათვის ბორჯომის ხეობაში. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეექვსე სესიის მოხსენებათა თეზისები, ქ. ბორჯომი, 1968, გვ. 7.

[14] ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბალ-ბაბარ), თბ., 1957.

ვალი არქეოლოგიური კვლევის შუქზე გახდება შესაძლებელი. ამჟამად კი ყველაზე უფრო სარწმუნოდ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ საკიდის ფორმა და მასზე მოცემული მხატვრობის სემანტიკა, უპირველეს ყოვლისა, მზის კულტთან ჩანს დაკავშირებული. ნიშანდობლივია ისიც, რომ სვანეთის გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ მასალებში მზის გამოსახულებები გრავირების წესითაც არის შესრულებული. ერთ-ერთ კოლხურ ცულზე მზის ოთხი გამოსახულებაა მოცემული (ტაბ. VI-3). ანალოგიური მონაპოვრები კიდევ არის ცნობილი კოლხეთის სინქრონულ ძეგლებში. არაა გამორიცხული, რომ ამ მხატვრობაში წელიწადის ოთხი დრო იყოს ასოცირებული. მზის სიმბოლური გამოსახულებები განსაკუთრებით უხვადაა მოცემული ანტიკური ხანის სვანეთის არქეოლოგიურ მასალებში, კერძოდ, ლარილარის სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს სამკაულის მხატვრობაში (ტაბ. VI-2,4). მზის კულტის არსებობა სვანეთში, არქეოლოგიურის გარდა, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და სხვა მასალებითაც კარგად დასტურდება. მეცნიერებისათვის ეს კარგად არის ცნობილი და ამიტომ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

ამრიგად, ბრინჯაოს ხანის ახლად აღრიცხული მასალები მნიშვნელოვნად ავსებენ ამ კუთხეში სხვადასხვა დროს აღმოჩენილ ამავე პერიოდის არქეოლოგიურ მონაპოვრებს, რომელთა სრული მეცნიერული ანალიზი, ამჯერად, ჩვენს მიზანს სცილდება.

თავი III

ანტიკური ხანა

კომპლექსურმა ექსპედიციამ მნიშვნელოვანი რაოდენობით აღრიცხა ანტიკური ხანის მასალები: სამკაული, ნუმიზმატიკური მასალა და სხვ.

სამკაულიდან აღსანიშნავია: ნახევრად ძვირფასი ქვების — სარდიონის, აქატის, ქალცედონის, ქარვის, გიშრის, მინის, პასტისა და სხვა მასალისაგან დამზადებული მძივები და მძივ-საკიდები, ლითონის სათითე ბეჭდები, ზოომორფული გულსაკიდები, სამაჯურები და ა. შ.

მძივ-სამკაულის გარკვეული რაოდენობა ადგილობრივი ნაწარმია, უმრავლესობა კი დამზადებული და შემოტანილია აქემე-

ნიდური ირანის, ეგვიპტის, სირიის, ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს სხვადასხვა კულტურული ცენტრებიდან (ტაბ. VIII. IX-1). შედარებით ადრეული ჯგუფის სამკაულებიდან აღსანიშნავია მოზრდილი ზომის სარდიონის სფერული მძივები, ლურჯი და ყავისფერი ფონის სხვადასხვა სახის თვალედი მძივები. განსხვავებული ზომის, ფერისა და მოყვანილობის რელიეფურ-კოპლებიანი და წვრილი მსხლისებური მძივები — ჭუბერში — ლარილარის ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი მძივების მსგავსი[1]. მომდევნო ელინისტურ თუ რომაულ ეპოქებს შეიძლება მივაკუთვნოთ ფერადი ტალღური ზოლებით ინკრუსტირებული, ლურჯი და შავი მინის მსხვილი დაღარული მძივები და სხვა სამკაული. ბევრი მათგანი უნიკალურია, რომელთა აღმოჩენის შემთხვევები საკმაოდ იშვიათია ჩვენში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ უშგულის მაცხოვრის ეკლესიაში დაცული მინის მილიოფირული მძივები. მათთვის დამახასიათებელია ნივთის სიღრმეში განლაგებული ფერადი დეკორი, რომელიც ღია, გამჭვირვალე მინის ფენით არის გარშემოვლებული. ასეთი მძივები და მინის სხვა საგნები ძვ. წ. III—I საუკუნეებში, ძირითადად, მხოლოდ ეგვიპტეში, ქ. ალექსანდრიაში მზადდებოდა და იქიდან ვრცელდებოდა[2]. მილიოფირული ნაწარმი განსაკუთრებით ძვირად ფასობდა. იგი ფუფუნების ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო რომის სამეფო ხელისუფლების კარზე. რომაელები სწორედ მილიოფირის ნაწარმით ილებდნენ ხარკს ალექსანდრიიდან. გარკვეულ პერიოდში იგი ოქროს დონეზე ფასობდა. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, იმპერატორმა ნერონმა საგანგებოდ დაამსხვრია მისი კუთვნილი მილიოფირული საგნები, რათა ისინი ხელთ არ ჩავარდნოდათ ტახტის პრეტენდენტებს. ახლად აღრიცხულ მასალებში, მილიოფირულს გარდა, გვაქვს აგრთვე ამ ნიმუშის მიხედვით დამზადებული ფერადი ინკრუსტირებული მძივები, რომლებიც დედანთან შედარებით, რამდენადმე გვიანდელები არიან და მათ დაახლოებით ახ. წ. I—III სს. მიაკუთვნებენ[3].

---

[1] შ. ჩართოლანი, ლარილარის სამაროვანი, გვ. 310.

[2] Neiburg, Clas in Antiquety, London, 1949; Е. Н. Крупнов, Новые данные по археологии Северного Кавказа. С. А., 1958, № 3, с. 141. С. А., 1958, № 3, с. 141.

[3] Н. Качанов, Стекло, М., 1959, с. 10—20.

მაღალი ტექნიკითა და მხატვრული გემოვნებით შესრულებული მინის ნაწარმიდან აღვნიშნავთ, აგრეთვე, ფრინველთა გამოსახულებებს (ტაბ. X-1,2). ისინი სხვადასხვა ფერის მინისაგანაა დამზადებული. მსგავსი ნაწარმის აღმოჩენის მხოლოდ ორიოდე შემთხვევაა დამოწმებული საქართველოში და ისიც ამ ბოლო წლებში, ერთი — ვანში ძვ. წ. IV ს დასასრულის კულტურულ ფენაში[4], ხოლო მეორე — ვანთან ახლოს, სამტრედიის რაიონის სოფ. დაბლაგომში, ძვ. წ. IV—III სს. მიჯნით დათარიღებულ მდიდრულ სამარხში[5]. დაბლაგომის მონაპოვარი უფრო უხეშადაა დამუშავებული და მოგვაგონებს სვანეთის ერთ შემთხვევით მონაპოვარს, რომელიც ამჟამად სოფ. ჭუბერში ინახება.

ფრინველის გამოსახულებები ფართოდ გავრცელებული მოტივია ანტიკური ხანის მხატვრულ ხელოსნობაში. სვანეთში, ჭუბერის კრემაციულ სამაროვანზე, ძვ. წ. VI—IV სს, სხვა მასალებთან ერთად, დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ფრინველის ქანდაკებები, რომლებიც კვალიფიციური ოსტატის მიერ სხვადასხვა სახის ორნამენტითაა გაფორმებული (ტაბ. X-3,5)[6].

ექსპედიციამ სვანეთში გამოავლინა უფრო გვიანდელი დროის ხის, აგრეთვე ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ფრინველის ქანდაკებები (ტაბ. X-4). მინისებური პასტისაგან დამზადებული მსგავსი ქანდაკებები (საკიდები) ჟინვალის ექსპედიციამ 1971 წელს აღმოაჩინა XII ს ბავშვის სამარხში[7]. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ნ. სტოიანოვის მიერ 1876 წელს დამოწმებული ფაქტები იმისა, რომ სვანეთის ეკლესიებში მოიძებნებოდა ფრინველის ხის გამოსახულებანი, რომლებიც გალიაში იყო მოთავსებული. როგორც ავტორს ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეუტყვია, ეს ქანდაკებები ადრეულ ასაკში დაღუპული ან გარდაცვლილი ბავშვების ხსოვნის აღსანიშნავად ყოფილა ჭირისუფლებისაგან შემოწირული[8]. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ლიტერატურული ტრადიციით ადრეულ ქრისტიანობაში ფრინველის გამოსა-

---

4 ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წ. საველე დავთარი, № 3—72/408.

5 საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური განყ. ფონდი, ინვ. № 494.

6 შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ლარილარის სამაროვანი, გვ. 316, ტაბ. III.

7 რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, მ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წ. ანგარიში.

8 Н. А. С т о я н о в, Путешествие по Сванетии, ЭКОИРГО, кн. X, вып. II, 1876, с. 314.

ხულება ციურ სამოთხეს გამოხატავდა, მაშინ სვანური მასალების მიხედვით საკმაოდ ნათლად ჩანს ტოტემიზმიდან ანიმიზმისაკენ განვითარების სურათი. ლითონის ქანდაკებებს სვანთა ეთნოგრაფიულ გადმონაშთებში ხვითოს („ლახვარ") ფუნქციაც ენიჭებოდა.

ტოტემისტური წარმოდგენები, თავისთავად, ბუნებისაგან ჯერ კიდევ სრულად გამოუყოფელი ადამიანის პრიმიტიული მატერიალისტურ-იდეოლოგიური წარმოდგენებია. ჩვენი მოსაზრების დამადასტურებელ ფაქტად საკმარისია გავიხსენოთ, სვანური ანიმისტური წარმოდგენა ფრინველთა მფარველ, კეთილ სულზე, შემდეგში ღვთაებად განვითარებულ „აფსაასის" კულტზე, რომლის ჩამოყალიბებაც ქრონოლოგიურად პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის ხანას ემთხვევა. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ ხანას განეკუთვნება ჩვენი ადრეული არქეოლოგიური მონაპოვარიც. ამ ეპოქებშია ფესვგადგმული გვიანდელ ხანებში ასეთი ნივთების გამოყენების ან მათი ახლად დამზადების ჩვევები და მათთან დაკავშირებული რელიგიური წარმოდგენები, რამაც გადმონაშთების სახით გვიანობამდე შემოინახა თავი და განაპირობა სვანთა რელიგიური ჩვევა-წარმოდგენების ს ი ნ კ რ ე ტ უ ლ ი ხასიათი.

ანტიკურ ხანას უნდა მივაკუთვნოთ ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ზოომორფული გამოსახულებები, კერძოდ, გულსაკიდი დათვის თავის გამოსახულებით (ტაბ. XI-5). მსგავსი მასალები აღმოჩენილია სვანეთში — ლარილარისა და ზემო რაჭაში — ბრილის ანტიკური ხანის სამაროვნებზე, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში[9]. იგივე შეიძლება ითქვას ბრინჯაოს ვერძის სტილიზებულ ქანდაკებაზე (ტაბ. XII-1). იგი ნაკლულია, შემორჩენილი აქვს მხოლოდ თავი და კისერი.

გვიანანტიკური და რომაული ხანის მასალებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, უშგულის მთავარანგელოზის ეკლესიაში დაცული ეგვიპტური მძივი — ცისფერი პასტისაგან გამოძერწილი მწოლიარე ლომის გამოსახულებით (ტაბ. XI-3,4). სვანეთში აღმოჩენილი 3 ცალი ასეთი მძივი ამჟამად საქართველოს სახელმწიფო და მესტიის მუზეუმებშია დაცული. კოლხეთის მთიან ზოლში ისინი აღმოჩენილია, აგრეთვე, ზემო რაჭაში — ბრილში. ამავე ქრონოლოგიურ ჭრილში პირობით შეიძლება მოვათავსოთ ძვლისაგან დამზადებული თევზის თავი და ზოგიერთი სახეობის ვერცხლის სადა

---

[9] MAK, VIII, таб. XXXI, XLIII.

სამაჯური, სალესი ქვები და სხვა. ყურადღებას იქცევს დაგურკას ეკლესიაში დაცული ერთი ცალი ბრინჯაოს სამაჯური (ტაბ. XI-1), იგი თავგახსნილია და მასიური. რკალის შუა ადგილზე ლომის სტილიზებული თავია გამოქანდაკებული. მეორე, ზუსტად ასეთივე სამაჯური მესტიის მუზეუმში ინახება (ტაბ. XI-2). სხვა, ანალოგიური აღმოჩენის დასახელება ჯერჯერობით არ ხერხდება, მაგრამ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მსგავსი ცხოველის გამოსახულება ჩვენ მიერ დამოწმებულია რკინის ჯვრის ერთ-ერთ ტოტზე, რომელიც ქვემო სვანეთშია ნაპოვნი და ამჟამად ლენტეხის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტში ინახება. უნდა ვიფიქროთ, რომ ლომის სახის გამოსახულებას გარკვეული ადგილი ეჭირა ამ კუთხის მხატვრულ ხელოსნობაში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სვანეთის ისტორიულ-მხატვრულ ძეგლებში ლომის სახე დამოწმებულია აგრეთვე განვითარებულ შუასაუკუნეებში — „ერთობილი სვანეთის დროშის“ სახით, რომელსაც ლომის ფორმა აქვს და სახელადაც ლომს ანუ სვანურად „ლემ“-ს უწოდებენ[10]. ამ დროშის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი, ამჯერად კი გვინდა დავძინოთ, რომ სეტიის საეკლესიო ქონების შემადგენლობაში, ადრე, ერთი ლომის თავის ქანდაკებაც არის სავარაუდო. აკად. ექვთ. თაყაიშვილის მოსაზრებით, იგი ვერცხლისაგან უნდა ყოფილიყო ჩამოსხმული[11]. როგორც ჩანს, ლომის სახის გამოსახულებამ ამ კუთხის მხატვრულ ხელოსნობაში გვიანობამდე შემოინახა თავი, მაგრამ მისი სრული მეცნიერული ახსნა სათანადო მასალების სიმცირის გამო, ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ექსპედიციამ დიდი რაოდენობით აღრიცხა სხვადასხვა დროის ნუმიზმატიკური მასალა. მათ შორის ყველაზე ადრეულია ალექსანდრე მაკედონელისა და ავგუსტ კეისრის მონეტების ადგილობრივი ქართული მინაბაძები. ვიძლევით მათ აღწერილობას:

1. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი (ტაბ. XIII-3). ოქრო, წონა — 3,52 გ.

შ უ ბ ლ ი: გაუხეშებული, სქემატური გამოსახულება ადამიანის თავისა, მარჯვნივ, — ქალღმერთი ათენას თავი. გამოსახულების წინ ოთხი, ხოლო უკან ერთი რელიეფური წერტილი.

---

10 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, 1941, გვ. 56.

11 ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 272, 274.

ზ ურ გ ი: ფრთოსანი არსება პირდაპირ (გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გამოსახულების სქემატური ასლი). გამოსახულების ორივე მხარეს თითო წყვილი რელიეფური წერტილი.

აღნიშნული მონეტა დედანისადმი მიბაძვის ერთ-ერთ გვიანდელ საფეხურს უნდა მივაკუთვნოთ. მსგავსი მონეტების გავრცელების ხანად ქართველი ნუმიზმატები ახ. წ. I—II სს. მიიჩნევენ[12]. ჩვენი აზრით, სვანეთის მონეტაც ამავე პერიოდს განეკუთვნება.

II. ავგუსტუს კეისრის დენარის მინაბაძი (ტაბ. XIV-4). ოქრო, წონა 2,42 გრ.

შ უ ბ ლ ი: იმპერატორის უაღრესად დამახინჯებული პროფილი მარცხნივ. გამოსახულების უკან წერტილოვანი რკალი.

ზ ურ გ ი: გაიუსისა და ლუციუსის ერთმანეთის საპირისპიროდ მდგარი უაღრესად დამახინჯებული გამოსახულება. ისინი ეყრდნობიან მახვილებს, შუაში ფარი. გამოსახულების გარშემო წერტილოვანი რკალი.

მონეტაზე მოცემული გამოსახულება მეტად სქემატურია, რაც აძნელებს მის შედარებას ლიტერატურულ პარალელებთან. წინასწარი ვარაუდით, მონეტა ახ. წ. III საუკუნით შეიძლება დავათარიღოთ.

ავგუსტუსის დენარის მინაბაძის სვანეთში აღმოჩენის სხვა შემთხვევა ჩვენთვის ცნობილი არ არის. რაც შეეხება ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების მინაბაძებს, მათი რაოდენობა მარტო ზემო სვანეთის ტერიტორიაზე უკვე ექვსამდე აღწევს.

ახლად გამოვლინებული მონეტის უახლოესი ანალოგია ალ. მაკედონელის სტატერის ერთ-ერთი მინაბაძი (ტაბ. XIII-2), რომელიც მესტიის მუზეუმშია დაცული; წონა — 4,41 გ[13]. მათგან რამდენადმე განსხვავდება აქვე დაცული მეორე მინაბაძი (ტაბ. XIII-4) ოქრო, წონა 1,65 გ[14]. ამ მომენტის შუბლზე ადამიანის გაუხეშებული გამოსახულება მოცემულია მარცხნივ. ასევე განსხვავებულია ზურგის მხარეზე მოცემული ქალღმერთი ნიკეს გამოსახულების ასლი.

---

12 დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 37.

13 სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 578.

14 სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 451.

ზემო სვანეთში აღმოჩენილი ერთი მინაბაძი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში[15].

ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მეხუთე მინაბაძი ნაპოვნია ჭუბერის ხეობაში სოფ. ზედამარღში, იქვე მცხოვრებ სოსლან ჩხვიმიანის მიერ და დღესაც ინახება მასთან; ოქრო, წონა — 6,1 გ, დიამეტრი — 14 მმ, სისქე — 2-3 მმ.

შ უ ბ ლ ი: ქალღმერთ ათინას თავის გამოსახულება, მუზარადში მარჯვნივ; თმების კულულები გადმოცემულია სამი რელიეფური ხაზით. ასევე პირობითაა გადმოცემული ყელზე მძივები; თვალი გამოსახულია რელიეფურ წრეში ჩასმული მაღალი წერტილით.

ზ უ რ გ ი: გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს სტილიზებული გამოსახულება, პირდაპირ, ძლიერ გაუხეშებული თავი ოდნავ მობრუნებულია მარცხნივ, მარცხენა გაშლილი მკლავი ისარს მოგვაგონებს, გამოსახულების ორივე მხარეს წერტილების ჯგუფია.

ამ ნიმუშზე მოცემული გამოსახულებები უფრო მეტად გვანან პროტოტიპებს და წონითაც აღემატება ზემოთ მოტანილ მინაბაძებს. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დედნისადმი მიბაძვის ერთ-ერთი ადრეული საფეხურია.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების ქართული მინაბაძების წონითი რემედიუმი 1 გრამიდან 5,5 გრამამდე მერყეობს[16]. მიღებულ მოსაზრებაში ერთგვარი კორექტივი შეაქვს ზედამარღის მონაპოვარს, რომლის წონა, როგორც ზემოთ აღინიშნა 6,1 გ. შეადგენს. სვანეთის ზემოაღნიშნული მონაპოვრების მიხედვით თითქოს ჩანს კიდევაც ქართული მინაბაძების მხატვრული და წონითი მაჩვენებლების თანდათანობითი დაცემის საერთო სურათი.

ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძების გარდა, სვანეთში აღმოჩენილია ლისიმაქეს სტატერის ოქროს ერთი მინაბაძი. ე. პახომოვის მიხედვით, ეს მონეტა იპოვეს 1944 წელს, „გრუზზოლოტოს“ მუშებმა მდინარე მულხურაზე ქვიშის გარეცხვის დროს[17]. აღნიშნულ სამუშაოზე დასაქმებული მუშების გადმოცემით კი მონეტა უპოვნიათ იმავე მულახის თემში სოფელ არცხე-

---

[15] Е. А. П а х о м о в, Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. V, № 1321.

[16] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, წარსულის მაცნეები, ა ბ., 1965, გვ. 40.

[17] Е. А. П а х о м о в, Клады... М., № 1331.

ლის აღმოსავლეთით, არქეოლოგიურ ფენებში, რომელიც უხვად შეიცავდა მინის მძივებს, ოქროს სამაჯურებს, ვერძის, გომბეშოს და სხვა არსებათა მოყვანილობის საკიდებს, მცირე ზომის ოქროს ზოდებს და ა. შ.[18]. აღნიშნული ტერიტორიის ზედაპირულმა დაზვერვამ ნაწილობრივ დაადასტურა ჩვენთვის მოწოდებული ცნობები; აკრეფილია მინისა და პასტის წვრილი მძივები; როგორც ჩანს, აქ ძველი და ახალი წელთაღრიცხვათა მიჯნის არქეოლოგიური ძეგლი დაინგრა[19].

როგორც ცნობილია, ე. წ. „მინაბაძები“ გაჩნდა მაშინ, როდესაც ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო შეწყდა მათი პროტოტიპების — ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერების შემოტანა. სვანეთში „მინაბაძების“ აღმოჩენას სრულიად კანონზომიერს ხდის ის გარემოებაც, რომ ამ რეგიონში დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ორიგინალები, რის შესახებაც საინტერესო ლიტერატურული ცნობებია მოცემული ა. ზოგრაფის, ე. პახომოვის, ს. მაკალათიას, დ. კაპანაძის, ოთ. ლორთქიფანიძისა და სხვა მკვლევართა ნაშრომებში. ნუმიზმატ გ. დონდუას ამ ბოლოდროინდელი გამოკვლევით დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის 372 სტატერიდან — 366 სვანეთშია ნაპოვნი, ხოლო საქართველოში ნაპოვნი ლისიმაქეს 6 მონეტიდან — 2 ცალი აღმოჩნდა სვანეთში[20]. ამ აღმოჩენებიდან მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. ისინი სხვადასხვა მუზეუმებშია დაცული და ზემოაღნიშნული ავტორების მიერ სპეციალურ ლიტერატურაში გამოქვეყნებული. გამონაკლისს წარმოადგენს ამ მკვლევრებისათვის ხელმიუწვდომელი ალექსანდრე მაკედონელის ორი სტატერი. ორივე ნაპოვნია ჭუბერში, სოფ. ლარილარში. ერთი ცალი მესტიის მუზეუმში ინახება, ხოლო მეორე — ჭუბერში, კერძო პირთან.

---

18 აღნიშნული ძეგლი სამწუხაროდ მთლიანად ჩანს დანგრეული. მუშების გადმოცემით ოქროს ნივთები წონით ჩაუბარებიათ „გრუზზოლტოს“ მიმღები პუნქტებისათვის, ხოლო მძივ-სამკაული ადგილობრივ მოსახლეობაში გაფანტულა.

19 შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, სვანეთის 1965 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, XV სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები, თბ., 1966, გვ. 38.

20 გ. დ უ ნ დ უ ა, საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები, ჟურ. „მაცნე“, 1973, № 1, გვ. 61.

მესტიის მუზეუმში დაცული მონეტა 8,55 გრამს იწონის (ტაბ. XIII-1)[21].

შ უ ბ ლ ი: ქალღმერთი ათინას გამოსახულება მარჯვნივ, კორინთულ მუზარადში, ყელზე — მძივები, ყურებზე — საყურეები, თმები გადმოცემულია ოთხი დაწნული კულულით[22].

ზ უ რ გ ი: გამარჯვების ქალღმერთი ნიკეს გამოსახულება ოდნავ მარჯვნივ შებრუნებული. წინ გაშვერილ მარჯვენა ხელზე — გვირგვინის გამოსახულება, მარცხენა მხარეზე — სტილიდა, მარჯვენა ხელის ქვეშ — მონოგრამა IΣI, მარჯვნივ ზევიდან ქვევით ბერძნულად ალექსანდრეს სახელი ΑΛΕΞΑΝΔΡ.

იმავე ლარილარში ნაპოვნი ალექსანდრე მაკედონელის მეორე მონეტის წონა 8,5 გრ. შეადგენს.

შ უ ბ ლ ი დ ა ზ უ რ გ ი ანალოგიურია ზემოთ აღწერილი სტატერისა, ოღონდ მისგან განსხვავებით, ამ ნიმუშის ზურგზე ქალღმერთ ნიკეს ფრთების ორივე მხარეზეა წარწერა განლაგებული; მარცხნივ — ΒΑΣΙΛΕΩΣ, მარჯვნივ — ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ, მარჯვნივ ქვევით მონოგრამა — NP მოთავსებულია გვირგვინში. მარცხნივ — ნიშანი — X.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით ტიტული ΒΑΣΙΛΕΩΣ ალექსანდრე მაკედონელის ადრეულ სტატერებსა და ტეტრადრაქმებზე არ გვხვდება. ამ ტიტულის მოთავსება მონეტებზე მას მხოლოდ აზიის დაპყრობის შემდეგ, არა უადრეს 329 წ. დაუწყია, ისიც მხოლოდ ფინიკიის ზარაფხანის მონეტებზე. ბაბილონისა და საკუთრივ საბერძნეთის პროდუქციაზე კი — არა უადრეს ალექსანდრე მაკედონელის სიცოცხლის უკანასკნელი წლებისა[23]. როგორც ჩანს, ჭუბერში სხვადასხვა ადგილას და განსხვავებულ დროს მოჭრილი მონეტებია ერთად ნაპოვნი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოუქვეყნებელი ანტიკური ხანის ნუმიზმატიკური მასალებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ერთი ცალი პანტიკაპეის ავტონომიური, საქალაქო ოქროს სტატერი და ორი ცალი „კოლხური თეთრი“. ვიძლევით მათ აღწერილობას:

---

21 მესტიის ისტ. ეთნოგრ. მუზეუმი, ინვ. № 721.

22 სრულიად უმართებულოა ამ ბოლო ხანებში ა. ჩარკვიანის მიერ მოცემული აღწერილობა; მონეტის შუბლზე გამოსახულ ქალღმერთ ათინას ავტორი რატომღაც ალექსანდრე მაკედონელის გამოსახულებად მიიჩნევს. იხ. ა. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, საბჭოთა სვანეთი, თბ., 1974, გვ. 261; მ ი ს ი ვ ე, ახალი სამეცნიერო დაწესებულება სვანეთში, გაზ. ახალი სვანეთი, 1974, 14 მარტი, № 32.

23 გ. დ უ ნ დ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

პანტიკაპეური, ოქრო, წონა — 9,05 გ (ტაბ. XIV—1).

შ უ ბ ლ ი: წვერებიანი სატირის გამოსახულება მარცხნივ, თავზე სუროს გვირგვინით.

ზ უ რ გ ი: მარცხნივ მიმავალი ფანტასტიკური გრიფონის გამოსახულება, პირში შუბით. ფეხქვეშ ჰორიზონტალურად დადებული პურის თავთავი. მონეტის არეზე სამი რელიეფური ბერძნული ასო — ΓΑΝ -პანტიკაპეოსი.

მონეტის შუბლზე მოთავსებული სუროს გვირგვინიანი სატირის გამოსახულება, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, IV ს. 40—30-იან წლებში ჩნდება, ხოლო გამოსახულება მისი განვითარების ერთ-ერთი უკანასკნელი საფეხურია და უკვე ძვ. წ. IV ს. უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება.

სამწუხაროდ, მისი აღმოჩენის პირობების შესახებ მუზეუმს სათანადო ცნობები არ შეუკრებია, გარდა იმისა, რომ იგი სოფ. მულახშია ნაპოვნი და იქვე შეძენილი. ასეთ ვითარებაში არა გვაქვს საშუალება ვიმსჯელოთ საკითხზე — ეკუთვნის თუ არა იგი სვანეთში აღმოჩენილ პანტიკაპეის ოქროს სტატერების განძს, რომლის შესახებაც ა. ზოგრაფს აქვს ცნობა გამოქვეყნებული[24].

„კოლხური თეთრის“ ორივე ნიმუში ერთი ტიპისაა (ტაბ. XIV-2.3). ვერცხლი, წონა — 1,7—2,2 გ.

შ უ ბ ლ ი: ადამიანის თავის რელიეფური გამოსახულება მარჯვნივ.

ზ უ რ გ ი: ხარის თავის გამოსახულება მარჯვნივ, რელიეფურ წრეხაზში ჩასმული. საერთო მახასიათებლების გარდა, აღნიშნული მონეტები განსხვავდებიან კიდევაც ერთმანეთისაგან, წონით და გამოსახულებათა ცალკეული დეტალებით. როგორც ჩანს, ისინი სხვადასხვა სახელოსნოებშია ჩამოსხმული. ანალოგიური მონეტები ძვ. წ. IV—II სს. იყო განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებული დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში[25].

ლიტერატურული ცნობების მიხედვით (ე. პახომოვი, ა. ზოგრაფი, ევ. გაბლიანი, ს. მაკალათია, დ. კაპანაძე, ოთ. ლორთქიფანიძე, გ. დუნდუა და სხვ.), სვანეთში განძებისა და ცალკეული ნიმუშების სახით აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის მონეტების საერთო რაოდენობა ოთხას ცალს აღემატება. დაახლოებით იგივეს

---

[24] А. Н. З о г р а ф, Античные золотые монеты Кавказа, Изв. ГАИМК. в. 10, М.-Л., 1935, с. 187.

[25] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 195, ვვ. 27.

ადასტურებს ადგილობრივ მოსახლეობაში შემონახული ნარატიული ცნობები, თუმცა ისინი ყოველთვის არ ემთხვევიან ლიტერატურულ ცნობებს, სადაც რიგ შემთხვევაში არასწორადაა მოცემული აღმოჩენათა ადგილი, რაოდენობა და ა. შ. ეს საკითხები დაზუსტებას მოითხოვს და რაც შეიძლება დროულად, ვიდრე არსებობს ადგილზე საამისო ცნობების აკრეფის საშუალება. როგორც ეს საველე მუშაობამ გვიჩვენა, ამ კუთხეში ჯერ კიდევ შეიძლება ძველი აღმოჩენებიდან ოჯახებში საიდუმლო რელიკვიად შემონახული ძვირფასი ნუმიზმატიკური მასალების მიგნება.

სვანეთში გამოვლენილი ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ანტიკური ხანის ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალების აბსოლუტური უმრავლესობა ადრევე გაიყიდა შავ ბაზარზე და საბოლოოდ დაეკარგა მეცნიერებას. სხვადასხვა მუზეუმებში, ეკლესიებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში შემონახული ანტიკური ხანის ოქროსა და ვერცხლის მონეტების საერთო რაოდენობა სადღეისოდ უკვე თვრამეტ ცალს შეადგენს. ახალი მონაცემებით, რამდენადმე იცვლება მათი დამზადების, გავრცელებისა და აღმოჩენების ქრონოლოგიური არეალის შესახებ აქამდე ნაცნობი სურათი. ნიშანდობლივია ისიც, რომ სვანეთის ნუმიზმატიკური და სინქრონული არქეოლოგიური მონაპოვრები მხარს უბამენ ამ კუთხის ბუნებრივი რესურსებისა თუ ძველი მოსახლეობის საქმიანობის შესახებ არსებულ ბერძნულ-რომაულ წერილობით წყაროებს. ყველა ისინი ერთმანეთს ავსებენ და საუკეთესო წყარო გროვდება. ჯერ ერთი, ისტორიული კოლხეთის მთისა და ბარის კულტურულ-ეკონომიური ერთიანობისა და, შემდეგ, მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ძველი სურათის აღსადგენად. ზემოაღნიშნული ქართული ისტორიოგრაფიისათვის საინტერესო საკითხებია და საგანგებო კვლევა-ძიებას მოითხოვს.

თავი IV

შუა საუკუნეები

შუა საუკუნეების მრავალფეროვანი მასალიდან განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი რკინის იარაღი — ისრისა და შუბისპირები. მარტო ლაგურკას ეკლესიაში მათი რაოდენობა 800 ცალს აღემატება. როგორც ზემოთ ითქვა, არც თუ

დიდი ხნის წინათ რკინის ისრების ასევე დიდი რაოდენობა უშგულის ეკლესიებშიაც ყოფილა, მაგრამ ექსპედიციის მისვლამდე ვერ შემონახულა. ამჟამად, აქ მხოლოდ 11 ცალი ისრისპირია დაცული. კალა-უშგულში და, საერთოდ, სვანეთში ჩვენამდე შემონახული ისრისპირების რაოდენობა მაინც დიდია. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მდიდარი კოლექცია სადღეისოდ არც ერთ მუზეუმსა და განძსაცავს არ მოეპოვება. ფორმებისა და დანიშნულების მიხედვით, მათ შორის შეიძლება გამოვყოთ: სანადირო, საბრძოლო, საბრძოლო-სანადირო და საპარადო ისრისპირები.

1. სანადირო ისრისპირებს განეკუთვნებიან ორკაპა ბოძალი და ქიბორჯი ისრისპირები. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მათი ფუნქცია მსხვილ ნადირზე გამოყენება ყოფილა „... რომელი აქვნდათ დიდი ნადირთათვის"[1]. ბოძალ ისრისპირებში გამოირჩევა სხვადასხვა ზომის, გაშლილი და ვიწრო, წახნაგოვანი და გლუვი, ერთ ან ორივე მხარეს ალესილი და სხვა ფორმის პირის მქონე ნიმუშები. ქიბორჯ ისრისპირებს შორის ფართო და ვიწროკაპიანი ფორმები გამოირჩევა. ზროს დასაგებად — ყველა ყუნწიანია (ტაბ. XVI-2; XVIII; XXII).

ამავე დანიშნულების მეორე ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ ე. წ. ქეიბური ისრისპირები. ეს ტიპიც მსხვილი ნადირისათვის ყოფილა განკუთვნილი[2]. ძირითადი ფორმებიდან აღსანიშნავია: 1. ფოთლისებური ანუ ალისებური (ტაბ. XIX; XXIII-5; XXIV-7-10). 2. რომბული ქეიბურები (ტაბ. XXI-10,11; XXIV-1,2,3,4; XXVIII-12, 13, 14). მათ შორის გამოირჩევა მოკლე და წაგრძელებული ფორმები. 3. ბრტყელი სატეხისებური ანუ მონღოლური ისრისპირები (ტაბ. XXI-6). 4. სეგმენტისებურპირიანები (ტაბ. XXII-1, 2, 3,4), დაშვებულფრთებიანები (ტაბ. XXIII-6) და სხვა.

2. საბრძოლო ანუ საყალნო ისრისპირები ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. ტექნიკური და მხატვრული გაფორმებით გამოირჩევა შემდეგი ძირითადი სახესხვაობები. ა) ოთხკუთხაგანივკვეთიანი, მეტნაკლებად წაგრძელებული, ბ) სამკუთხა, გ) რომბული და დ) წვეტიან-ოვალურ-განივკვეთიანი ისრის-

---

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1942, გვ. 14.

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

პირები. სულხან-საბას მიხედვით, მათ სარჩა ისრისპირები ეწოდებათ[3]. პირიდან ყუნწზე გარდამავალი ადგილის გაფორმებით გამოირჩევა: სადა-ბიკონუსური, პირდაპირ ჩაჭრილი, გვირგვინიანი, მეტ-ნაკლები სიფართით მიყელილი, გრძელლეროიანი-მრგვალი, დაწახნაგებული და სხვა ფორმები (ტაბ. XV-6; XVII, XX; XXI; XXV-6—15; XXVI—2, 3, XXVII; XXVIII).

სხვადასხვა სახეობის ვიწრო ისრისპირები, რომელთა რაოდენობა 700 ცალს აღწევს, ბრძოლის პროცესში, ჯავშანშემოსილ მტრის წინააღმდეგ სასროლად ჩანს უპირატესად განკუთვნილი, ისრისპირების მოყვანილობის გარდა, ამას მიუთითებს მათი წრთობისა და მოალვის მაღალი ხარისხი.

საბრძოლო დანიშნულებისაა ლაგურკას ეკლესიაში გამოვლენილი რკინის ორი ხელშუბისპირი ანუ ზუფანი (ტაბ. XV-1,2). ასეთი იარაღი საჩხვლეტ-საძგერებლად და ახლო მანძილზე ხელით სატყორცნად იყო განკუთვნილი. ანალოგიური იარაღი საქართველოს სხვა რაიონებში თითქმის არ ჩანს შემორჩენილი. გარკვეული მსგავსება აქვთ მათ მესტიის მუზეუმებში დაცულ ერთ, ყუნწიან შუბისპირთან (ტაბ XV-4) და იფარში აღმოჩენილ შუბისპირებთან.

3. საბრძოლო-საანადირო (ორმაგი) დანიშნულების იარაღად შეიძლება მივიჩნიოთ საშუალო ზომის რომბული, სატეხისებური და ზოგიერთი სხვა ფორმის ისრისპირები. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სვანეთის პირობებში, სადაც ნადირობამ, როგორც მეურნეობის დარგმა, გვიანობამდე შემოინახა თავი, საჭირო შემთხვევაში, ამ მიზნით, ყველა სახეობის ისრისპირის გამოყენებაა საგულისხმებელი. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ვიწრო ოთხკუთხგანივკვეთიანი ისრისპირები მონადირეთა სადგომ გამოქვაბულშიცაა ნაპოვნი.

1972 წ. სვანეთში აღრიცხული რკინის იარაღების აბსოლუტური უმრავლესობა შუაფეოდალურ ხანას განეკუთვნება, თუმცა იარაღის ზოგიერთმა ფორმამ, აქაც, როგორც ჩანს, გვიანობამდე შემოინახა თავი. ზოგიერთი ნიმუში კი უფრო ადრეული ხანის ნიშნებს ატარებს.

განვითარებული შუასაუკუნეების ისრისპირებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ვვაქვს ე. წ. ვიწრო ჯავშანსაწინააღმდეგო ის-

---

3 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1884.

ისრისპირები (ტაბ. XXII; XXV-9,10; XXVII; XXIX-1—11). უახლესი დროის არქეოლოგიური მონაპოვრებიდან ანალოგიური ისრისპირები ცნობილია ვარძიაში, აქ 1971 წ. IX-XII სს. კერამიკასთან ერთად იქნა ისინი აღმოჩენილი[4]. საქართველოს გარეთ ამ ტიპის იარაღი ყველაზე დიდი რაოდენობით ნოვგოროდში აღმოჩნდა. ა. მედვედევი მათი განსაკუთრებით ფართო გავრცელების ხანად X-XII სს. მიიჩნევს[5]. საქართველოში შემთხვევითი მონაპოვრებიდან ასეთი ისრისპირების უდიდესი რაოდენობა — 111 ცალი (ოდიშის განძი) დაცულია ზუგდიდის მუზეუმში[6], 8 ცალი — ქუთაისის მუზეუმში[7], 9 ცალი — მესტიის მუზეუმში[8] და ა. შ. უნდა აღინიშნოს, რომ სვანეთის მონაპოვრები ტექნიკურ-მხატვრული ნიშნებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ჩანს, ვიდრე სხვა დანარჩენები, გარდა გენერალ კომაროვის კოლექციაში წარმოდგენილი ისრისპირებისა, რომლებიც აფხაზეთში ჩანს შეგროვილი[9].

ამავე პერიოდს, უფრო ზუსტად თამარის მეფობის ხანას მიაკუთვნებენ მოკლე რომბულგანივკვეთიან ისრისპირებს. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ამ ტიპის ერთ-ერთ ისრისპირზე დასმული ნიშანი, რომელიც ერთი შეხედვით მოგვაგონებს თამარ-დავით სოსლანის გერბის დამღას — მოცემულს მათი სახელით მოჭრილ მონეტებზე[10] და სასახელო მიწის სამიჯნო (საზღვრო) ქვის სტელებზე[11]. ამ ისრისპირებს ეტყობათ ხმარების კვალი.

---

4 ვარძიის 1970 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე დავთარი, $3\frac{70}{184}$; $3\frac{70}{185}$. მასალა ინახება ვარძიის ნაკრძალის საცავში.

5 А. Ф. Медведев, Оружие Новгорода Великого, МИА, 65, 1954, с. 170.

6 ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდები. უნომრო.

7 აკად. ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის ისტორიული ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 27/34—38.

8 სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 247, 173, 211, 212, 214.

9 Д. Ермаков, Археологические раскопки и древности (альбом), таб. № 28 (5175).

10 დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, ტაბ. VI, გვ. 69. 70.

11 საქართველოს სახ. მუზეუმის IV—XII ს. ექსპოზიცია, III დარბაზი, ქვის სტელა. ინვ. № 210.

ქეიბური ანუ ალისებური ისრისპირების კალაში აღმოჩენილი სახესხვაობა (ტაბ. XIX) IX—XII სს. ფართოდ გავრცელდა როგორც საქართველოში, ისე ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთში. ანალოგიური ისრისპირები (21 ცალი), ამჟამად ქუთაისის მუზეუმში რომ ინახება, რაჭიდან — მრავალძალისის ეკლესიიდანაა ჩამოტანილი[12]. სამი ცალი დაცულია ცაგერის მუზეუმში[13], ხოლო რვა ცალი — საქართველოს სახ. მუზეუმშია. აქედან შვიდი ისრისპირი დმანისის ნაქალაქარზე ჩანს აღმოჩენილი[14].

კალაში, ლაგურკას ეკლესიაში ნაპოვნი მეორე სახეობის პირმოკვეთილი ანუ სატეხისებური ქეიბურის (ტაბ. XX-6) ანალოგები საქართველოში ცოტაა ჯერჯერობით გამოვლენილი. ერთი ცალი გამოქვეყნებული აქვს ერმაკოვს, იგი აფხაზეთში უნდა იყოს ნაპოვნი[15]. ორი ცალი ინახება მესტიის მუზეუმში[16]. მათ ეტყობათ მიწაში ყოფნის კვალი. ჩრდილო კავკასიაში ისინი უპირატესად მონღოლთა მიერ დანგრეულ ქალაქებში გვხვდება, რამაც ზოგიერთ ავტორს საფუძველი მისცა ამ ტიპის ისრისპირებისათვის მონღოლური ეწოდებინა[17]. თვით მონღოლეთსა და ციმბირში ასეთმა ისრისპირებმა XIV ს. ბოლომდე იარსებეს[18]. ქართველი მკვლევრები, ამ ტიპის ისრისპირების ჩვენში მცირე რაოდენობით აღმოჩენის გამო, ჯერჯერობით იზიარებენ ა. მედვედევის ზემოაღნიშნულ ვარაუდს.

1936—37 წწ. დმანისში განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი პარალელების მიხედვით X—XIII სს. თარიღდება სვანეთში ნაპოვნი გრძელღეროიანი პირმოკლე სარჩა ისრისპირები. ამავე პერიოდშია ის გავრცელებული რუსეთ-ნოვგოროდის მხარეში[19]. ამ ტიპის ისრისპირები კავკასიაში დიდხანს ყოფილა ხმარებაში. მსგავსი იარაღია გამოსახული XV ს.

---

[12] ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, უნომრო.

[13] ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, უნომრო.

[14] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის IV—XIII საუკუნეების გამოფენა, II დარბაზი. კარადა № 1.

[15] Д. Эрмаков, указ. альбом, таб. № 29.

[16] სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 174, 331.

[17] Н. И. Воронин, Древнее Грозно, МИА, 41, 1965, с. 165.

[18] А. Ф. Медведев, указ. соч., 166.

[19] А. Ф. Медведев, указ. соч., с. 167.

ჯრუჭის დავითნის მინიატურაში[20]. 2 ცალი ამჟამად დაცულია ქუთაისის მუზეუმში. ზოგადად, შუაფეოდალურ ხანას მივაკუთვნებთ აგრეთვე მცირე ზომის რომბისებურ ისრისპირებს (ტაბ. XXI-11). მსგავსი ისრისპირები, ოღონდ უფრო დახვეწილი ფორმები, მნიშვნელოვანი რაოდენობითაა ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში[21].

ჯერჯერობით ზუსტი დათარიღების გარეშე რჩება ლაგურკის ერთი ცალი ღეროგრეხილი ისრისპირი, რომელსაც ძლიერ დაშვებული ფრთებიდან ცალი მოტეხილი აქვს. ერთი ცალი ანალოგიური ისრისპირი, ასევე ცალფრთამოტეხილი, რომელიც აფხაზეთში ჩანს ნაპოვნი, გენერალ კომაროვის კოლექციის შემადგენლობაში გამოქვეყნებული აქვს ერმაკოვს[22]. ასევე ძნელია ზუსტი ასაკის დადგენა რკინის ხელშუბისპირებისათვის. მათი ზუსტი ორეულები სადღეისოდ ჩვენთვის ცნობილი არ არის, საერთო მოყვანილობის მიხედვით, როგორც უკვე ითქვა, ახლოსაა მესტიის მუზეუმში დაცული ერთი შუბისპირი. რამდენადმე მსგავსი, მაგრამ შედარებით მცირე ზომის იარაღებს შეიცავს კომაროვის ზემოაღნიშნული კოლექცია[23].

ბოძალი, ორკაპა ისრისპირები სხვადასხვა ფორმითა და ზომებითაა წარმოდგენილი (ტაბ. XVI-2, XVIII; XXII). გამოირჩევა ნაკლებად განპობილი, მაგრამ წამახული, შედარებით მდარე ხელობის ნიმუშები; ადრეფეოდალურ ხანაში გავრცელებული ბოძალების მსგავსი და ტექნიკურად უფრო სრულყოფილი, ზუსტი სიმეტრიული პროპორციების მქონე; ზოგადად ერთმანეთის მსგავსი და ცალკეულ ნაწილთა განსხვავებული ნიუანსებით გაფორმებული ისრისპირები. ისინი განვითარებულ შუასაუკუნეებისა და მომდევნო ხანების ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ. სვანურის მსგავსი სხვადასხვა ბოძალები გვაქვს კომაროვის კოლექციაში. დღემდე შემთხვევით შემონახული ან არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ამ ტიპის იარაღებიდან აღსანიშნავია: 14 ცალი — ქუთაისის მუზეუმში — რაჭიდან და აფხაზეთიდან ჩამოტა-

---

20 Л. А. Шервашидзе, О средневековой грузинской светской миниатюре (миниатюры батальной тематики в Джрутской псальтипии), Тб., 1964.

21 Д. Эрмаков, указ. альбом, ф. 24, 28.

22 იქვე, ფოტო 28 (მარჯვენა კუთხეში), 25-9,16.

23 Д. Эрмаков, указ. альбом, фото 24.

ნილი[24] და თითო ცალი — დმანისში, ნაჭივჭავებზე, ვანში ნაპოვნი ისრის პირები[25].

როგორც უკვე ითქვა, ისრისპირების მცირე ნაწილი ადრეფეოდალურ ხანას შეიძლება მივაკუთვნოთ, მაგალითად, სვანეთის რომბული ისრისპირების ერთი სახეობა უახლოვდება ატენის სიონის ფასადის ფილაზე რელიეფურად გამოსახულ ისრისპირს, რომელსაც ირემს სტყორცნის მონადირე. ასევე ადრეული ჩანს ბოძალი ისრისპირების ერთი სახეობა (ტაბ. XXII-4) და ორიოდე ფრაგმენტის სახით წარმოდგენილი სამფრთიანი მარტივი ისრისპირები, მსგავსი ურბინისისა და საქართველოს სხვა ადრეფეოდალური ხანის ისრისპირების შესაბამისი ფორმებისა[26]. სამფრთიანი ფორმით, ამავე ჯგუფის იარაღებთან საერთო აქვს ლაგურკას ეკლესიაში გამოვლინებულ, მხატვრულად გაფორმებულ სამფრთიან ისრისპირს (ტაბ. XXIX-2), მაგრამ დღემდე ცნობილი ადრე ფეოდალური ხანის სამფრთიანი ისრისპირებისაგან განსხვავებით იგი უფრო სრულყოფილია, რაც მისი დამზადების რამდენადმე გვიანდელ თარიღზე შეიძლება მიუთითებდეს.

უთუოდ დიდია ექსპედიციის მიერ აღრიცხული, ეკლესიებისათვის სხვადასხვა დროს შეწირული იარაღის ნომენკლატურა; ცულები, მშვილდები, ისრისა და შუბისპირები, კვერთხები, სატევრები, საპირწამლეები, კაჟიანი და თანამედროვე ცეცხლმსროლელი იარაღის ტყვიები, ვაზნები და ა. შ. როგორც ირკვევა, ხატისა თუ ეკლესიისათვის იარაღის შეწირვა, ამ მხარეში ადრევე ჩამოყალიბებული და შემდეგ ტრადიციად ქცეული ჩვევაა ხალხისა, რაც აიხსნება, ერთი მხრივ, საბრძოლო თუ სანადირო იარაღის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობით, ხოლო, მეორე მხრივ, წარმართული რელიგიური წარმოდგენებით — ტოტემიზმისა და იარაღის კულტის არსებობით სვანეთში.

ცნობილია, რომ სვანები მრავალ თავდასხმას და სამხედრო შეხლა-შემოხლას აწარმოებდნენ მეზობელ ტომებთან. რა თქმა უნდა, ეს ბრძოლები ძლიერი პოლიტიკური ჟღერადობისა არ იყო, სისხლისმღვრელი შეტაკებები თუ ომები, როგორც ჩანს, წარმოების ერთ-ერთ დარგად იყო ქცეული; ეს მითუმეტეს, რომ გეოგრაფი-

---

24 ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ინვ. № 5455/1-15; 5615/1-3; 5629/4-6.

25 საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდი, ა. № 121.

26 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124, სურ. 55, 1—6. საქ. სახ. მუზეუმის IV—XIII სს. ექსპოზიცია, I დარბაზი, № 2 კარადა.

ულ-ბუნებრივი პირობები სვანეთისა ყველგან და ყოველთვის არ
იძლეოდა მიწათმოქმედებისა თუ მესაქონლეობის მ ძ ლ ა ვ რ ა დ
განვითარების საშუალებას. ეს ფაქტორი კიდევ უფრო უბიძგებდა
აქ „სამხედრო დემოკრატიის“ წესწყობილების საკმაოდ დიდხანს
შენარჩუნებას (განსაკუთრებით ზემო სვანეთის რეგიონში).

მრავალი ქართული, ბერძნული, რომაული და სხვა ისტორიუ-
ლი წყაროები ადასტურებს ჩვენს ამ ვარაუდს. ამასთან, ეს წყა-
როები სვანთა შესახებ აღნიშნავს როგორც საუკეთესო მეომრებ-
ზე. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ცნობილი ისტორიკოსისა და
გეოგრაფოსის სტრაბონის ცნობა სვანეთის შესახებ, სადაც ნათ-
ქვამია, რომ სვანები „საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის
მხრივ: ფლობენ ისინი ირგვლივ (ყველაფერს) და უპყრიათ კავ-
კასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის.
ჰყავთ მათ ბასილევსი და საბჭო 300 მამაკაცისაგან შემდგარი და,
როგორც ამბობენ, ჰკრებენ ლაშქარს 200 000 (კაცის რაოდენო-
ბით): მართლაც მთელი ხალხი მეომარია,... სვანები ისრის წვერე-
ბისათვის წამალს ხმაროობენ და საოცრად იტანჯებიან მისი სუნის
გამო მოუწამლავი ისრებით დაჭრილებიც კი“[27]. როგორც სტრაბო-
ნის ცნობიდან ჩანს, სვანები არა მარტო საუკეთესო მოისრენი იყვ-
ნენ და კარგად ფლობდნენ ამ იარაღს, არამედ მათ კარგად იცოდ-
ნენ ისრისპირების საბრძოლო თვისებების ხელოვნურად გაზრდაც.
კერძოდ, ისინი ისრისპირებს ქიმიურ შხამს უსვამდნენ; მა-
შასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ სვანები დაუფლებული იყვნენ
ამ შხამის მიღების ქიმიურ წესსაც.

ანალოგიურ ცნობებს გვაწვდიან უფრო გვიანდელი ხანის ბერ-
ძენ-რომაელი მწერლები. თუ გავითვალისწინებთ სვანეთის ტერი-
ტორიის ხელსაყრელ სტრატეგიულ მდებარეობას, სვანთა სამხედ-
რო ძლიერებასა და, შესაბამისად, საბრძოლო იარაღის წარმოების
განვითარების დონეს, მაშინ უფრო ნათელი იქნებოდა ჩვენთვის
ბიზანტია-ირანს შორის VI საუკუნეში არსებული ცნობილი მეტო-
ქეობა სვანეთის გამო[28]. აღსანიშნავია, რომ ამ ორივე სახელმწი-
ფოს განსაკუთრებით აინტერესებდა სვანეთზე საკუთარი პოლიტი-
კური უფლებების გავრცელება.

„ქართლის ცხოვრებაში“ თუ სხვა ქართულ წერილობით წყა-
როებში, მართალია, გაფანტულად, მაგრამ მაინც არაერთი ცნობაა

---

27 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 126.
28 გეორგიკა, III, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1936.

დაცული სვანებისაგან ბარის მოსახლეობაზე თავდასხმების მოწყობის შესახებ. სწორედ ამის გამოა, რომ ქართველი მემატიანე სვანებს უწოდებს „ავისა მოხარკულნი“, რომელთაც „დაარბიეს და ამოსწყვდეს საეგრო“[29]. ასევე, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვებით, გიორგი მეფეს „სუანეთი და ყოველი სამოქალაქო აქუნდა დაწყნარებით“, ხოლო „ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისი“ აღნიშნავს, რომ შეწყდა „ავის მოქმედება... და პარვა ოვსების, მთიელების, ყივჩაღებისა და სვანეთის მხრიდან“[30].

იგივე ითქმის ჩრდილო კავკასიის ხალხებისა და სვანების ურთიერთობის შესახებაც — სვანები ძალიან ხშირად საომარ შეტაკებებს მართავდნენ ნადავლის, საქონლის ჯოგების ხელში ჩასაგდებად. ამ ხალხთა ურთიერთთავდასხმებმა თითქმის გვიანობამდე, კერძოდ, XIX საუკუნის ბოლო ხანებამდეც კი გასტანა.

მოტანილი ფაქტები უნდა განვიხილოთ არა იმ აზრით თითქოს ომები თუ თავდასხმები რაიმე მკაფიო პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა, არამედ ეს გამომდინარეობდა, ჯერ ერთი, თვით „სამხედრო დემოკრატიის“ წყობილების შინაგანი ბუნებიდან და, მეორეც, განპირობებული იყო სამეურნეო ცხოვრების თავისებურებებით, რამდენადაც ომები თუ მტაცებლური თავდასხმები შეადგენდნენ აქაური წარმოების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, მატერიალური შემოსავლის წყაროს. საკითხის ამგვარად დასმას გამართლება თვით მარქსისტულ თეორიაში ეძებნება. კ. მარქსი მიუთითებს, რომ „ომი არის ყოველი ბუნებრივად ჩამოყალიბებული კოლექტივის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თავდაპირველი სახე, როგორც საკუთრების შესანარჩუნებლად, ისე მის შესაძენად“[31]. სვანთა სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობისა და საზოგადოებრივი წყობის ამ ჭრილში განხილვისათვის ასევე მნიშვნელოვანია, იარაღის კიდევ ერთი სახეობა — კვერთხები, რასაც ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით, როგორც ხელისუფლების ინსიგნიას.

თავისთავად ცხადია, რომ გამუდმებული ომები და თავდასხმები, სამხედრო შეხლა-შემოხლები გამოიწვევდა სამხედრო ტექნიკის სულ უფროდაუფრო მეტ დახვეწა-განვითარებას და, შესაბამისად, სამხედრო იარაღის წარმოების ზრდას. სვანეთში ისრის-

---

29 ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, ტ. I, გვ. 316.

30 იქვე, გვ. 369.

31 კ. მარქსი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952, გვ. 35.

პირების განსაკუთრებული სიმრავლე და მრავალფეროვნება, დამ-
ზადების მაღალი ხარისხი, ტექნიკის ამ დარგის იქამდე განვითარე-
ბაც კი, რომ ბევრი მათგანი, თითქმის ფოლადის დონემდეა ნაწრ-
თობი, ხოლო ზოგიერთ ნიმუშზე მოცემული გვაქვს მხატვრული
ხელოსნობის მეტად მაღალი დონე. მიუთითებს ჩვენი ვარაუდის
სისწორეს. აღსანიშნავია, რომ უფრო გვიანდელ ხანებშიც კვლავ
გრძელდებოდა სვანი ხალხის ძიება და მუშაობა ამ მიმართულე-
ბით. ამის დასამოწმებლად საკმარისია აღინიშნოს ამ კუთხეში კა-
ჟიანი ცეცხლმსროლელი იარაღის სიმრავლე და მრავალფეროვნე-
ბა. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება, აგრეთვე, სვანეთში ცეცხლ-
მსროლელი იარაღის, კერძოდ, თოფის ლულის შიდაპირის მოსა-
პირკეთებელი დაზგის მოწყობილობათა აღმოჩენის ფაქტი (მისი
ერთი ეგზემპლარი დაცულია სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ
მუზეუმში); ასევე, სვანი ხალხის ტრადიციული ცოდნა დენთის
დამზადებაში. მრავალი რუსი და უცხოელი მოგზაური თავის სა-
მოგზაურო ჩანაწერებში საგანგებოდ აღნიშნავს აქ გავრცელებული
დენთის მიღების ადგილობრივი წესების შესახებ.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, სვანეთში აღმოჩენილი რკინის
ისრისა და შუბისპირების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის, ჩვენ-
თვის ცნობილ ლიტერატურაში პარალელები არ მოიძებნება. ეს
ფაქტი ეგებ სწორედ იმაზე მიუთითებდეს, რომ სვანებს ადრიდან-
ვე გააჩნდათ იარაღის საკუთარი წარმოება, ჰქონდათ ამ წარმო-
ების საკუთარი წესები და მეთოდები. სწორედ ამიტომაც, საკვლე-
ვი იარაღების ერთი ნაწილი საბრძოლო იარაღის ლოკალურ ვა-
რიანტად გვესახება.

სვანეთში იარაღის საკუთარი წარმოებისათვის საკმაოდ ძლი-
ერი ბაზა არსებობდა საამისოდ საჭირო ნედლეულის მარაგისა და
ლითონის მოპოვება-დამუშავების მდიდარი ტრადიციების სახით.
აქ იყო საკმარისად განვითარებული რკინის მეტალურგია, რომლის
არქეოლოგიური საბუთია, ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ
უცნობი მეტალურგიული მოედნები — ჭუბერში, ქვედა იფარში,
დიზში და სხვაგან. რკინის იარაღის ადგილობრივ დამზადებას მოწ-
მობს აგრეთვე ლაგურკას ეკლესიაში დაცული ისრისპირების წუნი
და სვანეთის მუზეუმში დაცული, ბოლომდე დაუმუშავებელი
რკინის შუბისპირი (ტაბ. XV-3) და სხვ.

მეტალურგიული და იარაღის წარმოების მაღალი დონე სვა-
ნეთში მთლიანად ექვემდებარება საზოგადოების მოთხოვნილებას.
მაშასადამე, ტექნიკურად სრულყოფილ, დახვეწილ იარაღზე სა-

ზოგადოების გაზრდილმა მოთხოვნილებამ განაპირობა, ჩვენი აზრით, აქ, სამხედრო ტექნიკის განვითარება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის შემოქმედთა — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ცნობილ დებულებას, რომ საზოგადოების მოთხოვნილება აპირობებს ტექნიკის განვითარებას, რომლის გათვალისწინებაც წინ სწევს მეცნიერებას[32].

შუა საუკუნეებში სვანთა ცხოვრებაში ხშირი საომარი შეტაკებებისა თუ სხვა სახის მტრული შეხლა-შემოხლის საუკეთესო დადასტურებაა აქაური არქიტექტურული ძეგლები — საბრძოლო კოშკები, ციხე-სახლები, „ლანტყვიირ"-დილეგები, ბურჯებიანი გალავნები, დახურული წყალსადენები, საიდუმლო გვირაბები და სხვ. ასეთ სიტუაციაში, მშვილდ-ისრის, როგორც წამყვანი სახეობის იარაღის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ჩანს თუნდაც იმ ფაქტში, რომ სვანური კოშკების საბრძოლო სარკმელი — სათოფური, დღემდე „სანცხვირად" ანუ საისრედ იწოდება. სვანურ მეტყველებაში, კერძოდ, იდიომატურ გამოთქმებში და ძველ ხალხურ პოეზიაში ისარი სვანურად — „ც ხ უ" („ცხვი") — ნიშნავს როგორც ისარს, ასევე თოფის ტყვიასაც. ასე მაგალითად, „ცხუ ღევარს ი მაწვდის დემის ესერ „ᲐთᲨურე" — ტყვია დამნაშავეს და მართალს არ არჩევსო. ან კიდევ, „ქა ლუკვარ ცხუ ღეშდ დარ ესერ მოშ იტხე" — გასროლილ ტყვიას უკან ვერავინ ვერ დააბრუნებსო"[33]. სრულიად ჩვეულებრივია „ცხუს" ასეთი მნიშვნელობა ძველ სვანურ სიმღერებში[34].

გვიანდელ დროში, სვანთა ეთნოგრფიულ ყოფაში ტარიანი მშვილდი იყო ხმარებაში, რომელსაც სვანები „ც ჯ ე მ ა დ"-ს უწოდებენ. ეს სახელწოდება, ქართული შესატყვისის მსგავსად, ორი სიტყვისაგან შედგება: „ც ჯ ე მ ა დ" — „ც"-საწყისი ასოა დარჩენილი სიტყვა „ც ხ ვ ი"-დან (ისარი); „ჯ ე მ ა დ" კი — მშვილდის სვანური სახელია. მაშასადამე, მშვილდისრის სვანური სახელწოდების ეტიმოლოგიური შინაარსი საკვლევი იარაღის ადრინდელ ფორმას ასახავს. ძნელი სათქმელია თუ ზუსტად რომელ დრომდე იყო ხმარებაში უტარო მშვილდისარი, მაგრამ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ სხვა სიძველეებთან ერთად, ამ ტიპის მშვილდისრებიც შემოგვრჩა სვანეთში, მესტიის მუზეუმში დაცული ორი ასე-

---

32 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 644—650; კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 617—619.

33 ა. დ ა ვ ი თ ი ა ნ ი, სვანური ანდაზები, თბ., 1973, გვ. 146, 173.

34 სვანური პოეზია, თბ., 1939, გვ. 122.

თი იარაღიდან, ერთი უშგულის მაცხოვრის ეკლესიიდან ჩანს წამოღებული. აღნიშნული მშვილდების დასამზადებლად გამოყენებულია სხვადასხვა ჯიშის მერქანი, ძვალი, რქა და ლითონი. ტექნიკური და მხატვრული თვალსაზრისით, სვანეთის მშვილდები ამ ტიპის იარაღის უაღრესად განვითარებული ნიმუშებია და, ალბათ, წარჩინებულ პირთა კუთვნილებას წარმოადგენდა.

რკინის ისრისა და შუბისპირების პრაქტიკული გამოყენების მეორე, მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს სამეურნეო დარგი, კერძოდ, ნადირობა-შემგროვებლობა. სვანეთის ბუნებრივი პირობები, მდიდარი ფლორა და ფაუნა, მეტად ხელსაყრელ ვითარებას ჰქმნიდა მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, მონადირე შემგროვებელთა პირველი კვალი ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაშია დადასტურებული. კიდევ უფრო კარგად ჩანს მისი დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ბრინჯაოსა და ადრერკინის ეპოქებში. აღნიშნული ეპოქების კუთვნილ არქეოლოგიურ მასალებში სანადირო იარაღების გარდა, წარმოდგენილია, აგრეთვე, მთის გარემოში ნადირობისათვის აუცილებელი, ზოგიერთი სახეობის საჭურველი, თოვლ-ყინულოვან რელიეფზე მოძრაობის გასაადვილებლად განკუთვნილი მუჯრის (ჯოხის) წვერები, რომელთაც საჩხვლეტი იარაღის (შუბის) დანიშნულებაც ჰქონდათ[35].

მომდევნო, ანტიკურ ხანაში, სვანეთში, მეურნეობის ამ დარგის დასახასიათებლად, განსაკუთრებით მდიდარ მასალას მოიცავს ლარილარის სამარხეული კომპლექსი, სადაც მნიშვნელოვანი რაოდენობით აღმოჩნდა არა მარტო იარაღ-საჭურველი, არამედ ბრინჯაოს მხატვრული ნივთები, რომლებიც აქაურ ფაუნას წარმოგვიდგენს. მათ შორის ჩვენს ყურადღებას იქცევს სანადირო ნომენკლატურის ცხოველები და ფრინველები: ჯიხვი, ირემი, დათვი, შურთხი, როჭო და ა. შ.[36]. სხვა ცხოველებიდან, რომელიც ნადირობას შეიძლება დავუკავშიროთ, აღსანიშნავია აგრეთვე აქვე ნაპოვნი ძაღლისა და ცხენის ქანდაკებები და სხვ. აღნიშნული ნივთები სამკაულებად (გულსაკიდებად) და ავგაროზებადაა განკუთვნილი. ბუნებრივია, ოსტატმა ადგილობრივი ფაუნის ის წარმომადგენლები გამოაქანდაკა, რომელთაც პირველხარისხოვანი სამეურნეო დანიშნულების გამო, უკვე დიდი ხანია კულტისა და რელიგიის სფე-

---

35 შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, სვანეთი ბრინჯაოს ხანაში, ავტორეფერატი (რუსულ ენაზე), თბ., 1974, გვ. 22—23.

36 შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ლარილარის სამაროვანი, გვ. 307, ტაბ. III-4, 5, 9;

როში დაიმკვიდრეს ადგილი, მსგავსად კომპლექსური ექსპედიციის მიერ ახლად გამოვლენილი, სხვადასხვა ეპოქების კუთვნილი ანალოგიური ნივთიერი მასალებისა. რომელთა შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ნადირობა სვანეთის მოსახლეობას იაფ საკვებ ხორცსა და ძვირფას ტყავ-ბეწვეულს აძლევდა. საამისოდ, აქ სადღეისოდ გავრცელებული ნადირ-ფრინველიც საკმარის ბაზას იძლევა. მაგრამ ჩვენს ხელთარსებული მასალების მიხედვით, ამ ნომენკლატურას ემატება აგრეთვე, ირემი და გარეული ღორი. ამის საბუთია ლარილარის სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს სათითე ბეჭედი (საბეჭდავი), რომლის ბრტყელ ფარაკზე მონადირის მიერ ისარნასროლი გაქცეული ირმის გამოსახულებაა ამოჭრილი[37]. სვანეთის სხვადასხვა ადგილებში ნაპოვნი ირმის რქები ამჟამად ადგილობრივ მოსახლეობაში და ეკლესიებშია თავმოყრილი.

ლარილარის საბეჭდავზე მოცემული სიუჟეტი კარგი საბუთია ჯერ კიდევ ანტიკური ხანის სვანეთში ირემზე (და, საერთოდ, მსხვილ ნადირზე) მშვილდ-ისრით ნადირობისა. ამ თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია კომპლექსური ექსპედიციის მიერ მიკვლეული სოფ. მუჟალის XI საუკუნის, მთავარანგელოზის ეკლესიის შიგნითა კედელზე ამოკაწრული, ბოძალნასროლი ჯიხვის გამოსახულება. იგი პირდაპირ შეესატყვისება ზემომოტანილ, წერილობით წყაროს ცნობას, შუასაუკუნეების საქართველოში მსხვილ ნადირზე ბოძალი ისრებით ნადირობის შესახებ.

ნადირობის მდიდარი ტრადიციები და მისი სერიოზული ეკონომიური მნიშვნელობა კარგად ჩანს ამ კუთხის ეთნოგრაფიულ გადმონაშთებში, რომელიც ჯერჯერობით საგანგებოდ არავის არ შეუსწავლია, მაგრამ შემხვედრ საკითხებთან დაკავშირებით, არაერთ მკვლევარს აქვს მოშველიებული. მათ შორის განსაკუთრებული ღირებულებისაა პროფ. ა. რობაქიძის „კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში“, თბ., 1941. კ. ასტახიშვილის „სამთო მოძრაობის ხალხური გამოცდილება და მისი გამოყენება თანამედროვე ალპინიზმის პრაქტიკაში“, (საკანდიდატო ნაშრომი, თბ., 1968); მისივე, — „მთამსვლელობის ხალხური ტრადიციები საქართველოში“ (თბ., 1969). აღნიშნულ ნაშრომებში მოტანილი მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს, რომ მთიან რაჭაში და სვანეთში ტრადიციით შემორჩენილი მთაში მოძრაობის წესები და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები ადგილობრივ ბუნებრივ გარე-

37 შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 308, ტაბ. III-10.

მოსთანაა შეხამებული, ხოლო თავიანთი წარმოშობით — მეტად ადრეულ ეპოქებშია ფესვგამდგარი. ამ მოსაზრების არქეოლოგიური დასაბუთებაა რაჭისა და სვანეთის მაღალმთიან (საჯიხვეების) ზოლში ბრინჯაოსა და რკინის იარაღ-საჭურვლის აღმოჩენის ფაქტები[38]. როგორც ჩანს, სწორედ ნადირობამ მისცა სტიმული ზოგიერთი საზეობის იარაღის ფორმათა ჩამოყალიბებასა და ფართო წარმოებას.

სვანთა ეთნოგრაფიულ ყოფაში გვიანობამდე შემორჩენილი ხალხური ჩვეულები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ნადირობის მატერიალური ბაზისა და ორგანიზაციის ზოგიერთი ადრინდელი ფორმის შესახებ. ასე მაგალითად, ამ რეგიონში გადმონაშთურ ფორმებში შემორჩენილი, ჯიხვზე კოლექტიური ნადირობა, შვლის კისრის გადატეხით დამორჩილება[39], ნანადირევის განაწილებაში თანასწორუფლებიანობის პირობები[40] და სხვა, ჯერ კიდევ წინარეკლასობრივი საზოგადოების სამონადირეო საქმისათვის იყო დამახასიათებელი[41].

ნადირობის სერიოზულმა სამეურნეო მნიშვნელობამ თავისი ასახვა ჰპოვა, აგრეთვე, სულიერ კულტურაში. ამას ადასტურებს ნადირობასთან დაკავშირებული მთელი რიგი რიტუალური ცერემონიები, საკულტო-რელიგიური წარმოდგენები, სამონადირეო ჟანრის სიმღერა-ფერხულები, გავრცელებული ლეგენდები და სხვ. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის ფაქტი, რომ სვანთა რელიგიურ წარმოდგენებში გვიანობამდე შემორჩა ნადირისა და ნადირობის მფარველი ღვთაებები: „დ ა ლ“, „ა ბ ს ა ს დ“, „ს გ ი მ ბ ე რ მ ო ძ ღ ვ ა რ“, „ი ე ლ“ და სხვა[42], რომელთაც აშკარად წინარექრისტიანული ბუნება გააჩნიათ. ქრისტიანულ რელიგიაში ეს ფუნქცია მინიჭებული აქვთ დიდ ღმერთს — „ფუსნა ბუასდიშ“-სა და წმ. გიორგის — „ჯგერაგ-ს“. ამ უკანასკნელს ნაწილობრივ მითვისებული აქვს, აგრეთვე, ქალ-ღვთაება დალის ფუნქციები, თუმცა მთლიანად ვერ ფარავს მას[43]. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ

---

38 შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, სვანეთი ბრინჯაოს ხანაში, (საკანდიდატო ნაშრომი), თბ., 1974, გვ. 157—159.

39 ა. რ ო ბ ა ქ ი ძ ე. კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, გვ. 127.

40 ბ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964.

41 ა. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13, 102, 103.

42 ბ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

43 მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში, სამეცნიერო სესია მიძღვნილი სვანეთის 1972 წ. კომპლექსური ექსპედიციის მუშაობის შედეგებისადმი. ანოტაციები, თბ., 1973, გვ. 15.

საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, სვანეთში ვხვდებით სანადირო ადგილებთან ახლოს აშენებულ წმ. გიორგის სახელობის, მონადირეთა სალოცავებს — „მ ე თ ხ ვ ი ა რ ე ჯ გ გ რ ა გ“-ს. იგივე ფუნქცია აქვთ შემორჩენილი წარმართული დროის მცირე სამლოცველოს ნაგებობებს — „ვ ი თ ი ნ“-ებს.

„დ ა ლ ი“ ჯიხვისა და არჩვის მწყემსავი ქალ-ღვთაებაა, რომელიც მიუვალ კლდეებში ცხოვრობს. იგი განაგებს ბედს ნადირობაში. მისი სილამაზისა და ძალის შესახებ არაერთი ლეგენდა შეუთხზავთ სვანთა წინაპრებს. „ა ფ ს ა ს დ“-ფრინველთა მფარველია. ფრინველის კულტი კი, ნივთიერი საბუთების მიხედვით, უწყვეტად მონაწილეობს სვანთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული, ვიდრე გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით. უნდა ვიფიქროთ, რომ კულტის სფეროში ფრინველის შეჭრა მისი სანადირო-სამეურნეო დანიშნულებითაც არის გაპირობებული. იგი ადრეულ ხანაშივე იყო ერთ-ერთი ძირითადი სანადირო ობიექტი სვანეთის მოსახლეობისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სვანეთის ეკლესიებისათვის ჯიხვის არჩვისა და ირმის რქების შეწირვის მასობრივად გავრცელებული წესი[44], რომელიც წარმართული დროიდან მომდინარეობს და ნადირობასთან დაკავშირებულ უძველეს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს (ტოტემიზმი) უკავშირდება[45]. სვანთა რელიგიურ წარმოდგენებში თუ სამონადირეო ყანრის სიმღერებში და თქმულება-ლეგენდებში სინკრეტულადაა მოცემული ადრინდელი და ქრისტიანული ეპოქების მონადირის იდეოლოგია.

ამრიგად, ჩვენს ხელთარსებული არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული მასალები და სათანადო წერილობითი წყაროები მიუთითებს, რომ სვანეთში სოფლის მეურნეობის მთავარი დარგების — მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების პროდუქტების ნადირობითა და შემგროვებლობით შევსება თითქმის ყველა დროისათვის იყო დამახასიათებელი. ე. ი. საკვლევ ტერიტორიაზე მიმთვისებლური მეურნეობა თანაარსებობდა მწარმოებლურ მე-

---

[44] Д. З. Бакрадзе, Сванетия, ЗКОИРГО, Тифлис, 1864, VI, с. 43; Г. Д. Эристов, Заметки о Сванети, Тиф., 1898, 98.

[45] В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957; ვ. მაკალათია, დასახელებული ნაშრომი.

ურნეობასთან ერთად, რაც მთის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი იყო შეპირობებული.

კომპლექსური ექსპედიციის მიერ სვანეთში ახლად აღრიცხული ისრისა და შუბისპირებიდან ცალკე შეიძლება გამოვყოთ, მხატვრულად გაფორმებული ნიმუშები, რომელთაც საკულტო-საპარადო თუ ხელისუფლების, ინსიგნიის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამ ნივთების მხატვრული ეფექტის გაზრდის მიზნით, ჭვირული, რელიეფური ორნამენტი და სხვა ხერხებია გამოყენებული (ტაბ. XXIX), ასე მაგალითად, ლაგურაკას ეკლესიაში დაცული რკინის სამფრთიანი ისრისპირი, ჭვირული და რელიეფური ორნამენტით გამოსახული დეტალის გარდა, დაფერილია ოქროთი, რასაც მოწმობს ისრისპირზე შემორჩენილი ოქროს საღებავის ფრაგმენტები (ტაბ. XXIX-2). მეორე სამფრთიანი ისრისპირისათვის, მხატვრულად მოდელირებული თხელი ფრთების გარდა, დამახასიათებელია, აგრეთვე, მეწამულად შეღებილი ზრო და ზროს ბოლოში ჩასმული, საგანგებოდ გათლილი ძვლის მრგვალი ნაწილი სამი ნახვრეტით. (ტაბ. XXIX-3) ასეთი მხატვრული მაჩვენებლები გამორიცხავს ჩვეულებრივი ისრისპირების სახით მათ გამოყენებას. იგივე უნდა ითქვას სვანეთში შემონახულ სხვა იარაღების შესახებაც, კერძოდ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში დაცულ, მხატვრულად გაფორმებულ, რკინის ორფრთიან შუბისპირზე (ტაბ. XXIX-4), რომელიც ,ლაგურკას ისრისპირის მსგავსად, ჭვირულით, მაგრამ განსხვავებული მოტივით არის შელამაზებული.

წარმოდგენილი იარაღები, სადღეისოდ, თითქმის, განყენებულად გამოიყურება არქეოლოგიურსა და ეთნოგრაფიულ მასალებს შორის, რადგან მათი ზუსტი ორეულები ჯერჯერობით არ არის სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი. ამ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, ძნელია მათი წარმომავლობისა თუ დანიშნულების შესახებ კატეგორიული მსჯელობა, თუმცა ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა მაინც დასაშვებად გვეჩვენება; არ არის გამორიცხული, რომ ისინი წარჩინებულ პირებს განეკუთვნებოდა და საგანგებო შემთხვევაში თუ საპარადო-სპორტულ ცერემონიალებში გამოსაყენებლად იყო განკუთვნილი. ამასთან, ზოგი მათგანი, კერძოდ, მესტიის შუბისპირი და ლაგურკას ისრისპირი შეიძლება დროშისთავებადაც მივიჩნიოთ. ასეთი ვერსიის გასამაგრებლად არაერთი საბუთი შეიძლება მოვიტანოთ.

როგორც ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალებით

შტკიცდება, იარაღი, პრაქტიკული გამოყენების გამო, საზოგადოებრივი განვითარების პროცესში დიდების შარავანდედით იმოსება და კულტის საგნად იქცევა. გამოჩენილი ეთნოგრაფი ლ. შტერნბერგი მიუთითებს, რომ კრეტაზე ზოგიერთ გვარებს თავიანთ ტოტემად მიაჩნდათ ორპირა ცული[46], ხოლო სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ ტომს — ბეჩუანებს სატომო ტოტემად თოხი ჰქონდათ[47]. ცულების საკულტო-საპარადო დანიშნულებით გამოყენების მსგავსი მაგალითები ცნობილია, აგრეთვე, უნგრეთში[48], ლურისტანში[49] და სხვაგან. კავკასიაში, კულტადქცეული იარაღები და მათი იმიტაციები, შუაბრინჯაოს ხანაში უკვე დროშებისა და შტანდარტების დასამშვენებლად არის განკუთვნილი[50]. ზოგიერთი მათგანი შესაძლებელია თავად წარმოადგენდა ტარზე ჩამოცმულ საკულტო-საზეიმო დროშა-შტანდარტს. სვანეთის შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვრებიდან შემორჩენილი ერთი ასეთი შტანდარტი ამჟამად მესტიის მუზეუმშია დაცული.

საბრძოლო-სამეურნეო იარაღის საკულტო-რელიგიურ სფეროში შესვლის ასეთმა ტრადიციამ გვიან დრომდე შემოინახა თავი სხვადასხვა ქვეყნებსა და მათ შორის საქართველოში. შუა და გვიანფეოდალურ საქართველოში შუბისწვერები და მათი იმიტაციები გამოყენებულია დროშების ბუნისთავზე ჩამოსაცმელად. უფრო მეტად კი სამეფო, მეფის მოხელეთა, ჯარის ნაწილების, მეფის მცველთა და სხვა სახეობის დროშებისათვის, როგორც ძალისა და ძლიერების სიმბოლო[51]. ამასვე გვანიშნებს წერილობითი წყაროების გამონათქვამი „შუბი სეფე ალმითა"[52], ეკლესიების ფრესკებსა და რელიეფებზე თუ ჭედურ ხატებზე გამოსახული ქრისტიანული მებრძოლი წმინდანების შუბით აღჭურვა და სხვა ნიშნები, რომლებიც მრავლად მოიპოვება ქართულ ძეგლებში. ნიშანდობლივია

---

46 Л. А. Штернберг, Первобытная религия, Л., 1936, с. 496.

47 იქვე, გვ. 495.

48 Л. Кудерле, Человечество в днострические времена, С. П. 1898, с. 284.

49 Cloude E. A. Schaeffer, Stratigraphie compare chronologic de l'Asie Occidentalie, Oxford, 1948, ტაბ. 226.

50 МАК VIII, 1900, с. 226. Таб. CXIV—2; CXVI—3; CXVI—1—3; ОАК за 1893 г., С 33, рис 90; გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში თბ., 1952 გვ. 58, ტაბ. XI—3.

51 ს. ბარნაველი, საქართველოს დროშები, თბ., 1953, ტაბ. III, 3, 4; IV, XIV-1; XVII-1.

52 ე. თაყაიშვილი, ჰელმწიფის კარის გარიგება, 1920, გვ. 10.

ისიც, რომ ამ რიგის ძეგლებს შორის დამოწმებულია შუბის ფორმით გამოსახული დროშის არსებობა.

ამ თვალსაზრისით, კარგი მასალა მოგვეპოვება თვით სვანეთში, სადაც დღემდე შემოგვენახა „სვანეთის ერთობილი ხევის“ დროშა — „ლემ“ ანუ ლომი. დროშა წარმოადგენს აბრეშუმის ქსოვილიდან გამოჭრილ ლომის სქემატურ გამოსახულებას, რომელიც მხედრის ხელში შემხვედრი ქარისაგან იბერება. დროშის ბუნის თავზე ჩამოცმულია შუბისწვერი. იგი შედგება ორი, ერთმანეთთან მანჭვლებით მიკრული ვერცხლის ფურცლებისაგან, რომელიც ოქროთია დაფერილი[53]. დროშის შუბს მკვლევრები XV—XVI სს. ათარიღებენ. მის კომპოზიციაში საკმაოდ ნათლად არის ასახული იმდროინდელი სვანეთის სოციალური ურთიერთობისა და იდეოლოგიური მრწამსის ნიშნები, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი და აქ არ გავიმეორებთ[54].

სვანეთის „ლემი“ ერთადერთი ცხოველურსახოვანი ნიმუშია საქართველოში შემონახულ ძველ დროშებს შორის. ყველა მკვლევარი (ბარტოლომეი, უვაროვა, კოვალევსკი, თაყაიშვილი, ბარნაველი და სხვ.) რომელიც ამ დროშას შეხებია, აღიარებს მისი ფორმის სიძველეს; ზოგიერთი მკვლევარი კი მას გენეტიკურად აკავშირებს გველეშაპის სახის მქონე უძველეს დროშებთან, რომლებიც ახ. წ. II საუკუნეში სკვითურ, სარმატულ და პართულ ტომებში ყოფილა გავრცელებული, ხოლო მათგან გადაღებული ანალოგიური ნიშნები, III—IV სს. უტარებიათ აგრეთვე სპარსეთისა და რომის ჯარებს[55]. ს. ბარნაველის მოსაზრებით, საქართველოში ცხოველურსახოვანი დროშების ადრეული ფორმები IV—VII სს. უნდა ყოფილიყო გავრცელებული[56]. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ლემის წარმომავლობის შესახებ სვანეთში არსებული გადმოცემების ერთი ვერსია, რომლის მიხედვითაც აღნიშნული დროშა ტრაფეაა — იგი სვანეთის ლაშქარმა აართვა დამარცხებულ „თათრების“ ჯარს. ისტორიულ

---

53 ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29, ტაბ. VIII—IX.

54 ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, პარიზი, 1937, გვ. 423; გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ოქრომჭედლობა, თბ., 1954, გვ. 27.

55 К. В. Т р е в е р, Серебряное навершие сасанидского штандарта. Гос. Эрмитаж. Труды Отдела истории культуры и искусства Востока, III. Л. 1940, с. 177—179.

56 ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში სვანეთის ტერიტორიაზე „თათრების“ შემოსევის კონკრეტული შემთხვევა ჯერჯერობით არ არის დადგენილი, მაგრამ შემთხვევითი არ უნდა იყოს სვანურ მეტყველებაში დამკვიდრებული გამოთქმები: „ლგთთარე“ — გათათრებული, გაპარტახებული, გაბინძურებული: „ნათთარ“ — ნათათრალი და სხვა გამოთქმები თუ გადმოცემები „თათრების“ ჯარების ამოწყვეტის შესახებ, ზოგჯერ ადგილის მითითებითაც კი“.

ჩვენი ვარაუდით, „თათრებთან“ დაკავშირებით სვანეთის მოსახლეობაში შემონახული ყრუ გადმოცემები თუ ლეგენდები I — II საუკუნეებში კოლხეთში შემოჭრილი რომაელების წინააღმდეგ ბრძოლაში[57], ან უფრო გვიან, VI ს სვანეთის თაობაზე ბიზანტია-სპარსეთის ომებში[58] სვანი ტომების მონაწილეობის ექოს შეიძლება წარმოადგენდეს. აღნიშნული საკითხი საგანგებო კვლევას მოითხოვს და აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ, მხოლოდ ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ სვანური დროშა და შუბისთავი, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო საზეიმო-სარიტუალო და მასთან დაკავშირებული სპორტული ასპარეზობის შინაარსის მქონე ძალისა და ძლიერების გამომხატველი სიმბოლოა, რაც სრულიად ბუნებრივს ხდის მის შედგენილობაში საბრძოლო იარაღის — შუბისწვერის მონაწილეობას.

როგორც უკვე აღინიშნა, ამათუიმ სახეობის იარაღის პრაქტიკულმა მნიშვნელობამ განაპირობა კულტისა და რელიგიის სფეროში მისი შეჭრა. ეს ტრადიცია ჩანს სვანეთში აღმოჩენილი დროშა-შტანდარტისა და დროშისთავების მიხედვითაც. მათი ფორმები მომდინარეობენ ან პირდაპირ იმეორებენ ბრინჯაოსა და რკინის საბრძოლო იარაღების ფორმებს, რასაც ემატება ახალი დანიშნულების შესაბამისი მხატვრული ნიუანსები. დროშა-შტანდარტების მხატვრულ გაფორმებასთან ერთად, აქ კარგად ჩანს, საბრძოლო იარაღის ფორმით მისი მფლობელის ძალისა და წარჩინების ასახვის ცდა. ასეთ ვითარებაში სრულიად ბუნებრივი ჩანს, დროშების შესამკობ სიმბოლურ ატრიბუტად, შუბისპირებთან ერთად ისრისპირების გამოყენება.

„ლაგურკას“ სამფრთიანი ისრისპირის საგანგებო დანიშნულებაზე მიუთითებს არა მარტო მის კონსტრუქციაში ჩასმული მხატ-

---

57 საქართველოს ისტორია, თბ., 1958; გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველო, ახ. წ. I-III საუკუნეებში, ს ი ნ. გვ. 541.

58 გეორგიკა, III, 1936, გვ. 203—208, 218, 228—233.

ვრული ნიუანსები, რომელთა ახსნა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ხერხდება, არამედ თვით იარაღის ზედაპირის ოქროს საფერავით შეღებვის ფაქტი. ასეთი ტონალობის დროშის ბუნები საქართველოში ამირსპარსალარის დროშისათვის იყო დამახასიათებელი[59]. მეწამული ფერი, სიმბოლურად, როგორც ჩანს, მტერზე გამარჯვებას ნიშნავდა. ანალოგიური წესი ამ დროს სხვა ხალხებისათვისაც ყოფილა დამახასიათებელი; ქართული მემატიანის ცნობით, თამარ მეფემ ხახულის ხატს შესწირა დამარცხებული ხალიფას დროშა, „რომლის თავსა ზედა იყო ოქროჲ ათასის ხალიფურისაჲ.

შესადარებლად მოტანილი მასალები თავისი კონკრეტულ-ისტორიული მნიშვნელობით, რა თქმა უნდა, ბევრად აღემატება ლაგურკას მონაპოვარს, მაგრამ აქ არ შეიძლება არ დავინახოთ მათი ტექნიკურ-მხატვრული გაფორმებისა და პრაქტიკული გამოყენების საერთო პრინციპი.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება, როგორც მკვლევრები მიუთითებენ, სვანური ლემი არაერთხელ არის გადახალისებული — ძველი თარგის მიხედვით ახალი ქსოვილისაგან შეკერილი, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ნიმუშები ორიგინალს არ არის დაცილებული. ზემოთ მოტანილი პარალელური მასალებიც იმაზედ მიუთითებს, რომ თვით დროშის ფორმა ბევრად უფრო ძველია ვიდრე მისი შუბისწვერი, რომელიც XIV-XV სს. არის დათარიღებული. უფრო ადრე, აღნიშნული ნიმუშის დამზადებამდე, ლემს, როგორც ჩანს, სხვა სახის დროშისთავი ჰქონდა. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ასეთ დანიშნულებას ოდესღაც სვანეთის ზემო დასახელებული ისრისა და შუბისწვერებიც ასრულებდნენ. კერძოდ, მესტიის მუზეუმის რკინის შუბისწვერი, რომელიც იმავე სეტიის წმ. გიორგის ეკლესიის კუთვნილებაა, სადაც ტრადიციულად ინახება ლემი.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება: XIII-XV სს. ისტორიულ საბუთებში მოხსენიებულია როგორც ერთობილი სვანეთის ჰევი-ლალვერიდან დაწყებული, უშგულის ჩათვლით, ისე მასში შემავალი მცირე ჰევები-უშგული, ხალდე, კალა, სეტი და ა. შ.[60] თვით დროშის შუბისწვერზე მოცემული წარწერის მიხედ-

---

59 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, თბ., 1929, გვ. 209. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, კ. კეკელიძის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 110.

60 ვ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941; ვ. ს ი ლ ო ვ ა ე ვ ა, ისტორიული საბუთები ლაგურკიდან, ჟურნ. მაცნე, 1973, № 3, გვ. 171—175.

ვით, ლემ-ი „სრულიად სვანეთის — ერთობილი ჴევის“ დროშაა. უნდა ვიფიქროთ, რომ მცირე ჴევებსაც გააჩნდათ ადგილობრივი მნიშვნელობის დროშები, შტანდარტები და სხვა ინსიგნიები. იგივე უნდა ითქვას უმთავრესი სალოცავების შესახებაც, მსგავსად ლაგურკას ეკლესიისა, რომელმაც დღემდე შემოინახა საეკლესიო დროშა. სვანეთის რიგ ეკლესიებში (ჩუკულის, ლაგურკას, იფარის, სეტისა და სხვ.) დამოწმებულია ლაბარუმის სახის დროშები[61]. ერთი სიტყვით, სვანეთში სხვადასხვა ფორმა-შინაარსის მქონე დროშების გავრცელება საეჭვო არ არის. დროშების სიმრავლე კი თავისთავად დროშისთავების სიმრავლესაც გულისხმობს, ამიტომაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ სვანეთში შემონახული, მხატვრულად გაფორმებული შუბისა და ისრისწვერები დროშისთავებადაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ამ იარაღების ფორმების სიძველე და ის ფაქტი, რომ, „ლ ე მ“-ის თავისაგან განსხვავებით, მათზე არაა გამოსახული ქრისტიანული რელიგიისათვის დამახასიათებელი მხატვრული ნიუანსები, იმას მიუთითებს, რომ საკვლევი იარაღები ქრონოლოგიურად ლემისთავზე უფრო ადრეულები არიან.

აღნიშნული იარაღების დანიშნულება-გამოყენების შესახებ ჩვენ მიერ გამოთქმული ვარაუდების შესავსებად შეიძლებოდა გაგვეთვალისწინებინა აგრეთვე სვანეთში სხვადასხვა ეპოქის კვერთხისთავების გავრცელება (ტაბ. XXX; XXXI; XXXI), რასაც მოწმობს სვანეთის ეკლესიებისათვის შემოწირულ მასალებს შორის მათი მნიშვნელოვანი რაოდენობით აღმოჩენა. (ტაბ. XXV)[62].

ექვთ. თაყაიშვილის აღრიცხვით, კვერთხისთავების (ანუ ლახტისთავების) საერთო რაოდენობა 12 ც. აღწევს[63]. მასალის მიხედვით მათ შორის გამოირჩევა ბრინჯაოს, ვერცხლის, რკინისა და ხის ნაწარმი. ქრონოლოგიური თვალსაზრისით, სვანეთის ყველაზე ადრეული კვერთხები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას განეკუთვნება[64]. მათ კარგად ეტყობათ ხანგრძლივი დროის მანძილზე ხმარების ნიშნები. სვანეთის ეკლესიებში დაცულია, აგრეთვე, უფრო გვიანდელი დროის ლახტისთავები, რომელთაც ძალაუფლების აღმ-

61 ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20, 32, 34, 37.

62 სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის 1972 წლის საველე დავთარი, ინვ. № 996—998.

63 ე ქ ვ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 101, 119, 117, 202, 248, 291, 361.

64 შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, სვანეთი ბრინჯაოს ხანაში, გვ. 68, ტაბ. XXVIII—4,5.

ნიშვნელი ემბლემის ფუნქცია და საბრძოლო გამოყენება ჰქონდა. მათ შორის აღსანიშნავია ვერცხლის ორი ლახტი, რომლებიც საგანგებოდაა მხატვრულად გაფორმებული. ექვთ. თაყაიშვილი მათ ერისთავთა ხელისუფლების ემბლემა-სკიპტრებად მიიჩნევდა[65]. იგივე მოსაზრებისანი არიან გ. ჩუბინაშვილი[66] და გ. ჩიტაია, რომელიც ამ სკიპტრას სვანეთშივე დამზადებულად მიიჩნევს[67].

შტანდარტი, დროშა და კვერთხი, როგორც ხელისუფლების მანიშნებელი ინსიგნიები, ადრეულ ხანაში სვანეთშიაც გვარისა თუ ტომის ბელადის კუთვნილება ჩანს[68]. უფრო გვიან, მათ იგივე დანიშნულება უნდა ჰქონოდათ ერთობილი თუ ცალკეული ჯვების „მახვშის“ ხელში როგორც ლაშქრობის, დროს, ისე საჯეო (სათემო) ყრილობებისა და სახალხო კრებების, სვანურად — „ლუზორ“, „ლალხორ“-ის ცერემონიალში, რომელსაც ხალხის მიერ ამორჩეული უფროსი — „მახვში“ — მართავდა[69].

ასეთი საკრებულო ადგილები სვანეთში ცნობილია: „ლალხორ“, „სვიფ“ და „სახევ“-ის სახელწოდებით. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ ადგილებზე, უფრო მეტად კი სვიფებზე, დაწყობილია დასაჯდომად ხელსაყრელი უზარმაზარი ლოდები, რასაც სვანები „კეესრი ბაჩარ“-ს ანუ კეისრის ქვებს უწოდებენ. ასეთი სახელწოდება, ალბათ, გარკვეულ ისტორიულ სიტუაციებში ბიზანტიური გავლენის შედეგია (სვანეთში გვაქვს აგრეთვე „კეისრის“ სახელობის ტოპონიმები, წყაროები და სხვა), მაგრამ ჩვენთვის ამჯერად მთავარი ის არის, რომ აქ ჩანს თემის (ჯვების) საკრებულო ადგილის საგანგებოდ შერჩევისა და გაფორმების აშკარა ნიშნები. საყურადღებოა ისიც, რომ უმრავლეს შემთხვევაში სწორედ სვიფზე გამოდის შუა საუკუნეების კერამიკული წყალსადენები.

1973 წელს ექსპედიციამ ახალ მასალებს მიაკვლია და დააზუსტა დახურული კერამიკული წყალსადენების ტრასები მულახის

---

65 ექვ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

66 გ. ჩუბინაშვილი, ექვ. თაყაიშვილი და ქართული ხელოვნების ძეგლები. კრებულში — ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1966, გვ. 127.

67 გ. ჩიტაია, სამი ინსიგნია წარჩინების ნიშანი ამიერკავკასიიდან, მსე, XVI—XVII, თბ., 1972, გვ. 52.

68 შ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61, 67.

69 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, გვ. 90—93; ეგნ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, გვ. 211; რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, გვ. 82.

თემში: ჭერაშის ხევიდან სოფ. ლახირში ასეთი წყალსადენის ორი (პარალელური) ტრასაა შემოყვანილი. ერთი გამოდიოდა სოფლის სვიფზე, ხოლო მეორე — ეკლესიის ახლოს გვიდანების კარმიდამოში. გვიდანების სვანური საცხოვრებელი კომპლექსი ერთ-ერთი უძველესთაგანია მულახის თემში. ჭერაშ-ლახირის წყალსადენის ტრასაზე კერამიკული მილები სამკუთხგანივკვეთიან კირის დულაბშია ჩასმული.

კერამიკული წყალსადენის მეორე ტრასა გუგვაშის წყაროდან — სოფ. ჟამუშში მიემართება. აქ მილების დასამონტაჟებლად, დულაბის გარდა, პლასტიკური თიხის ალიზიც არის გამოყენებული. მულახის ძველი წყალსადენების კერამიკული მილები (ტაბ. XXXIII-2) მაღალ ტემპერატურაზე ჩანს გამომწვარი. დამზადებულია ადგილობრივი ქარსნარევი თიხისაგან, რომლის გამოსავლებიც არა ერთ ადგილზეა მულახში დამოწმებული.

აღნიშნული წყალსადენები ძირითადი ტექნიკური ნიშნებით მოგვაგონებენ 1969 წელს მესტიაში აღმოჩენილი XII—XIII საუკუნეების კერამიკული წყალსადენების ნიშნებს[70]. წინასწარ ამავე პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ მულახის წყალსადენებიც. ამ თარიღს ამაგრებს აგრეთვე, იმავე ლახირში, მარგიანების კოშკის ძირში წყაროს გამოსადენად კერამიკული მილების გამოყენების ფაქტი და ამ ადგილას, კოშკის შელესილობაზე შემორჩენილი წარწერა — **ᲘᲔᲕ** („იევ"), რომელიც პალეოგრაფიულად XIII საუკუნით თარიღდება[71].

სადღეისოდ შუასაუკუნეების კერამიკული წყალსადენები სვანეთში თითქმის ყველა თემშია დამოწმებული. ეს ძეგლები მიუთითებენ, რომ საქართველოს მაღალმთიან ზოლში ეპოქის შესაბამის დონეზე იყო განვითარებული სამშენებლო, ჰიდროტექნიკური და სანიტარულ-ტექნიკური კულტურა.

---

70 შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, წყალმომარაგების უძველესი ძეგლები სვანეთში, ჟურნ. „მაცნე", 1972, № I, გვ. 74—94. დასაბუთებას მოითხოვს მესტიის კერამიკული წყალსადენებისათვის ა. ჩარკვიანის მიერ ახლახან მოცემული რამდენადმე განსხვავებული თარიღი — XI—XII სს. ავტორს ეს თარიღი მოტანილი აქვს ზერელედ, სათანადო ლიტერატურის დამოწმებისა და ჩვენი ნარკვევის კრიტიკული განხილვის გარეშე. იხ. ა. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, საბჭოთა სვანეთი, თბ., 1974, გვ. 260.

71 მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის 1974 წლის მუშაობის ანგარიში. სსმ. XXII; სამეცნიერო სესიის მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1974, გვ. 7.

ეკლესიებსა და მოსახლეობაში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა შემონახული ე. წ. სამკურნალო ქვები (ტაბ. VIII), რომელთაც კარგად ეტყობათ ამ დანიშნულებით ხანგრძლივი ხმარების, გახეხვის კვალი. მათ შორის ჭარბობს სარდიონის, ქალცედონის, მთის ბროლისა და სხვა ჯიშის მინერალები. ნიშანდობლივია ისიც, რომ ზოგიერთ მათგანს, მაგალითად, სარდიონის ქვას, ტრადიციულად, ძველი წერილობითი წყაროებიც განსაკუთრებულ თვისებებს ანიჭებენ — „აყიყი, ჯავარი, იამანური არს მეტად ბედნიერი ქვა..., ყვარობენ ბედნიერებისათვის და ასრე ნათქვამი არს, ვითა ვინცა აყიყი იქონიოს, ყოველს მტერს მოერიოს და ყოველს მავნეს მავნე მშვიდობით მოურჩეს“[72], ან კიდევ, „გაუკეთდეს ბეჭედი აყიყისა და ეს აშორებს გაჭირვებას“[73]. ქვების სამკურნალო გამოყენებისა და საამისო წესების შესახებ არაერთი რჩევაა მოცემული ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში, კარაბადინებსა და სამკურნალო წიგნებში[74]; ძველ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაშიაც კი[75].

სვანური მასალები აშკარად მხარს უბამენ ქვის ნალესისა და ნაფხეკისაგან სხვადასხვა დაავადების საწინააღმდეგო წამლების დამზადების იმ წესებს, რაც ძველი სამედიცინო წიგნებიდან და უახლოესი დროის სპეციალურ ლიტერატურიდანაცაა ცნობილი[76].

ეკლესიებისათვის შემოწირულია აგრეთვე ფეოდალური ხანის მრავალფეროვანი სამკაული, სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მძივები, გულსაკიდები, სამაჯურები, სათითე ბეჭდები და სხვ. სამკაულში რამდენადმე ასახულია იმდროინდელი საზოგადოების სოციალურ ფენათა მატერიალური შესაძლებლობა, გემოვნება, სტილი და მოდა. იგი საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ

---

72 ძვირფას თვალთა მოპოვების ისტორია და მათი სამკურნალო თვისებები, საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 2—3722.

73 იაკუთის ცნობები საქართველოს შესახებ, ნაკვ. I, ე. სიხარულიძის გამოცემა, თბ., 1964, გვ. 24.

74 ქანანელი, უსწორო კარაბადინი, ვ. კოტეტიშვილის გამოცემა, თბ., 1940; ხოჯაყოფილი წიგნი სააქიმოჲ თბ., 1936; დავით ბატონიშვილი, იადიგარ დაუდი, თბ., 1938; ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი, თბ., 1950.

75 ნ. ქოიავა, ძვირფასი ქვები შოთა რუსთაველის პოემაში, ენიმკის მოამბე, ტ. III, თბ., 1938, გვ. 55—84.

76 პ. ფირფილაშვილი, ქვის გამოყენება სამკურნალო მიზნით ქართულ ხალხურ მედიცინაში, ჟურნ. მაცნე, 1972, № 2, გვ. 81—100.

ხელოსნობის სხვადასხვა დარგის, მათ შორის მხატვრული ხელოსნობის პროფილი და განვითარების დონე.

ამ რიგის მასალაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მინის ნაწარმს. ქრონოლოგიურად მათ შორის ყველაზე ადრეულია ლაგურკას ეკლესიაში დაცული ორი ცალი სანელსაცხებლე ჭურჭელი. ორივე დაზიანებულია, მაგრამ მათი ფორმები ამ მდგომარეობაშიც ადვილად გასაგებია. ერთი მათგანი შავი გაუმჭვირვალე მინისაგანაა დამზადებული. იგი ცალყურაა. მისი მუცელგამობერილი, დაბალი (h=4 სმ) ფორმა მინიატურულ დოქს მოგვაგონებს. მეორე ჭურჭელს ვიწრო ცილინდრული ტანი და მრგვალი ძირი აქვს. სიგრძივ შავ ფონზე სპირალურად შემოუყვება საკმაოდ ფართო თეთრი ზოლი. მსგავსი ფორმის ჭურჭელი ჩვენში ადრეფეოდალური ხანისთვისაა დამახასიათებელი[77]. იგი განსაკუთრებულ სიახლოვეს ავლენს ურბნისში IV-V სს. თიხის სარკოფაგში აღმოჩენილ მინის ჭურჭელთან[78]. დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი X—XIII სს. მინის სამაჯურები (ტაბ. XXXIII, XXXIV-1). მათი ცუდი დაცულობის მიუხედავად, შესაძლებელი გახდა ფორმის, შემკულობისა და შეფერილობის მიხედვით გამოგვეყო ათამდე სხვადასხვა ნიმუში. მათ შორის გამოირჩევა მდარე და მხატვრულად უფრო სრულყოფილი ნიმუშები. ისინი მრავალ საერთოს პოულობენ აღნიშნული დროის აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში, კერძოდ, ორბეთში, კარსანში, ნატბეურში, თბილისში, რუსთავში, დმანისში, ერწოსა და სხვაგან აღმოჩენილ მინის სამაჯურებთან[79]. ეს ეპოქა მინის სამაჯურების წარმოების აყვავების ხანაა არა მარტო საქართველოში, არამედ სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდ. კავკასიაში, ბიზანტიასა და სხვა ქვეყნებში. საქართველოში მინის სამაჯურები მოდურ სამკაულს წარმოადგენდა როგორც ქალაქელი, ისე სოფლელი ქალებისათვის, განსხვავებით რუსეთისაგან, სადაც ამ ტიპის

---

77 ნ. უგრელიძე, ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967.

78 ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 88, ტაბ. XXVI-4.

79 გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმთავრესი შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისთვის, ტ. I, 1955, გვ. 199; ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, 1961, გვ. 53—54, ტაბ. 18; რ. რამიშვილი, ივრის სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1970; ბ. ჯორბენაძე, ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ერწოს ველზე, ჟურნ. მაცნე, 1968, № 2; გვ. 219—229.

სამკაული მხოლოდ ქალაქის მოსახლეობისათვის იყო ხელმისაწვდომი[80].

არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით, უკვე დადგენილია, რომ მოსახლეობის გაზდილი მოთხოვნილების გამო განვითარებულ შუა საუკუნეებში მინის სამკაულს, ქალაქის მსხვილი საწარმოო ცენტრების გარდა, სოფელ ადგილებში მოწყობილ პრიმიტიულ სახელოსნოებშიაც ამზადებდნენ. საქართველოში ასეთ სახელოსნოთა ნაშთები მიკვლეულია: ორბეთში, კარსანში, ნატბეურსა და სხვა ადგილებში[81]. პრიმიტიულ პირობებში დამზადებული მინის ნაწარმი, როგორც ჩანს, ძირითადად მხოლოდ ადგილობრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, ხოლო ქალაქებში ან მათ მახლობლად თავმოყრილი სახელოსნო ცენტრების (თბილისი, რუსთავი და ა. შ.) ნაწარმი შორეული აღებ-მიცემობის საგანსაც წარმოადგენდა. უკანასკნელი დროის სამეცნიერო გამოკვლევების ავტორები ამიერკავკასიაში და მათ შორის საქართველოში დამზადებული მინის სამაჯურების გავრცელების უკიდურეს ჩრდილოეთ პუნქტებს სამხრეთ რუსეთსა და ჩრდილო კავკასიის სასაზღვრო ზოლში ასახელებენ[82].

სვანეთის სამაჯურების განხილვის დროს, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, მათი სადაურობის შესახებაც ისმება კითხვა — ადგილობრივია თუ შემოტანილი? მინის სამაჯურების სვანეთშივე დამზადების სავარაუდო ვერსიას, თითქოს, მოეძებნება თეორიული საფუძველი. მხედველობაში გვაქვს, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში მინის წარმოება საქართველოს სოფელ ადგილებშიც იყო გავრცელებული და შესაძლებელია, ამ სფეროში სვანეთიც მოქცეულიყო. მითუმეტეს, რომ იმ დროის სვანეთში მაღალ დონეზე ჩანს განვითარებული ფერწერა, ოქრომჭედლობა, რკინის მეტალურგია, მეთუნეობა, ჰიდროტექნიკა, არქიტექტურა და ხელოვნების სხვა დარგები, რაც ამ კუთხის მოსახლეობის არა მარტო მაღალმხატვრულ გემოვნებასა და ეკონომიურ შესაძლებლობას მოწმობს, არამედ, პირველ რიგში, სხვადასხვა დარგის ხელოსან-ოსტატთა სიმრავლესა და მდიდარ ტრადი-

---

80 Б. Рыбаков, Ремесло древней Руси, М., 1948, с. 396.

81 ნ. უგრელიძე, ნატბეურის მინის საწარმოო. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. III, გვ. 61—68.

82 С. С. Кусаева, Аланский катакомбный могильник XI—XII вв. у станции Змейской, Материалы по археологии и древней истории Северной Осетии, т. I, 1961, с. 59.

ციებზეც მიუთითებს. აქ ჩამოთვლილი ხელოსნობის დარგების ქიმიურ-ტექნოლოგიური პროცესები ახლო დგას მინის დამზადების შესაბამის პროცესებთან. ასეთი წინაპირობების არსებობის საფუძველზე, სრულიად ბუნებრივია, სვან ხელოსნებსაც ჰქონდათ მინის საგნების დამზადების სურვილი და მცდელობა.

მეორე მხრივ, ასეთი ვარაუდის საპირისპიროდ, არსებობს ფრიად ანგარიშგასაწევი, საწინააღმდეგო ფაქტორები: ჯერ ერთი, ჩვენთვის საინტერესო მინის სამაჯურების მნიშვნელოვანი ნაწილი კვალიფიციურ საწარმოო ცენტრებში ჩანს დამზადებული და იქიდანვე შემოტანილი. შემდეგ ამისა, დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში მინის ძველი საწარმოო ნაშთები ჯერ კიდევ არ გამოვლენილა, ხოლო სამაჯურების აღმოჩენათა რაოდენობა ორიოდე ათეულს თუ აღწევს[83]. ასეთი მდგომარეობა შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ დასავლეთ საქართველოში ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ნაკლებადაა გათხრილი და შესწავლილი, მაგრამ, როგორც ჯერჯერობით ჩანს, მინის სამაჯურების წარმოებაში პრიორიტეტი აღმოსავლეთ საქართველოს ჰქონია.

ერთი სიტყვით, სვანეთში მინის წარმოების საკითხს საბოლოოდ მხოლოდ მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიება გადაწყვეტს, ამჯერად კი უდაო ფაქტი ის არის, რომ დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან სვანეთი ჯერჯერობით ერთადერთია, რომელმაც ასე მნიშვნელოვანი რაოდენობით შემოგვინახა შუასაუკუნეების მინის ნაწარმი, რომლის დიდი ნაწილი აღმოსავლეთი საქართველოს საწარმოო ცენტრებშია დამზადებული. მინის ნაწარმის ასეთი გავრცელება საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრებთან ამ კუთხის ახლო ურთიერთობაზე მიუთითებს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, კულტურული და სავაჭრო ურთიერთობის ამსახველ ფუფუნების სხვა საგნებსაც, როგორიცაა მძივ-სამკაული, სათითე ბეჭდები (ტაბ. XXXV; XXXVI) და სხვა, რომელთა ნაწილიც სხვადასხვა რაიონებიდან არის შემოტანილი. მნიშვნელოვანი რაოდენობითაა წარმოდგენილი სხვადასხვა ლითონის ბრტყელფარაკიანი სათითე ბეჭდები, რომლებზედაც მრავალფეროვანი მონოგრამები და წარწერებია ამოჭრილი, მათ შორის კარგად გამოირჩევა აღმოსავლური ნაწარმი. აღნიშნული მასალები საგანგებო გამოკვლევას საჭიროებს. გარე სამყაროსთან სვანთა ურთიერთობის არეალი, როგორც სხვა-

83 რ. დოლაბერიძე, ქართული სამკაული, საკანდიდატო ნაშრომი, გვ. 147.

დასხვა სახის მასალებიდან ჩანს, საქართველოს საზღვრებს ბევრად სცილდება. კონკრეტულად როგორ და რა მასშტაბებით ხორციელდებოდა იგი, ამის დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება, მაგრამ პრაქტიკულად სვანეთის სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებთან, უპირატესად მაინც, საქართველოს დაწინაურებული სავაჭრო-პოლიტიკური ცენტრების მეშვეობით უნდა წარმართულიყო.

აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სვანეთში ახლად გამოვლინებულ ნუმიზმატიკურ მასალას. გარდა ზემოთ უკვე განხილული ანტიკური მონეტებისა, ჩვენს ხელთ არის ფეოდალური ხანის სხვადასხვა საუკუნეებში მოჭრილი ქართული, ბიზანტიური, სპარსული, თურქული, არაბული და სხვა ქვეყნების ათასზე მეტი მონეტა. სადღეისოდ მათ შორის ამოცნობილია შემდეგი მონეტები: გიორგი II-ის მონეტა — XI—XII სს.; დასავლურ-ქართული; „კერმანეული" — XIII—XIV სს.; ქართული მონეტა — XV ს.; არაბთა სახალიფოს დირჰემი — VIII ს.; შირვანული თანგა — XV ს.; თურქული ფარა — XVIII ს.; სპარსული — XVII-XVIII სს.; რუსეთის იმპერიის — XIX ს. და სხვა მონეტები, აგრეთვე სათამაშო მარკა-ჟეტონები (ტაბ. XLIII; ტაბ. XLIV).

განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ნუმიზმატიკური მასალა კიდევ ერთი საბუთია სვანეთის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობისა, რაც თავის მხრივ კარგადაა ასახული ზემოთ განხილულ სინქრონულ არქეოლოგიურ მონაპოვრებში. ადრეშუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალები სადღეისოდ ცოტაა ამ კუთხეში გამოვლენილი, ამიტომ ორიოდე სიტყვით გვინდა შევჩერდეთ აღნიშნული ეპოქის ნუმიზმატიკურ მასალაზე, კერძოდ, ახლახან გამოვლენილ ორ ბიზანტიურ მონეტაზე. ერთი (ტაბ. XLIV-1) — ნაპოვნია ხვნის დროს ჭუბერში, სოფ. ქვედა მარღში იქვე მცხოვრებ ცეჭა ცინდელიანის მიერ. ხოლო მეორე (ტაბ. XLIV-2) — სოფ. ცხუმარში. მონეტების აღწერილობა ასეთია: I. ოქრო, წონა — 4,5 გ, ზომა — 19/20 მმ[84].

შუბლი: სამი გამოსახულება — შუაში წვერულვაშიანი კეისარი ირაკლი; აქეთ-იქით, მისი ვაჟიშვილები: ირაკლი, კონსტანტინე და ირაკლიონი. სამივეს ხელში სფერო უჭირავს. მომცრო ტანის გამოსახულების თავზე — პატარა ჯვარი.

---

[84] მესტიის ისტ. ეთნ. მუზეუმი, ინვ. № 571.

ზ უ რ გ ი: სამსაფეხურიან გოლგოთაზე ჯვრის გამოსახულება. მის მარჯვნივ ირაკლი კეისრის მონოგრამა R გარშემოწერილია VICTORIA AUGUSTORUM. გოლგოთას ქვეშ — CONCB-COUSTANTINOPOLIS OBZYZUM. ჭუბერის მონეტა ზუსტად იმეორებს ონის რაიონში სოფ. ჭიორასთან აღმოჩენილი მონეტის ყველა ნიშანს[85]

ბიზანტიის კეისარმა ირაკლიმ შვილი თანამეცხედრედ 617 წელს გაიხადა, მაშასადამე მისი გამოსახულებიანი მონეტა ამ თარიღზე ადრე არ მოიჭრებოდა. თვითონ ირაკლი კეისარი გარდაიცვალა 641 წელს. მაშასადამე ამ მონეტის ქრონოლოგიური საზღვრები 617—641 წწ. შორის უნდა ვიგულისხმოთ.

II. კონსტანტ (კონსტანტინე) II 641—668 წწ. მონეტა.

ოქრო, წონა 4,3 გ, ნაპოვნია სოფ. ცხუმარში (სიემ, ინვ. № 1870).

შ უ ბ ლ ი: ორი კეისრის გამოსახულება სამეფო სამოსელში, ჯვრიანი გვირგვინებით; მარცხნივ წვერიანი კონსტანტი, მარჯვნივ — კონსტანტინე. ზედწერიდან ირჩევა ON,...AN; ირგვლივ წერტილოვანი რკალი.

ზ უ რ გ ი: სამსაფეხურიან გოლგოთაზე აღმართული ჯვარი; მარცხნივ ირაკლი, მარჯვნივ — ტიბერი, გრძელი სამოსით და ჯვრიანი გვირგვინით; ორივეს მარჯვენა ხელში ჯვრიანი სფერო უჭირავს. შემოწერილია VICTOPIA AC,; ქვემოთ CONCB.

სვანეთში ბიზანტიური მონეტების აღმოჩენის კიდევ სამი შემთხვევაა ცნობილი: ერთი ცალი იმპერატორ ლეონ I (457—474 წწ.) ოქროს მონეტა ნაპოვნი იქნა 1937 წელს, იმავე სოფ. ცხუმარში ოქროს ძიების დროს[86]. აქვე აღმოჩნდა იმპერატორ ანასტას I (491 — 518 წწ.) ოქროს მონეტა, სოლიდი[87]. 1938 წელს გ. ნიკოლაძემ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადასცა სვანეთში შეძენილი იმპერატორ იუსტინე II (565—578 წწ.) სპილენძის 40 ნუმიანი მონეტა[88]. ამრიგად, ზემო სვანეთში აღმოჩენილი და დღემდე შემონახული ბიზანტიური მონეტების რაოდენობა ოთხ ცალს შეადგენს და ქრონოლოგიურად V, VI, და VII სს. განეკუთვნება.

---

85 თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1965, გვ. 64, ტაბ. II, № 187.

86 თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122, ტაბ. II-28.

87 ი ქ ვ ე, გვ. 123, ტაბ. III-42.

88 ი ქ ვ ე, გვ. 124, ტაბ. VIII-112.

საქართველოში ბიზანტიური მონეტები შემოდის და მიმოქცევაშია ბიზანტიის სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე. ამ ორი სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცება-შესუსტების შესაბამისად, ფულის მიმოქცევის ინტენსივობაც იცვლება.

როგორც ცნობილია, მკვლევართა ერთი ნაწილი ჩვენში ბიზანტიური მონეტების შემოსვლას მხოლოდ სამხედრო ღონისძიებებს უკავშირებს, რამდენადაც მონეტები შემოჰქონდათ უცხოელ ჯარებსა და მოგზაურებს. სხვა მოსაზრებით, უცხოური ფული უპირატესად წმინდა ეკონომიურ ნიადაგზე — ვაჭრობის გზით უნდა შემოსულიყო. ჩვენი აზრით, სვანეთში ბიზანტიური მონეტების შემოსვლა დასაშვებია როგორც სამხედრო, ასევე ვაჭრობის გზით.

წერილობითი წყაროების მიხედვით, სვანეთი ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმოადგენდა ბიზანტიასა და ირანს შორის სერიოზული დიპლომატიური და სამხედრო შეტაკებების მიზეზს. იმპერიათა შორის დიპლომატიური მოლაპარაკების შესახებ VI საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის მენანდრე პროტიქტორის ცნობიდან ჩანს, რომ ამ პერიოდში სვანეთს მეტად სერიოზული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მხარე თავისი მოხერხებული მდებარეობით მეტად სასარგებლო იყო რომაელებისათვის, რათა ამ გზით მოზღვავებულ სპარსელებს კოლხეთის (ლაზიკის) საზღვრები არ გადმოელახათ[89]. ასეთ ვითარებაში სრულიად ბუნებრივია მოდავე სახელმწიფოებს სამხედრო ღონისძიებებიც განეხორციელებინათ მათთვის საინტერესო ტერიტორიის შემოსამტკიცებლად. იოანე ბიკლარელის ცნობით ირკვევა, რომ სწორედ ამ მიზნით მოაწყო ბიზანტიამ 575 წელს, რომანიზის სარდლობით, ლაშქრობა სვანეთში, რომელიც მისი გამარჯვებით დამთავრდა[90].

ქართველ მკვლევართა შორის განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად ზუსტია იოანე ბიკლარელის აღნიშნული ცნობა. ერთ ნაწილს (ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია ს. ყაუხჩიშვილი, ირ. ბერაძე და სხვ.) მიაჩნია, რომ იმპერატორ იუსტინე II დროს, დაახლოებით 575 წელს, ბიზანტიამ კვლავ თავის მმართველობას დაუბრუნა სვანეთი. უფრო გვიან გამოთქმული სხვა მოსაზრებით (გ. ათანელიშვი-

---

89 გეორგიკა, III, თბ., 1936, გვ. 229.

90 ს. ყაუხჩიშვილი, ირ. ბერაძე, სვანეთის ხელმეორედ აღება ბიზანტიელების მიერ., თსუ შრომები, 7, 1938, გვ. 96.

ლი), ისევ ირანის მმართველობის ქვეშაა სვანეთი[91]. სოფ. ცხუმარში იუსტინე II-ის მონეტის აღმოჩენა, ვფიქრობთ, პირველი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სვანეთის დასავლურ ნაწილში, ისტორიული ლაზიკის მომიჯნავე ტერიტორიაზე (ხუდონი, იდლიანი, ხაიში, ჭუბერი, მდ. კოდორის ზემო წელი) შემონახულია სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე კოშკების ნაშთები, რომელთა ნგრევა, ჩვენი ვარაუდით, ადრეშუასაუკუნეებშია მომხდარი და შესაძლოა რომაელთა ლაშქრობის კვალს წარმოადგენდეს. გეოგრაფიულად სწორედ ამ მხრიდან იყო ხელსაყრელი ბიზანტიისათვის სვანეთში შემოსვლა. მხარის მომავალი არქეოლოგიური გამოკვლევა ამ საკითხებსაც მეტ შუქს მოფენდა.

სვანეთის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა კარგად ჩანს თვით მენანდრე პოტიქტორის სიტყვებიდან, რომ სვანები ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ჰყავთ მთავარი და ამ ქვეყანაზე სკვითები გადიანო[92]. ე. ი. სვანებს ამ დროს უკავიათ კავკასიონის არა მარტო სამხრეთი, არამედ ჩრდილოეთი კალთების გარკვეული ნაწილიც. მასზე გადიოდა კავკასიონის მთავარი ქედის გადამკვეთი საუღელტეხილო გზები, რომლის ხელში ჩაგდება, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანა იყო ორივე მოდავე სახელმწიფოსათვის, მითუმეტეს, რომ ბიზანტია ამ გზით ცდილობდა აბრეშუმის შემოტანას აღმოსავლეთიდან, რათა ამით თავი დაეღწია ირანთან დამოკიდებულებისათვის აბრეშუმით ვაჭრობის დარგში.

დღეისათვის არ არის გარკვეული, თუ კონკრეტულად კავკასიონის რომელ უღელტეხილზე გადიოდა ეს საერთაშორისო მნიშვნელობის გზა. წერილობითი წყაროები ამის შესახებ ზუსტ გეოგრაფიულ ცნობებს არ იძლევა. ამასთან, აღნიშნული საკითხი დაკავშირებულია სვანური ტომების (მისიმიანები) ლოკალიზაციისა და განსახლების რთულ პრობლემასთან, ამიტომაც აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ, მაგრამ წინასწარი ვარაუდით დავსძენთ, რომ შესაძლებელია ამ გზის ერთ-ერთი მაგისტრალი ენგურის ხეობიდან ჭუბერისა და ნაკრის გავლით ადიოდა ნაკრის უღელტეხილზე და შემდეგ ეშვებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში და ა. შ.

---

91 გ. ათანელიშვილი, სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში, 562 — 590 წწ., თბ., 1959.

92 გეორგიკა, III, გვ. 221.

ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ სიტუაციებთან დაკავშირებული წერილობითი წყაროები და სვანეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალები მიუთითებენ, რომ სვანებს ადრე შუასაუკუნეებშიაც ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდათ მეზობელ რაიონებთან, კერძოდ ლაზიკასთან. სვანეთი ლაზთა მეფეს უხდის თაფლს, ცვილს, ბეწვეულს და სხვა ნედლეულსა თუ სურსათს. იმავე წყაროების ჩვენებით, ლაზიკა ვალდებულია გაუგზავნოს სვანეთს ხორბალი. სწორედ ლაზიკის მხრიდან ამ ვალდებულების შეუსრულებლობას მიაწერს მემატიანე ერთ მომენტში სვანთა ორიენტაციას ირანის მხარეზე[93].

სვანეთის ბეწვეული, იშვიათი მერქანი, ლითონი, თაფლი, ცვილი და ა. შ., ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში წარმოადგენდა საბერძნეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის იმპორტის საგანს და კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს. საკვლევ პერიოდშიაც, როგორც ჩანს, ლაზიკის მეშვეობით მიაქვს ბიზანტიას სვანეთის ნედლეული. ამიტომაც, სვანეთისა და ლაზიკის ურთიერთობაში უნდა არსებულიყო ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის მკვეთრად ჩამოყალიბებული ვალდებულებანი. ბიზანტიისათვის კი ამ მხარეს სამხედრო-სტრატეგიულის გარდა, გარკვეული ეკონომიური მნიშვნელობაც ექნებოდა. ყოველივე ზემოაღნიშნული სრულიად ბუნებრივს ხდის სვანეთში ბიზანტიური მონეტების აღმოჩენას.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ექსპედიციამ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აღრიცხა განვითარებული შუა საუკუნეების ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს კულტურული ცენტრებიდან არის შემოტანილი ნივთიერ მასალებთან ერთად. თუ გავითვალისწინებთ ისეთ ისტორიულად ცნობილ ზოგიერთ მოვლენას, როგორიცაა თამარ მეფის კულტი სვანეთში, რუსუდან დედოფლის სვანეთში გახიზვნის ვერსიები, დავით აღმაშენებლის, გიორგი III და, უფრო გვიან, ალექსანდრე კახთა მეფის მზრუნველობა სვანეთის მიმართ და სხვა, ცხადი ხდება, რომ საქართველოს სამეფო კარი დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდებოდა ამ კუთხეს. ეს კი ჩვენს ისტორიკოსთა წინაშე აყენებს კიდევ ერთ აქტუალურ საკითხს, ერთი მხრივ, სვანეთისა და სამეფო ცენტრის ურთიერთ-

---

93 გ ე ო რ გ ი კ ა, III, გვ. 214.

კავშირისა, ხოლო, მეორე მხრივ, თუ რაში გამოიხატებოდა კონკრეტულად სვანეთის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიულ განვითარებაში. სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალები, ვფიქრობთ, მაინც იძლევა იმ ვარაუდის გამოთქმის უფლებას, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში სამეფო ხელისუფლების სვანეთისადმი ზრუნვა, უპირატესად, მაინც განაპირობა ამ კუთხის დიდმა სამხედრო-სტრატეგიულმა მნიშვნელობამ, მტრისათვის კავკასიონის გადმოსასვლელების ჩაკეტვისა და ჩრდილოეთის მხრიდან ქვეყნის უშიშროების დაცვის ინტერესებმა. სწორედ ამითაც უნდა აიხსნას საბრძოლო იარაღის, ამ შემთხვევაში — რკინის ისრისპირების, ესოდენ დიდი რაოდენობით გავრცელება სვანეთში. ნიშანდობლივია ისიც, რომ სვანებს, როგორც საიმედო და სანდო პირებს, ხშირად პრივილეგიური მდგომარეობა ეკავათ სამეფო კარზე, მეფის მცველ ამალაში და ა. შ., რაც უთუოდ ხელს უწყობდა საქართველო-სვანეთის მჭიდრო ურთიერთობას. ამასთან, თანდათან ძლიერდებოდა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცენტრის გავლენა ამ კუთხის მიმართ. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა მრავალი ლიტერატურული ცნობა, საკმარისია აღინიშნოს თუნდაც სეზონურად ბარში ჩამოსული სვანების მრავალმხრივი და ნაყოფიერი სამეურნეო საქმიანობა. სვანების როლი განსაკუთრებით დიდია გვიან შუა საუკუნეებში ბარის საირიგაციო მეურნეობის გაძღოლის საქმეში[94]. არქანჯელო ლამბერტის ეს ცნობა მხარს უბამს ნივთიერი მასალების ჩვენებას და საყურადღებო საბუთია კოლხეთის ბარის რაიონებთან სვანთა აქტიური სავაჭრო ეკონომიური ურთიერთობის დასამტკიცებლად.

სვანეთის შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვრებიდან აღსანიშნავია მესტია-იელის სამანქანო გზის მშენებლობის დროს აღმოჩენილი კერამიკული მასალა, რომელიც მოიცავს დიდი ზომის შავკეციანი დერგებისა და წითლად გამომწვარი სხვადასხვა ფორმის მცირე ზომის ჭურჭლის ნატეხებს (ტაბ. XXXVIII). მასალა აკრეფილია ადგილზე ძეგლის დანგრევის შემდეგ. ამიტომ ძეგლის აგებულებისა და ზუსტი თარიღის დადგენა ძნელდება, მითუმეტეს, რომ ზოგიერთი ნიშნით ეს მასალები რამდენადმე განყენებულად დგას ჩვენთვის უკვე ცნობილ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. წინასწარულად, ხეშკილის არქეოლოგიური მონაპოვარი ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებსა და მეორე ნახევარს შეიძლება მივა-

---

94 არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 167.

კუთვნოთ. სავარაუდოა, რომ აქ თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურებიც იქნა დანგრეული.

შემთხვევითი მონაპოვრების აღრიცხვასთან ერთად, ექსპედიციამ ზედაპირულად დაზვერა ახლად გამოვლინებული არქეოლოგიური ძეგლები. მათ შორის აღსანიშნავია 1974 წელს, ექსპედიციის ადგილზე ჩასვლამდე, მშენებელი ორგანიზაციების მიერ ცხუმარში და ეცერში დანგრეული ძეგლები*.

ცხუმარში საბავშვო ბაღისათვის სამშენებლო ქვის მოპოვების დროს ადგილ „ტვირბიშ"-ზე მთლიანად დაანგრიეს ძველ ნაგებობათა საძირკვლები (ტაბ. XXXIX-1,2). დანგრეულ ძეგლზე და მუშათა ოჯახებში აკრეფილ იქნა დიდძალი კერამიკული მასალა, ხელსაფქვავები, სანაყი როდინი და სხვა.

თიხის ჭურჭლის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს მცირე ზომის სასმისები, კოჭობები, სამარილეები და სხვა (ტაბ. XXXIX, XL, XLI). მცირე ნაწილი ჩარხზეა გამოყვანილი, უმრავლესობა კი ხელითაა ნაძერწი. ამ ჭურჭელს ჩვეულებრივ საკულტო დანიშნულებისად მიიჩნევენ. ნაგებობათა გეგმა და შემონახული ნარატიული ცნობები აქ მცირე სამოსახლო და საკულტო ძეგლის არსებობას მიგვანიშნებს. მისი მოქმედების ზუსტი თარიღის დასადგენად არქეოლოგიური გათხრებია საჭირო. ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული თიხის ჭურჭლის დიდ ნაწილზე მოცემული ორნამენტი, ფორმები, კეცი და სხვა ადრეფეოდალური ხანის ძეგლებს მოგვაგონებს, მაგრამ აქვე აღმოჩენილ თვალედ მძივსაც თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ძეგლის ქვედა ქრონოლოგიური თარიღი წინარე ქრისტიანულ ეპოქებშია საძებარი. იგივეს მიგვანიშნებს ზოგიერთი ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც ანტიკური კერამიკის ნიშნებს ატარებს. ტვირბიშის კერამიკას ბევრი დღემდე უცნობი

---

* აღნიშნული ძეგლები დანგრევას გადარჩებოდა რომ მესტიის რაიონის სათანადო ორგანოებს დაინტერესება გამოეჩინათ ამ საქმის მიმართ. მსგავს შემთხვევებს აქ ადრეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ასეთის განმეორება ამჟამად მიუტევებელია, ვინაიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, 1973 წლიდან, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სახით, მესტიაში გააჩნია თავისი სამეცნიერო და ადმინისტრაციული უჯრედი, რომელიც მოვალეა თვალყური ადევნოს მატერიალური კულტურის, მათ შორის არქეოლოგიური ძეგლების ყოველ ახალ აღმოჩენას და ამის შესახებ უნდა აცნობოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ არქეოლოგიურ კომისიას ან ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, რომელიც უშუალოდ წარმართავს ამ რეგიონის არქეოლოგიურ კვლევას.

ნიშანიც ახასიათებს, რაც ადგილობრივი ლოკალური თავისებურებებით უნდა აიხსნას.

1974 წლის მარტში მესტია-ზუგდიდის სამანქანო გზის მშენებლების მიერ სოფ. ეცერში დანგრეული იქნა სამარხები. გზის მშენებლობაზე დასაქმებულმა მუშებმა ჩვენ გადმოგვცეს სამარხეული ინვენტარის ერთი ნაწილი: თიხის ჯამი, მინის სასმისი, ვერცხლის მოსევადებული სათითური, ქამრის ნაწილები და სხვა (ტაბ. XLII). სამაროვნის დამათარიღებელია თიხის მოჭიქული ჯამი (ტაბ XLII-1). იგი ღია მოვარდისფროდაა გამომწვარი, აქვს მაღალი ვიწრო ქუსლი და ღრმად შეღარული ძირი ოდნავ გამოყოფილი კოპით. ჯამის შიდა პირი დაფარულია თეთრი ანგობის თხელი ფენით და გავლებული აქვს მოყვითალო ფერის ჭიქური. ასევეა მოჭიქული ჯამის პირის გარეთა ნაწილიც, რომელიც სამი ღარითაა შემკული.

მსგავსი ჯამები მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ძეგლებზე (თბილისი, რუსთავი და სხვ.). ამ პარალელების მიხედვით, ეცერის მონაპოვარი დაახლოებით XVII საუკუნის დასასრულით უნდა დათარიღდეს. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ სვანეთის ჯამის კეცი სრულიად განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოს ჯამებისათვის დამახასიათებელი წითელი და უფრო წვრილმარცვლიანი კეცისაგან, ამასთან ყველა ისინი ნასახლარებზეა აღმოჩენილი.

მოჭიქული ჯამის კეცი მსგავსია იმავე ეცერში (ტაბ. XXXVI-2) და მეზობელ სოფ. ებუდში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლებისა, რომლებიც შავი და ყავისფერი საღებავით არიან გარედან მოხატული. თუ ჩვენ ხელთ არსებულ სხვა მასალებსაც გავითვალისწინებთ, ეცერ-ებუდის მხარეში ძველი კერამიკული სახელოსნოს არსებობა და მომავალში მისი ნაშთების აღმოჩენა არ არის გამორიცხული.

მოჭიქული კერამიკა ხანგრძლივი დროის მანძილზე ყოფილა გავრცელებული სვანეთში. საამისო ყველაზე ადრეული არქეოლოგიური დასტურია სოფელ ბეჩოში აღმოჩენილი მწვანე ჭიქურიანი დოქი (ტაბ. XLIII), რომელიც საქართველოს არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით XII საუკუნით თარიღდება. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ზემო სვანეთის უმრავლეს ეკლესიებში შემონახულია სხვადასხვა საუკუნეების მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ამ სახის ფუფუნების საგნებზე გაზრდილი მოთხოვნილების საბუთია შორეული რაიო-

ნებიდან მისი შემოტანა. ასე მაგალითად, სვანეთში გამოვლინებულია XVIII საუკუნის დალესტნური მოჭიქული ჭურჭელი. მისთვის დამახასიათებელია მარმარილოსებური ორნამენტი, რომელიც შედგენილია სხვადასხვა მკვეთრი ფერების მქონე (ყვითელი და მწვანე. ყავისფერი და მწვანე. წითელი და ყავისფერი) კეცის, ანგობისა და ჭიქურის შეხამებით.

გარდა წმინდა არქეოლოგიურისა, კომპლექსურმა ექსპედიციამ გამოავლინა აგრეთვე ისეთი მასალები, რომელთა დანიშნულება თუ მხატვრული შინაარსი ადრეულ, არქეოლოგიურ ეპოქებს უკავშირდება. ამ რიგის მონაპოვრებიდან ყურადღებას იქცევს ქვის სალოცავები, ლითონისაგან ჩამოსხმული მამაკაცის ანთროპომორფული ქანდაკება, ხეზე [illegible] ორნამენტი და სხვა.

ქვის სალოცავები მიგნებულია ულახსა და მესტიაში. ერთი ცალი დაცულია სოფ. ზაარდლამში (მულახის თემი) ბერიანების ოჯახში. სვანური სახლის პირველ სართულზე („მაჩუბ"-ში) გამართულ ბელელში („გვემ"; ტაბ. XLVI-2). მის წინაშე რიტუალს ოჯახის უფროსი ასრულებს; მასვე სწირავენ არყის გამოხდის დროს პირველ ზედაშეს — „სოლმა კათხ"-ს შესთხოვენ სიუხვეს, საქონლისა და ადამიანის გამრავლებას, ავი თვალისაგან დაცვას და სხვ. ბერიანებს აღნიშნული ქვა მფარველად ჰყავდათ მიჩნეული. შემონახული ლეგენდა ბერიანების თავდაპირველ საცხოვრისს სხვა ადგილას მიუთითებს. აღნიშნული ქვაც იქვე ჰქონიათ, ერთხელ ბერიანების უხუცესს ცაზე ვარსკვლავის მოწყვეტა შეუნიშნავს. მაშინვე ქვის კერპს დაუწყია საზარელი წივილი, რომელიც არ შეუწყვეტია ვარსკვლავის მიწაზე დაცემამდე. ამ ფაქტის მომსწრე უხუცესს გადაუწყვეტია საცხოვრებელი სახლის გადატანა ვარსკვლავის დაცემის ადგილზე. ლეგენდის სხვა ვარიანტების მიხედვითაც, ბერიანების ქვის კერპს რაღაც საერთო უნდა ჰქონდეს კოსმიურ წარმოდგენებთან. რელიგიური რწმენა-წარმოდგენების გარდა, აღნიშნული საგნები ეგება მასალის წარმომავლობის თვალსაზრისითაც იყოს საინტერესო.

იმავე მულახში — დადვანების ძველ სვანურ სახლშია შენახული მეორე სალოცავი ქვა (ტაბ. XLVI-3; XLVIII). მესამე ქვა (ტაბ. XLIX) ინახება მესტიაში — ნაკანების ძველ საგვარეულო სახლში, რომელსაც ამჟამად არდევან ნაკანი პატრონობს. ისე როგორც ბერიანებსა და დადვანებს, ნაკანებსაც აღნიშნული ქვის უცხო პირებისათვის ჩვენება ცუდად ჰქონიათ დაცდილი

და, ამიტომ, ერიდებიან „გვემში“ (ბელელში) გარეშე პირების შემოშვებას.

მეოთხე სალოცავი ქვა დევს ნ. ხერგიანის სათიბში — მესტიაში. იგი დიდი ზომის ოვალური მოყვანილობის რიყის ქვაა (ტაბ. XLVI-1; XLVII). გადმოცემით, ამ ქვასთან ლოცვის რიტუალს ასრულებდა ხერგიანების ოჯახის უფროსი დიასახლისი. ახლო წარსულშიაც ამ ქვასთან, თიბვის დაწყების დღეს, თავს იყრიდნენ ხერგიანები, რომელთა სათიბებიც სწორედ ამ ტერიტორიაზე იყო განლაგებული.

ზემოაღნიშნულის გარდა, სვანეთში სალოცავი ქვების არსებობა უფრო ადრეც არის დამოწმებული. მაგალითად, ლობანოვ-როსტოვსკი, რომელმაც მე-19 საუკუნის შუა ხანებში იმოგზაურა სვანეთში, თავის დღიურებში მიუთითებს მოგრძო ქვაზე, რომელსაც სვანები თაყვანს სცემენ, როგორც წინაპარს[95]. ა. სტოიანოვმა აღწერა სოფ. ეცერის სამი დიდი ქვა, რომელთაგან ერთ-ერთი ადამიანის ორსაჟენიანი გამოსახულება ყოფილა[96].

ნიშანდობლივია ისიც, რომ სვანეთის სხვადასხვა ადგილებში ვხვდებით ე. წ. „ლამზგრ ბაჩარს“ — სალოცავ ქვებს და „დავა ბაჩარს“ — დევის ქვებს. ზოგ მათგანთან მითური შინაარსის გადმოცემები არის დაკავშირებული. აღნიშნული ქვები ჩვეულებრივ უზარმაზარი მოცულობის მორენულ ლოდებს წარმოადგენენ. ასეთი წმინდა ქვების არსებობა კავკასიონის უღელტეხილებზეც არის დამოწმებული[97].

საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში ადამიანის სახის მქონე გამოსახულებები, ანტროპომორფულ და ზოომორფულ გამოსახულებებთან ერთად, აღმოჩენილია ენეოლითური ხანის ძეგლებში. — არუხლოზე[98]. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მამაკაცის თავს უნდა წარმოადგენდეს, ქვისაა. სტილიზებულად გამოყვანილი სახის ნაკვთების გარდა, ყურადღებას იქცევს შუბლის არეში გარშემოყოლებული, საკმაოდ ღრმად ამოკვეთილი ღარი. ზუსტად

---

95 Газета Кавказ, 1852 г. № 17.

96 А. Стоянов, Путешествие по Сванетии, ЗКОИРГО, кн. I, вып. II, 1876, с .305.

97 Г. Ф. Чурсин, Почитание гор, скалы, камней у Кавказских народов. Бюллетень Кавказского историко-археологического института, Тиф., 1928, №4, с. 20.

98 К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры южного Кавказа, с. 25, 163, рис. 6-б.

ამ არეში ხერგიანების სალოცავ ქვასაც შემოუყვება თეთრი ფერის ბუნებრივი არშია. ისმება კითხვა, ხომ არ არის ეს ფერადზოლიანი ქვა საგანგებოდ შერჩეული? ამ დეტალის მიხედვითაც, მათ შორის ეგება რაიმე საერთო არსებობდეს, მაგრამ ამაზე მსჯელობა, ჯერჯერობით, სათანადო მასალების სიმცირის გამო, ვერ ხერხდება.

სვანეთში დამოწმებული კაცისგამოსახულებიანი ქვის სალოცავები უნდა მივიჩნიოთ პირველი წინაპრის სიმბოლურ გამოსახულებად, ხულებად, წინაპართა კულტის შინაარსის მატარებელ საგნებად, რომელშიაც ოდესღაც პატრიარქატის ოჯახურ-გვაროვნული მფარველი იყო გაერთიანებული. ამასთან ერთად, მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების განვითარების კვალობაზე, ქვები გვესახება ნაყოფიერების გადიდების შინაარსის მქონე ატრიბუტებად, წინაპარი ითვლება უკვე მიწაში, მის სამყაროში მცხოვრებ სულად. პირველყოფილი ადამიანის წარმოდგენები უკავშირდება მისთვის საოცარ მოვლენას — თესლი ითესება მიწაში, გარდაცვალებული ადამიანიც იმარხება მიწაში, ე. ი. მისი კოსმოგენური თვალსაზრისით სულები ცხოვრობენ მიწის ქვეშა სამყაროში.

უფრო ადრეულ ხანაში ქვა თავისი სიმაგრის, სიმტკიცის, დაუშლელობისა და დიდი პრაქტიკული გამოყენების გამო სვანეთშიაც მაგიურ საგნად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. მაშასადამე, პირველყოფილი — თემური წყობილების ოღვევის სტადიაზე, ქვამ, როგორც ჩანს, პირველი წინაპრის ანტროპომორფული სახე მიიღო, რომელსაც მიწათმოქმედების განვითარების გამო აგრარული კულტის სარიტუალო ცერემონიალიც დაუკავშირდა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული ქვები მოთავსებულია ერთ შემთხვევაში სათიბში, ხოლო სამ შემთხვევაში — სვანური სახლის „გვემ"-ში (ბეღელში). მათ წინაშე შესრულებულ რიტუალში უმთავრესად საქონლისა და ადამიანის სიმრავლეს, მოსავლიანობის ზრდასა და სიუხვეს შესთხოვდნენ.

მამაკაცის ანტროპომორფული ქანდაკება მუჟალის მთავარანგელოზის ეკლესიაშია დაცული (ტაბ. L). გამოსახულება მეტად სქემატურია, მკვეთრად აქვს გამოსახული მამრობითი სქესის ატრიბუტი. ადვილი მისახვედრია, რომ მისი სიუჟეტი რელიგიურ-მაგიურ წარმოდგენებთანაა დაკავშირებული და მასში განაყოფიერების — გამრავლების იდეაა სიმბოლურად გადმოცემული. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამ რიგის ძეგლებში იყოს წარმოდგენილი მითური გმირი „ტულეპია მელია", რომელიც გვი-

ანობამდე შემორჩა სვანთა რელიგიურ წარმოდგენებსა და რიტუალებში[99]. ამ საკითხზე ალბათ ჩვენი ეთნოგრაფები იმსჯელებენ უფრო კონკრეტულად.

წინარექრისტიანული ხანის იდეოლოგია, არქეოლოგიურ მასალებთან ერთად, საკმაოდ კარგადაა ასახული აგრეთვე შუასაუკუნეების ხეზე კვეთილობის ძეგლებში. სვანური საცხოვრებელი სახლების ინტერიერისა და ავეჯის გასაფორმებლად გამოყენებული დეკორატიული მხატვრობა უხვად მოიცავს ასტრალურ, ზოომორფულსა და სხვა მოტივებს, რამაც დიდი ხანია ეთნოგრაფების ყურადღება მიიქცია. ამჟამად ჩვენ ინტერესს იწვევს სოფ. ნაკში შემონახული ხის სკივრის ფასადზე ამოჭრილი ლაბირინთი (ტაბ. LI), რომლის უახლესი არქეოლოგიური პარალელია ჩრდილო კავკასიაში აღმოჩენილი ქვის ლოდზე ამოკვეთილი ლაბირინთი, რომელსაც წინარე ყობანური ხანით ათარიღებენ[100]. ეს უნიკალური მონაპოვარი ესპანეთში, კრეტაზე და სხვაგან აღმოჩენილ ლაბირინთების მოხაზულობას უახლოვდება და ხმელთაშუაზღვის ქვეყნებთან ჩრდილო კავკასიური ტომების ურთიერთობის საბუთად არის მიჩნეული.

სვანეთში, სადღეისოდ, ამგვარი ლაბირინთის ხეზე ამოჭრის ორი შემთხვევაა დამოწმებული. მართალია, ისინი შუასაუკუნეების ავეჯზეა მოცემული, მაგრამ შესაბამისი არქეოლოგიური პარალელები და სვანურ ავეჯზე მათთან ერთად ამოკვეთილი ასტრალური ორნამენტი აშკარად მიუთითებს, ერთი მხრივ, ადრინდელი რელიგიური გადმონაშთების გვიანობამდე შემონახვას სვანეთში, ხოლო, მეორე მხრივ, ხით ხუროობისა და მისი მხატვრული დამუშავების შორეულ ტრადიციებზე. საამისო არქეოლოგიური დასტურია აგრეთვე ჭუბერში, ძვ. წ. VI–IV სს. სამარხზე, ხის სასმისის აღმოჩენა[101]. სასმისი ჩარხზეა გამოყვანილი და ხელოსნობის ამ დარგის უკვე განვითარებულ დონეს მიგვანიშნებს.

---

99 В. В. Бардавелидзе, О древнейших религиозных верованиях и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957; Дж. Н. Ониани, Из истории древнейших верований Грузии (Сванский цикл праздников «Мурквамоба—Квирлаоба»). Автореферат, Тб., 1970.

100 Е. И. Крупнов, Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, МИА, 23, с. 64, рис. 24.

101 შ. ჩართოლანი, სვანეთის 1965 წლის ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, გვ. 37.

* * *

ასეთია ზოგადად სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის მიერ ახლად გამოვლენილი არქეოლოგიური მასალების ძირითადი ნომენკლატურა. მათი სრული და საბოლოო ანალიზი, ამჯერად, ჩვენი გამოკვლევის მიზანს სცილდება. ასეთი სამუშაოს განხორციელება გათვალისწინებულია მომავლისათვის, როცა დამთავრდება სვანეთის სხვა ეკლესიებსა და მოსახლეობაში ჯერ კიდევ დარჩენილი არქეოლოგიური მასალების სრული აღრიცხვა და მათი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაცია. მასალის გარკვეული ნაწილის ახსნა, ალბათ, გაძნელდება, ვიდრე არ განხორციელდება შემთხვევითი მონაპოვრების კვალდაკვალ უკვე მონიშნული ძეგლების გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრები.

საკვლევი მასალის ზოგადი დახასიათებისათვის საჭიროა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მასალის ერთ (მცირე) ნაწილს თავიდანვე ჰქონდა წმინდა საკულტო-სარიტუალო დანიშნულება, ან. პრაქტიკულ გამოყენებასთან ერთად. ატარებდა ასეთ შინაარსს. ამ რიგის მასალები ქრისტიანობის გავრცელებამდე ბევრად უფრო ადრეა დამზადებული და მისი მფლობელის მიერ ამა თუ იმ ხატისათვის შეწირული ან რელიკვიად შენახული. მასალის მეორე (უმრავლესი) ნაწილი კი არასაეკლესიო დანიშნულების ნივთებია. ისინი უშუალოდ ადამიანის სამკაულად ან საბრძოლო-სამეურნეო დანიშნულებისთვისაა დამზადებული როგორც წარმართულ. ისე ქრისტიანულ ხანაში. გვიანდელი ნაწარმი სვანეთის ეკლესიების მოქმედების სინქრონულია და, ალბათ, იმთავითვე ეკლესიისათვისაა შეწირული. აღრეული მასალები სვანეთის არქეოლოგიურ ძეგლებზევე ჩანს ნაპოვნი და შემდეგ ეკლესიებშია მოხვედრილი. როგორც შემოწირული. საამისო არგუმენტად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი:

1. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება იმის შესახებ რომ კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში ადრიდანვე დამკიდრებული ჩვევით. შემთხვევით ნაპოვნ ყველა ძველ ნივთს ინახავდნენ ეკლესიაში[102].

---

[102] ეკვთ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 148, 432, 436; გ. ბოჭორიშვილი, რაჭის საისტორიო ძეგლები, სსმ, VII, 1932, გვ. 259, Б. А. Куфтин, К вопросу о древных стадиях бронзовой культуры на территорнй Грузии. С. 8.

2. ეკლესიებში აღრიცხულ ნივთიერ მასალებს მრავალი საერთო აქვს ჩვენს მუზეუმებში არსებულ და მოსახლეობაში გაბნეულ შემთხვევით არქეოლოგიურ მონაპოვრებთან და, რაც მთავარია. სვანეთსა და მეზობელ რაჭაში არქეოლოგიურად გათხრილ სინქრონული ძეგლებთან. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭუბერისა და ბრილის ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიური კომპლექსები. ასევე, მოსახლეობიდან ნაწილობრივ აკრეფილი ნივთები, რომლებიც იმათ აღმოაჩინეს ოქროს ძიების პროცესში, ე. წ. „ტორგსინობის“ დროს. რომაული ხანის ძეგლი — მულახში, სოფ. არცხელთან ახლოს, ბრინჯაოს ხანისა — იფარში, ლასილის ხეობაში და სხვ.

3. სვანეთში შემონახული სხვადასხვა სახის ძეგლები ავსებენ და ხსნიან ერთმანეთს, ასე, მაგალითად, ეკლესიებში დაცული ფეოდალური ხანის განსხვავებული ზომისა და მოყვანილობის სათითე ბეჭდების პრაქტიკული გამოყენების, სხვადასხვა თითზე და ფალანგებზე განაწილების ასახსნელად, საუკეთესო საშუალებაა მესტიაში — ლეხთაგის „ლამარიას“ ეკლესიის ერთ-ერთ ფრესკაზე გამოსახული წარჩინებული ასულის სურათი. მას ორივე ხელზე ათი ბეჭედი აქვს წამოცმული. ბეჭდები ყველა თითზეა განლაგებული, გარდა მარცხენა ხელის არათითისა. ცერზე, ნეკზე და შუა თითის ყველა ფალანგზე, საჩვენებელ და არათითზე — შუა ფალანგებზე, შუა თითზე — ქვედა და ზედა ფალანგებზე. ასეთი ფრესკები საქართველოში არც თუ დიდი რაოდენობითაა ცნობილი და სამწუხაროა, რომ „ლამარიას“ ეკლესიის მხატვრობა მოუვლელობის გამო, სადღეისოდ, დაღუპვის პირზეა მისული. დაკარგულია ამ ეკლესიაში თავმოყრილი ნივთიერი მასალა.

4. წინარექრისტიანული დროის არქეოლოგიური ნივთების — შუა და გვიან ფეოდალური ხანის ეკლესიებისათვის შეწირვის სახით მათი მეორადი გამოყენების ფაქტი მიუთითებს, რომ ძველი და უძველესი საზოგადოების კუთვნილი ნივთიერი მასალა ცოცხალ კავშირშია სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფასთან, აქაური მოსახლეობის რელიგიურ რწმენა-ჩვეულებებთან, მის იდეოლოგიასთან. სვანეთში დღემდე შემონახული, სხვადასხვა ეპოქებიდან მომდინარე მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების ურთიერთშეჯერება და მათი ისტორიულ ჭრილში განხილვა საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ სვანეთის უძველესი, ძველი და გვიანდელი ეპოქების კულტურების გენეტიკური კავშირი და, აქედან გამომდინარე, აღნიშნულ რეგიონში სვანი ტომების ავტოქტონობა და

ეთნიკური უცვლელობა. რაც ერთობ მცდარადაა განმარტებული ქართულ საისტორიო წყაროებსა და უფრო გვიანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში. აღნიშნული გარემოება ერთხელ კიდევ ადასტურებს საქართველოს სრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სათანადო გადაწყვეტილების სამართლიანობას იმის შესახებ რომ სვანეთის სიძველეები, კერძოდ, ეკლესიებში თავმოყრილი ნივთიერი ძეგლები დაცული და შესწავლილი უნდა იქნეს ადგილზევე, ამ კუთხის სხვა ძეგლთან ერთად, სვანთა ეთნოგრაფიულ ყოფასთან კავშირში.

რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის მუშაობას ამ კუთხის არქეოლოგიური კვლევის საქმისათვის. როგორც ცნობილია, სვანეთში ფართო მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები ჯერ კიდევ არ დაწყებულა. მაგრამ ამ მხარეში სხვადასხვა დროს შემთხვევით აღმოჩენილმა ნივთიერმა მასალამ დიდი ხანია მკვლევართა ყურადღება მიიქცია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სვანეთის არქეოლოგიურ მონაპოვართა შესწავლა-განზოგადება დღემდე სპეციალური კვლევის საგნად არავის გაუხდია. ამჟამად, სვანეთის არქეოლოგიურ გამოკვლევას წარმართავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. ეს კვლევა-ძიება არსებითად ორ საფეხურად იყოფა: პირველი — შემთხვევითი მონაპოვრების აღრიცხვა-თავმოყრა, მხარის არქეოლოგიური დაზვერვა და მეორე — არქეოლოგიური გათხრების ფართო მასშტაბით განხორციელება.

1964, 65, 69 წლებში სვანეთში, კერძოდ, მესტიის რაიონში უკვე იმუშავეს ინსტიტუტის მცირერიცხოვანმა სადაზვერვო ექსპედიციებმა, რის შედეგადაც: აღრიცხულია თითქმის ყველა შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვარი, რომელიც მუზეუმებშია დაცული ან ადგილობრივ მოსახლეობაში იყო გაბნეული; შეკრებილი და შემოწმებულია ამ აღმოჩენათა შესახებ მოსახლეობაში შემონახული ზეპირსიტყვიერი ცნობები; მიკვლეულია ბევრი შემთხვევითი აღმოჩენის ზუსტი ადგილი; დაზუსტებულია სადღეისოდ გამოვლინებული უმთავრესი ძეგლების ასაკი და ტოპოგრაფია, ხოლო ბრინჯაოს ხანის მონაპოვრებისათვის შედგენილია არქეოლოგიური რუკა და მასალის სრული კატალოგი; გაკეთებულია სადაზვერვო არქეოლოგიური გათხრების შედეგად და შემთხვევით,

მოპოვებული მასალების ზოგადი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური
კლასიფიკაცია, რითაც ირკვევა, რომ სვანეთის არქეოლოგიური მო-
ნაპოვრები წარმოგვიდგენენ კულტურათა მონაცვლეობის თითქმის
უწყვეტ ჯაჭვს — ადრე ბრინჯაოს ხანიდან დაწყებული, ვიდრე
გვიანი შუასაუკუნეების დასასრულამდე. ინსტიტუტის მიერ ჩატა-
რებული ამ მუშაობის ძირითადი შედეგები ასახულია თანამშრომ-
ლების მიერ სამეცნიერო სესიებზე წაკითხულ მოხსენებებსა და
ინფორმაციებში, საკვალიფიკაციო ნაშრომებში, ინდივიდუალურ
წლიურ თემებში და ნაწილობრივ გამოქვეყნებულია სპეციალურ
ლიტერატურაში — ცალკეული წერილების სახით.

ამრიგად, განვლილ ეტაპზე განხორციელებული კვლევა-ძიე-
ბის შედეგად, ძირითადად, თითქოს დამთავრდა სვანეთის არქე-
ოლოგიური შესწავლის პირველ საფეხურზე შესასრულებლად გათ-
ვალისწინებული სამუშაოები, მაგრამ ამ საქმეში მაინც არსებობ-
და სერიოზული ხარვეზი, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ არქე-
ოლოგებისათვის მიუღწეველი და უცნობი რჩებოდა აქაურ ეკ-
ლესიებში თავმოყრილი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასა-
ლები. ამ ხარვეზის შევსება შესაძლებელი ხდება იმის წყალო-
ბით, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათ აკადემიამ, 1972 წლი-
დან, სვანეთში სისტემატური მუშაობისათვის მიავლინა სხვადა-
სხვა დარგის სპეციალისტებისაგან დაკომპლექსებული ექსპედი-
ცია, რომლის არქეოლოგიურ ნაწილში მეშაობის პირველ შედე-
გებსაც ეძღვნება ეს ნაშრომი.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, სამართლიანად მიგვაჩნია
დავსძინოთ, რომ სვანეთის ეკლესიებში შემონახული არქეოლო-
გიური მასალები მნიშვნელოვნად ავსებენ ამ კუთხის მატერიალუ-
რი კულტურის ძეგლებს, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვ-
ნელობა აქვთ არა მარტო სვანეთის, არამედ კავკასიის მთიან ზოლ-
ში მოსახლე სხვა ქართველი ტომების შორეული წარსულის გასა-
შუქებლად, საქართველოს ისტორიაში მათი როლისა და მნიშვ-
ნელობის გასარკვევად. აღნიშნული ძეგლები ასევე საინტერესოა
მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიური და კულ-
ტურული ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით. ამდენად,
ექსპედიციის მიერ გამოვლენილი არქეოლოგიურ მასალების მნიშვ-
ნელობა ადგილობრივ ფარგლებს სცილდება, რაც, თავის მხრივ,
აყენებს საკითხს ამ მასალების სრული სახით სამეცნიერო მიმოქ-
ცევაში შემოტანისა და სათანადო პუბლიკაციის აუცილებლობის
შესახებ. ამასთან, გადაუდებელი ჩანს სვანეთისა და საერთოდ ის-

ტორიული კოლხეთის მთიანი ზოლის სისტემატური არქეოლოგიური კვლევა, სხვანაირად ვერ შეივსება საქართველოს ისტორიოგრაფიაში არსებული სერიოზული ხარვეზი, რასაც ჩვენი ქვეყნის, მთიანი ზოლის წარსულის შესწავლის უკმარისობა ჰქმნის.

РЕЗЮМЕ

Сванети — одна из красочных и самобытных краев Грузии. Она расположена на южных склонах Главного Кавказского хребта, по ущельям рек Ингури и Цхенис-цкали. Географически она четко локализована Главным Кавказским, Лечхумским, Мегрельским, Кодорским и Акибосским хребтами. Кроме системы высокогория, Сванети от низменных районов Западной Грузии отделена также Джварским и Мурским проходами («Клдекари»).

Обширны и разнообразны природные ресурсы Сванети: полезные ископаемые, в основном, цветные металлы и разные минералы; растительный покров — богатые леса, альпийские луга, пастбища, питательные и лекарственные растения, дикие ягоды, обильный животный мир, минеральные воды и др.

Природные богатства Сванети с древнейших времен способствовали заселению и развитию на этой территории присваивающего и производящего хозяйства, их основных видов — собирательства и охоты, металлургии, скотоводства и земледелия.

В рассматриваемых в работе археологических материалах отражены некоторые черты социально-экономической и культурной жизни населения древней Сванети. Здесь в большом количестве сохранились остатки древней металлургии, памятники архитектуры и живописи; ювелирные изделия, образцы скульптуры, рукописи, миниатюры, тканей и вышивки, а также древнейшие формы музыкального и устного фольклора. Значительная часть сванских памятников уникальна и имеет большое значение для изучения разных периодов истории Грузии и Кавказа. Поэтому, понятен большой интерес к Сванетии ученых различных отраслей науки. Изучению материальной и духовной культуры этого края было посвящено много научных исследований и монографий, однако следует отметить, что некоторые из них не всегда отвечают современным требованиям.

Следует подчеркнуть, что местное население в течение многих веков не только создавало материальные и духов-

ные ценности, но и оберегало их, сохранив до наших дней выдающиеся творения национальной культуры.

После победы Советской власти исторические и культурные памятники Сванети охраняются государством. В 1936 г. в районном центре Верхней Сванети — с. Местиа, был открыт краеведческий музей, 14 ноября 1947 г, Совет Министров Груз. ССР принял специальное постановление о регистрации и охране культурно-исторических памятников Верхней Сванети... В последнее время стало известно, что дело заботы и изучения этих памятников не отвечает современным требованиям. Вполне созрела и сформировалась общественная мысль о необходимости улучшения мероприятий по охране и изучению культурно-исторического наследия края. В связи с этим, на страницах местной и республиканской прессы, на радио и телевидении, были обсуждены наболевшие вопросы, связанные с проблемой фиксации, изученности, реставрации памятников и т. д. Памятники Сванетии оказались в центре внимания компетентных органов и крупнейших научных центров республики. Так, в 1972 г. Президиум Академии наук Груз. ССР в целях глубокого научного изучения и охраны культурно-исторических памятников Сванети образовал «Сванетскую комплексную научную экспедицию». Экспедиция вначале работала главным образом в селах Ушгули, Кала, Ипари, Местия, Мулахи и Латали. Экспедиция провела обширную и скрупулезную работу; только в церквях Ушгули и Кала было обработано и зафиксировано 4,552 предмета, из которых 238 составляли иконы и кресты. В период работы экспедиции, было прочитано свыше 400 надписей. Заслуживают особого внимания обнаруженные в Кала, в церкве «Лагурка», надписи на деревянных дощечках, датируемых XIV—XV веками и разнообразный археологический материал. Общее число археологических предметов, выявленных экспедицией в церквях и у местного населения, превышает несколько тысяч. Общие хронологические рамки этих предметов охватывают большой период: с первой половины II тыс. до н. э. — до позднего средневековья включительно: 1. каменные, бронзовые, железные боевые и охотничие оружия и хозяйственные орудия (кремневые наконечники стрел, бронзовые топоры и серпы, различные виды железных наконечников стрел, копий и др.); 2. предметы роскоши (бусы, украшения, браслеты, кольца и др. из полудрагоценных камней, стекла, пасты, гишера, кости, бронзы и серебра); 3. инсигнии власти и культового назначения (металлические скиптры, пластические изображения, художественно оформленные оружия, целеб-

ные камни и др.); 4. нумизматический материал: (грузинские, греческие, византийские, арабские, персидские и турецкие золотые, серебрянные и бронзовые монеты (табл. XIII, XIV, XLIV, XLV).

Самые ранние археологические материалы найденные экспедицией относятся к эпохе средней бронзы (табл. I; II—1,2), кремневые наконечники с выемчатым основанием. бронзовые трубчатообушные топоры, изображение головы барана и булава, аналоги которых известны только лишь среди археологических находок эпохи средней бронзы из Верхней Рачи и Северного Кавказа — Дигори. На булаве кроме геометрического орнамента, также изображены рога барана. В обеих случаях в основе художественного оформления предмета лежат главные признаки характеризующие хозяйственную деятельность и духовную жизнь древнего населения этого края — большая роль скотоводства, в частности, овцеводства. В связи с этим намечается тенденция сохранить тотемическое представление с одной стороны, а с другой постепенное перерастание в культ барана. То же самое подтверждают бронзовые скульптурные изображения барана, найденные в Сванетии и Раче в археологических комплексах VI—IV вв. до н. э.

К следующей — позднебронзовой эпохе отнесены: бронзовые колхидские топоры, плоские «топоры», (стаместки, резцы), мотыга, серпы, подвески и др. (табл. III, IV, VI-1).

Колхидские топоры и другие предметы позднебронзовой эпохи в большом количестве найдены в Сванетии. Этот факт подтверждает дальнейшее развитие металлургии, а также тех отраслей хозяйства, где применялись вышеупомянутые орудия. Эти находки указывают на развитие плотничества и художественной обработки дерева в этом регионе.

Древнейший из числа деревянных археологических находок Сванети — обломок сосуда — обнаружен в могильнике Ларилар (VI—IV вв. до н. э.) Но ранняя традиция обработки и украшения дерева и большой практический опыт иллюстрируется также на примере памятников более позднего времени-интерьер нижнего этажа сванского жилого комплекса, домашний инвентарь и др. Особо следует отметить орнамент на деревянных сундуках. Здесь совместно с геометрическими, даны астральные и зооморфные мотивы. Нам удалось обнаружить деревянный сундук, передняя стенка которого украшена орнаментом (табл. LI), аналогичным лабиринту на глыбе камня, найденной на Северном Кавказе около села Дигори, который датируется предкубанским периодом.

До нашей экспедиции сельскохозяйственные орудия и палеоботанические материалы эпохи поздней бронзы — раннего железа были выявлены в различных пунктах ущелья р. Ингури, на участке от «Джварского прохода» до с. Эцери. Таким образом, наивысшая точка нахождения интересующих нас памятников определена высотой до 1600 м над уровнем моря. Новейшие Ушгульские находки бронзовых серпов (табл. V) вертикальную зону распространения сельскохозяйственных орудий переносят еще выше до отметки 2000 м.

Древние земледельческие традиции довольно ярко отражены в религиозных верованиях и обрядах местного населения (аграрные и солярные культы). В этом отношении привлекает внимание дисковидная подвеска из Ушгули, представляющая собой стилизованное изображение солнца (табл. VI-1).

Из археологических материалов античной эпохи в Сванети особенно богато представлены украшения, в частности, бусы и ожерелья, изготовленные из сердолика, агата, халцедона, стекла, пасты и др. материалов (табл. VIII); металлические кольца и браслеты. Значительная часть которого местного происхождения, другая — была изготовлена и завезена в Сванети из ахеменидского Ирана, Сирии, Египта и других культурных центров древнего Востока и Античного мира (табл. VIII; IX; XI). Из предметов античной эпохи следует указать также и на местные (иберийские) подражания золотым статером Александра Македонского II—I вв. до н. э. (табл. XIII—2,3,4) и Августа Цезаря II—III вв. н. э. (табл. XIV-4).

Среди археологического материала средневековой эпохи: железные оружия; женские украшения изготовленные из различных материалов — стеклянные и серебрянные браслеты, бусы из полудрагоценного камня, гишера и стекла; серебряная и медная посуда, целебные («волшебные») камни, нумизматический материал и т. д. (табл. XIV—LII). Из железных оружий особенно богато представлены наконечники стрел. Только в церкви с. Кала их хранится более 800 единиц (табл. XV-6). Большая часть наконечников датируется средней и позднефеодальной эпохами, а некоторая — раннефеодальной эпохой. По формам наконечники стрел из с. Кала можно разделить на десять различных видов.

Наконечники стрел помимо их прямого практического назначения (боевого и охотничьего), использовались в культовых целях и качестве символа власти. К числу последних можно отнести художественно обработанный трехгранный

наконечник со следами позолоты (табл. XXIX-2) и наконечник копья с ажурным орнаментом (табл. XXVIII-4).

В большом количестве в церквях хранятся кольца различных эпох, встречаются и перстни-печати (табл. XXV, XXXVI).

Из многочисленного нумизматического материала средних веков выделяются грузинские, византийские, арабские, персидские, турецкие и др. монеты (табл. XLIV, XLV).

Большая часть археологического материала, обнаруженного экспедицией, аналогичны с ранне выявленными археологическими памятниками Сванети и соседней Рачи. С этой точки зрения заслуживает особого внимания идентичность украшений, хранящихся в селах Ушгули и Кала с материалами античной эпохи и Чубери, Мулахи и Брили. Однотипными являются так же металлическое оружие, украшения и нумизматический материал из вышеуказанных церквей, Местийского музея и рассеянные среди местного населения.

Все это еще раз указывает на то, что случайные археологические находки, пожертвованные церквям, являются составной частью местных памятников.

Вновь выявленные археологические материалы в значительной степени дополняют ранее известные памятники материальной культуры Сванети. Все они имеют первостепенное значение не только в деле освещения далекого исторического прошлого этого края, но и той роли, которую играли грузинские племена сванов населявшие горную полосу Кавказа, в жизни древней Грузии. Не будет преувеличением если отметим, что указанные памятники не лишены научного интереса и с точки зрения изучения истории торгово-экономических и культурных взаимоотношений края с другими странами. Таким образом, значение археологических памятников, обнаруженных Сванетской комплексной экспедицией, выходит за местные рамки.

Существующие материалы дают определенное представление о древнейших религиозных верованиях и обрядах. Из них в предметах материальной культуры лучше отражены следующие культы: предков, местности, животных, камня и др. Предметы, относящиеся к магии и культу и связанные с ними некоторые языческие верования и обычаи в пережиточном виде в Сванети и по сей день фигурируют рядом с христианской религией и сохранились с современным этнографическим бытом. Отмеченное обстоятельство еще раз свидетельствует о генетической связи между древнейшей, древней и поздней культурами, выявленными на территории нынеш-

ней Сванетии и, следовательно, об автохтонности сванских племен в данном регионе.

Вместе с этим, древности Сванети — памятники материальной культуры, пожертвованные церквям в течении веков, должны быть сохранены и изучены на месте, в совокупности с другими памятниками материальной и духовной культуры. В то же самое время, исследования должны вестись в тесной связи с учетом этнографической специфики края.

Большое значение имеет изучение вновь выявленного материала в том отношении, что этим завершается первый этап археологического исследования данного региона, т. е. научный учет случайных находок, хранящихся в музеях, церквях и у местного населения, археологические разведки края и подготовка почвы для проведения раскопок широкого масштаба.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I, 1,2 — კაჟის ისრისპირები სოფ. კალადან; 3 — კაჟის ისრისპირი სოფ. ჭუბერიდან; 4 — ბრინჯაოს ყუამილიანი ცული სოფ. მულახიდან.

ტაბ. II,1 — ბრინჯაოს ქანდაკება სოფ. კალადან; 2 — ბრინჯაოს ქინძისთავი სოფ. კალადან; 3 — ბრინჯაოს ქანდაკება ჭუბერიდან.

ტაბ. III, 1,2,3 — ბრინჯაოს კოლხური ცულები სოფ. უშგულიდან; 4 — ბრინჯაოს ბრტყელი ცული სოფ. უშგულიდან.

ტაბ. IV — ბრინჯაოს თოხი სოფ. ლატალიდან.

ტაბ. V, 1,2 — ბრინჯაოს ნამგლები სოფ. უშგულიდან.

ტაბ. VI, 1 — ბრინჯაოს გულსაკიდი სოფ. უშგულიდან; 2 — ბრინჯაოს გულსაკიდი სოფ. ჭუბერიდან; 3 — ბრინჯაოს კოლხური ცული (სვანეთი); 4 — ბრინჯაოს ბალთა ჭუბერიდან.

ტაბ. VII, 1,2 — უშგულის მთავარანგელოზის ეკლესიისათვის შეწირული სამკურნალო და „წმინდა" ქვები.

ტაბ. VIII, 1, 2, 3, — უშგულის, კალისა და მესტიის ეკლესიებისათვის შეწირული მძივები.

ტაბ. IX, 1 — სოფ. ჭუბერში შემთხვევით აღმოჩენილი მინის მძივები; 2 — ბრინჯაოს მედალიონი ჭუბერიდან.

ტაბ. X, 1,2 — კალის „ლაგურკას" ეკლესიისათვის შეწირული მინისაგან ჩამოსხმული ფრინველის ქანდაკებები; 3,5 — ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ფრინველის ქანდაკებები სოფ. ჭუბერიდან; 4 — ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ფრინველის ქანდაკება სოფ. კალადან; 6 — ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ცხენის ქანდაკება სოფ. ჭუბერიდან.

ტაბ. XI, 1 — ბრინჯაოს სამაჯური სოფ. კალადან; 2 — ბრინჯაოს სამაჯური ს ი ე მ, 3 — მძივი ლომის გამოსახულებით ს ი ე მ; მძივი ლომის გამოსახულებით სოფ. კალადან; 5 — გულსაკიდი დათვის თავის გამოსახულებით სოფ. კალადან; 6 — გულსაკიდი ბრინჯაოსი, ჭუბერიდან.

ტაბ. XII, 1 — ცხვრის ქანდაკება ბრინჯაოსი სოფ. კალადან; 2, 3, 4 — ბრინჯაოს გულსაკიდები სოფ. ჭუბერიდან; 5 — ბრინჯაოს ქანდაკება — ქარქაშის გარსაკრავი ჭუბერიდან.

ტაბ. XIII, 1 — ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერი ჭუბერიდან. 2,4 — ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ადგილობრივი ქართული მინაბაძები (ოქრო) ჭუბერიდან; 3 — ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ადგილობრივი ქართული მინაბაძი (ოქრო) უშგულიდან.

ტაბ. XIV, 1 — პანტიკაპეა (ოქრო) მულახიდან; 2,3 — „კოლხური თეთრი" (ვერცხლი), ს ი ე მ; 4 — ლისიმაქეს სტატერის მინაბაძი (ოქრო) უშგულიდან.

ტაბ. XV, 1,2 — რკინის შუბისწვერები კალადან; 3,4 — რკინის შუბისწვერები, ს ი ე მ; რკინის საბრძოლო იარაღი ჭუბერიდან. (ს ი ე მ); 6 — რკინის ისრისპირები კალადან.

ტაბ. XVI, 1 — ისრები, ს ი ე მ; 2 — რკინის ისრები კალადან.

ტაბ. XVII — რკინის ისრისპირები კალადან.

ტაბ. XVIII — რკინის ისრისპირები კალადან.

ტაბ. XIX — რკინის ისრისპირები კალადან.

ტაბ. XX — რკინის ისრისპირები კალადან.

ტაბ. XXI — რკინის ისრისპირები კალადან.

ტაბ. XXII — რკინის ისრისპირები, ს ი ე მ.

ტაბ. XXIII — რკინის ისრისპირები უშგულიდან (ს ი ე მ).

ტაბ. XXIV — რკინის ისრისპირები იფარიდან.

ტაბ. XXV — რკინის ისრისპირები იფარიდან.

ტაბ. XXVI — რკინის ისრისპირები კალადან.

ტაბ. XXVII — რკინის ისრისპირები კალადან.

ტაბ. XXVIII, 1—14 — რკინის ისრისპირები, ს ი ე მ; 15—17-რკინის შუბისპირები, ს ი ე მ.

ტაბ. XXIX, 1, 2, 3, 5 — რკინის ისრები, ს ი ე მ, 4 — რკინის შუბისპირი ს ი ე მ.

ტაბ. XXX — რკინის კვერთხები ს ი ე მ.

ტაბ. XXXI — 1 — 2 — რკინის კვერთხები, ს ი ე მ; 3, 4, 5, — რკინისა და ბრინჯაოს კვერთხები უშგულიდან.

ტაბ. XXXII — რკინის კვერთხები, ს ი ე მ.

ტაბ. XXXIII — მინის სამაჯურები, ს ი ე მ.

ტაბ. XXXIV, 1 — მინის სამაჯური კალადან; 2 — კერამიკული წყალსადენის მილები მულახიდან.

0000000

I



1 2 3



N 141 4

0 1 2



1

2



3


1
4
2
3

0 1 2 3

V





1



2



3

4



1



2



1



2

3

1

2



1

2

3

4



5

6

XI

1



2

3

4



5



6

1



2



3

4



5

XIII

—

1

—

2



—

3

—



4



—

1



—



2

—

3

—

4

XV

1

2

3



4

5



6



1



2



1

2



3



1



2


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15

XXI






1
2
3
4
5
6
7
8
9
10

XXIII















1
2
3
4
5
6
7
8
9
10
0 1 2 3
0 1 2 3


1
2
3
4
5
6
7
8
0 1 2 3


9
10
11
12
13
14
15
0 1 2 3


1


2


3
0 1 2 3


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
0 1 2 3


12
13
14


15
16
17

1

2

3


4


5




1
2
3
4
5


1
2


3
4
5


1
2



1



2



1



2

1
2
3
4
5


1
5
3
2
4


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
0 1 2 3

1



2



1 2 3



4 5



XXXVIII



1



2



3

4

5

6

7

8


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28


15
16
17
18
19
11
12
13
14
15


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14



I









1



2



3

XLV



1

2

4



3



5

1

3

2

XLVII






0 1 2 3

LI



ტაბ. XXXV — სათითე ბეჭდები კალადან.
ტაბ. XXXVI — სათითე ბეჭდები უშგულიდან.
ტაბ. XXXVII, 1 — საბეჭდავი (აღმოსავლური) კალადან; 2 — თიხის დოქი სოფ. ეცერიდან, (ს ი ე მ).
ტაბ. XXXVIII — კერამიკული ჭურჭლის ნატეხები ხეშკილიდან.
ტაბ. XXXIX, 1,2 — ტვირბიშის ნაგებობათა გეგმა; 3, 4, 5, 6, 7, 8 — ტვირბიშის კერამიკა.
ტაბ. XL — ტვირბიშის კერამიკა.
ტაბ. XLI — ტვირბიშის კერამიკა.
ტაბ. XLII,1 — ეცერის მოჭიქული ჯამი; 2 — ბინის სასმისი; 3,4 — ქამრის ნაწილები; 5 — სათითური.
ტაბ. XLIII — მოჭიქული დოქი სოფ. ბეჩოდან.
ტაბ. XLIV, 1,2 — ბიზანტიური ოქროს მონეტები; 3 — შუა საუკუნეების სხვადასხვა მონეტები.
ტაბ. XLV,1 — თურქული და შირვანული მონეტები; 2,4 — სათამაშო მარკები; 3,5 — ევროპული მონეტები.
ტაბ. XLVI,1 — ხერგიანების სალოცავი ქვა; 2 — ბერიანების სალოცავი ქვა; 3 — დადვანების სალოცავი ქვა.
ტაბ. XLVII — ხერგიანების სალოცავი ქვა, ს ი ე მ.
ტაბ. XLVIII — დადვანების სალოცავი ქვა, სოფ. მულახი.
ტაბ. XLIX — ნაკანების სალოცავი ქვა, დაბა მესტია.
ტაბ. L — მამაკაცის ანტროპომორფული ქანდაკება, სოფ. მულახი.
ტაბ. LI — ხის ორნამენტი (ლაბირინთი) სოფ. ნაკრიდან, ს ი ე მ.

შემოკლებათა განმარტება

თსუ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მსკა — მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის
მსე — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
სინ — საქართველოს ისტორიის ნარკვევები
სსმ — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
სიემ — სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
ЗКОИРГО — Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества
ИГАИМК — Известия Государственной Академии истории материальной культуры
МАК — Материалы по археологии Кавказа
МИА — Материалы и исследования по археологии СССР
СА — Советская археология

შინაარსი

შესავალი 3

თავი I

შუაბრინჯაოს ხანა 10

თავი II

გვიანი ბრინჯაოს ხანა 14

თავი III

ანტიკური ხანა 19

თავი IV

შუასაუკუნეები 29

Резюме 73

ტაბულების აღწერილობა 79

შემოკლებათა განმარტება 82

Чартолани Шота Гаврилович

МАТЕРИАЛЫ ПО АРХЕОЛОГИИ СВАНЕТИ
I

(Итоги археологических работ научно-комплексной экспедиции Сванети в 1972—1974 гг.)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ო. ლორთქიფანიძე
გამომცემლობის რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი
ტექრედაქტორი ე. ბოკერია
მხატვარი გ. ყარაშვილი
კორექტორი ც. დევდარიანი

გადაეცა წარმოებას 17.3.1976; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.6.1976;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 8.50;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7.76;
უე 01494; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 865;
ფასი 80 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

IVE
3614(1